საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (561)
25 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

ტრამპმა, მგონი, დათმო, ოღონდ 24 ბრძოლას მაინც განაგრძობს






## «ადამიანი, რომელიც ახლა ნატოზე დაიწყებს ლაპარაკს, ქვეყნის მტერია!» 3



სოსო ცინცაძე:
## ეს არის პოლიტიკური ბაგა-ბაღი, რომელსაც მსოფლიოში შექმნილ რეალურ გეოპოლიტიკურ კონიუნქტურასთან 5 საერთო არაფერი აქვს



6 ვალერი კვარაცხელია:
## საქართველო ზოგად-საკაცობრიო ორომტრიალში
სადაც მილიარდერები არ არსებობენ, იქ არც ლატაკები არიან

## UNICEF-ი ხელის-უფლებისგან ლიბერალური რეფორმების ახალ ტალღას ითხოვს 8




## «ქათამი» ხარ — ფულს მიიღებ, თუ არადა — 9 სამი თითის კომბინაციას
ფულსაც არ მოგვცემენ, ისე, ნისიად გვაღიარებინებენ ჰელენა დალის «სახარებას»

## ფსიქიატრის დიაგნოზი: «გერმანია ჩლუნგდება»



10

## კალიფორნიის სკოლებში სასწავლო პროგრამიდან «ჰეკლბერი ფინს» 11 იღებენ... რასისტული შინაარსის გამო






გიორგი მდივანი:
## ლიბერალიზმი პოსტსაბჭოთა 21 სივრცეში — ანალიზი, რეკომენდაციები
არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მხოლოდ ლიბერალური ღირსების წესრიგის გარშემო ტრიალებს

ხელისუფლება და ოპოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უმაყურებლო თეატრია ქართული პოლიტიკა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოსახლეობა ახალარჩეული პარლამენტისადმი ინტერესს მხოლოდ მაშინ თუ გამოავლენს, როცა ჩხუბი მოხდება ან ვინმე ვინმეს შეაგინებს. სეირი აინტერესებს ხალხს და არა კანონები. არც აქვს იმედი, რომ მოქმედი თუ მომავალი ხელისუფლება მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. აღარც ლარის კურსის ცვლილება არის ისეთი მტკივნეული, როგორიც ადრე იყო, და ამის მიზეზი სწორედ ნიჰილიზმია.**

# ქართული პოლიტიკა აბსურდის თეატრს დაემსგავსა

**2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, როგორც იქნა, დასრულდა. ახლა რაც უნდა მოხდეს, წელს არჩევნები აღარ გვექნება, რადგან, ხელისუფლება რიგგარეშეზეც რომ დათანხმდეს, უბრალოდ, დროში ვერ მოესწრება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ 2020 წელი ერთ თვეში სრულდება, გაისად კი, რიგგარეშე თუ არა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები აუცილებლად ჩატარდება და ამჯერად, 150 დეპუტატს კი არა, 73 მუნიციპალიტეტის მერებსა და საკრებულოების დაახლოებით 2500 წევრს ავირჩევთ.**
**ეს — გაისად, ახლა კი ის ვიტიროთ, რაც გვაქვს.**



**ხმამაღლა არავინ ამბობს, რატომ არის რამდენიმე ათეული ათასი ბიულეტენი ბათილი. იმიტომ, რომ ამ ათასობით ადამიანმა ბიულეტენში არავინ არ შემოხაზა, უბრალოდ, ბოლოში მიაწერა «ყველას დედაცო» და მანდ დაამთავრა. 60-მდე პარტიაში მათი მოსაწონი რომ არავინ აღმოჩნდა, ხომ ბევრ რამეზე მეტყველებს? და «ოცნებამ» დიდწილად იმის ხარჯზე რომ მოიგო, ღირსეული კონკურენტი რომ არ ჰყავდა, ეგეც ფაქტია, მაგრამ ამის აღიარება არც ხელისუფლებას სურს და არც ოპოზიციას. იცით, რატომ? «ოცნება» გამარჯვებას საკუთარ მარიფათს აბრალებს, ოპოზიციას კი ულირსობის აღიარება არ სურს**

სატირალი ეს არჩევნები რამდენიმე მიზეზის გამოა: **არჩევნების ჩატარება დაახლოებით 50 მილიონი დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს. სულ ცოტა, კიდევ ამდენი ყველა პარტიას ერთად აქვს აღებული და მხოლოდ იმიტომ, რომ 150 კაცს გარანტირებული სამუშაო ჰქონდეს მომდევნო 4 წლის განმავლობაში და პლუს ამ 150-მა ადამიანმა თავისი სანათესაო დაასაქმოს.**

მეორე ტურის წინ ცოტა სასაცილო სიტუაცია შეიქმნა. სასაცილო იმიტომ, რომ ოპოზიციამ მასში მონაწილეობაზე უარი თქვა, ბოიკოტი გამოაცხადა, აქაოდა, გაყალბებულ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსისა და აქტივის სრული მობილიზაცია გამოაცხადა იმის შიშით, რომ ოპოზიციას ჩუმად არ ემოქმედა და ბოიკოტგამოცხადებულ არჩევნებზე მათი ამომრჩეველი ორგანიზებულად არ მისულიყო, მაგრამ ხელისუფლების შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა და არჩევნები ზღაპარივით დასრულდა, მაგრამ... ოპოზიციამ 50 ათას ხმაზე მეტი მაინც მოაგროვა მეორე ტურში და „ოცნების" ლიდერები მიხვდნენ, რომ ეს ძალიან ბევრი იყო. ამიტომ, გამოვიდა **ირაკლი კობახიძე** და თქვა ის, რაც, წესით, არ უნდა ეთქვა. მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა განაცხადა: ოპოზიციამ აქტივის მობილიზაცია გამოაცხადა, მაგრამ 50 ათას ხმაზე მეტი ვერ მიიღოო. **კობახიძე ამ ყველაფერს საზეიმო ხმით ამბობდა, მაგრამ ის არ უთქვამს, რომ მხოლოდ „ნაციონალურმა მოძრაობამ" პირველ ტურში მოპოვებული ხმებით 36 კაცი გაიყვანა პარლამენტში და... ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო.** ჰო, ამ 8 წელიწადში „ოცნებამ" მოახერხა ის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" მხარი ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა. მეორე ტურებში არჩეული მაჟორიტარების ლეგიტიმურობის საკითხი კი, საერთოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ახლავე გეტყვით, რატომ. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ამომრჩევლის საარჩევნო ყუთთან მიყვანას, აქტიურობა 26%-ს არ გასცდენია. მარტივად რომ ავხსნათ, თუ ოლქში იყო 100 ამომრჩეველი, მაჟორიტარი აირჩია 26-მა კაცმა. ჰოდა, რატომ არის 26 კაცის არჩეული ადამიანი ლეგიტიმური და რატომ არავის აინტერესებს, რას ფიქრობს დანარჩენი 74 ადამიანი?! მაგრამ კანონითა და, რაც მთავარია, კონსტიტუციით (იმ კონსტიტუციით, ამერიკის ელჩის მითითებით რომ ვცვლით ხოლმე), ეს 17 მაჟორიტარიც ზუსტად ისეთივე სრულუფლებიანი დეპუტატი იქნება, როგორც პირველ ტურში არჩეულები.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ხელისუფლება არაადეკვატურად იქცევა, უფრო არაადეკვატურად — ოპოზიცია და რიგით ადამიანებში პოლიტიკური ნიჰილიზმია. უხეშად რომ დავთვალოთ, **არჩევნებზე მივიდნენ საჯარო მოხელეები და მათი ოჯახის წევრები ხელისუფლებიდან, ხოლო ოპოზიციიდან ის ადამიანები, რომლებსაც აზრს ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაცვლევინებს, ერთგვარ სექტად არიან ჩამოყალიბებულნი და, უფლება რომ მისცე, მიხეილ სააკაშვილს წმინდანად გამოაცხადებენ. ეს ადამიანები არც 2024 წელს წავლენ სადმე, არ გაქრებიან, პირიქით — უფრო გამრავლდებიან და ეს იმის გამო, რომ ხელისუფლება იქცევა არაადეკვატურად.**

მმართველი გუნდის მხარდამჭერებს რომ აქვთ ერთი ამბავი ატეხილი, — გიორგი გახარია რომ დაჰპირდა ნაციონალებს, დაგამთავრებთ, ხომ აუსრულაო? რა აუსრულა, ბატონებო?! წინა მოწვევის პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის" 7 წევრი იყო და ახალ პარლამენტში ხუთჯერ მეტნი იქნებიან — 36 და რა გამოდის — **მმართველი ძალა თავს იტყუებს, თუ საკუთარ მხარდამჭერებს ატყუებს?**

ხელისუფლება არც იმას ჩაუფიქრდა, რომ არჩევნებზე საკუთარი სურვილით, ყოველგვარი მობილიზაციის გარეშე 50 ათასი ადამიანი მივიდა და ხელისუფლების წინააღმდეგ მისცა ხმა. რეალურად, **ეს ხალხი სრულად ოპოზიციის მხარდამჭერი არ არის, მათმა უმრავლესობამ არჩევნების მეორე ტურში იმიტომ მისცა ხმა ხელისუფლების წინააღმდეგ (რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ხელისუფლების წინააღმდეგ და არა ოპოზიციის სასარგებლოდ), რომ ხელისუფლება გამოფხიზლდეს. აბა, 50 ათასი გულანთებული ამომრჩეველი რომ ჰყავდეს ოპოზიციას, ისეთი, რომელიც საკუთარი ნებით გამოთქვამს პროტესტს, აქციებზე რეგიონებიდან ფულის სანაცვლოდ არ დაუწყებდნენ ჩამოყვანას.** სწორედ ეს აქვს გასაანალიზებელი ხელისუფლებას, მაგრამ ამის ნაცვლად უკბილო ქილიკით არის დაკავებული და ისედაც გაბრაზებულ ამომრჩეველს უფრო აბრაზებს.

აბსურდის თეატრს დაემსგავსა ქართული პოლიტიკა. **ნახევარპროცენტიანი პარტიების ლიდერები ითხოვენ არჩევნების განმეორებით ჩატარებას და ბოლო ხმაზე გაჰკივიან, — არჩევნები გაყალბდაო. არადა, ყველაზე კარგად თვითონ იციან, რომ არაფერი გაყალბებულა და, თუ გაყალბდა, მათი ხმები ნამდვილად არავის მიუთვისებია. მაგრამ სხვა გზა არ აქვთ, უნდა იყვირონ, სხვაგვარად ვერაფრით იმართლებენ თავს იმ მცირერიცხოვან ამომრჩეველთან, რომელიც ახლა შემორჩათ და იმასაც კარგად ხვდებიან, 2024 წელს, მთლიანად პროპორციულ სისტემასა და 5%-იანი ბარიერის პირობებში, მათ, პარლამენტში მოხვედრის კი არა, მასთან ახლოს გავლის შანსიც ნაკლებად ექნებათ.**

თეატრი ვახსენეთ და... უმაყურებლო თეატრია ქართული პოლიტიკა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოსახლეობა ახალარჩეული პარლამენტისადმი ინტერესს მხოლოდ მაშინ თუ გამოავლენს, როცა ჩხუბი მოხდება, ან ვინმე ვინმეს შეაგინებს. სეირი აინტერესებს ხალხს და აღარ აინტერესებს კანონები. არც აქვს იმედი, რომ მოქმედი თუ მომავალი ხელისუფლება მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. აღარც ლარის კურსის ცვლილება არის ისეთი მტკივნეული, როგორიც ადრე იყო და ამის მიზეზი სწორედ ნიჰილიზმია. **პურის ფულზე გადაგებული ერი ბრძოლისუნარიანიც აღარ არის და სულერთია, ვინ იქნება ხელისუფლებაში. სწორედ ამ სულერთიას გამო იყო, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ნახევარ მილიონზე მეტი ხმა რომ აიღო, თორემ გვეეჭვება, ამ ნახევარ მილიონს ციხეში დახოცილი პატიმრები, ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდები, კრიმინალად გამოცხადებული ერი და ცოცხები ენატრებოდეს.** უბრალოდ, ვიღაცამ ხმა გაყიდა, ვიღაცამ ორჯერ გაყიდა და საჭმლისთვის ერთი თვის სამყოფი ფული იშოვა, ვიღაც კი ხატრით თუ უხატროდ მივიდა და შემოხაზა. ხმამაღლა არავინ ამბობს, რატომ არის რამდენიმე ათეული ათასი ბიულეტენი ბათილი. იმიტომ, რომ ამ ათასობით ადამიანმა ბიულეტენში არავინ არ შემოხაზა, უბრალოდ, ბოლოში მიაწერა „ყველას დედაცო" და მანდ დაამთავრა. **60-მდე პარტიაში მათი მოსაწონი რომ არავინ აღმოჩნდა, ხომ ბევრ რამეზე მეტყველებს? და „ოცნებამ" დიდწილად იმის ხარჯზე რომ მოიგო, ღირსეული კონკურენტი რომ არ ჰყავდა, ეგეც ფაქტია, მაგრამ ამის აღიარება არც ხელისუფლებას სურს და არც ოპოზიციას.** იცით, რატომ? „ოცნება" გამარჯვებას საკუთარ მარიფათს აბრალებს, ოპოზიციას კი ულირსობის აღიარება არ სურს. იმ ოპოზიციას ვგულისხმობ, ქუჩაში რომ არის გამოსული და ეს მშვიდობიანი დემონსტრანტები „მოლოტოვის კოქტეილებს" რომ იქნევენ წინ და უკან.

ასე ვივლით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, არჩევნები აღარ იქნება რიგითი ადამიანების საქმე. ის იქნება დასაქმებულთა და დასასაქმებელთა შეჯიბრება და გაიმარჯვებს ის, ვინც გადაწონის. ჰო, სწორედ ასე, **დასაქმებულებისა და დასასაქმებლების დოღი, გნებავთ, რბოლა და სწორედ სამსახურისთვის გაჩაღდება ბრძოლა არჩევნებზე და არა ქვეყნის ნათელი მომავლისთვის. მოხერხდა, ბოლომდე მოხერხდა ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობის გონება სარჩოს შოვნის იქეთ ველარ მიდის და ეს ყველაზე მეტად პოლიტიკოსებს აძლევთ ხელს.**

უკვე ასაკში შესულმა ძველმა პოლიტიკოსებმა ასპარეზზე „ახალ სახეებად" თავიანთი შვილები შემოგვთავაზეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ პოლიტიკა მათთვის ბიზნესია, რომელიც მამიდან (თუ დედიდან) შვილზე გადადის.

სანამ ახალი პარლამენტი შეიკრიბება, სანამ დროშისა და ჰიმნის თანხლებით ოთხწლიან სამსახურებს „გაიპრავებენ", იქნებ ვინმე გამოვიდეს და თქვას, რომ მოსახლეობისთვის — იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რომელიმე პოლიტიკური ძალის კი არა, საქართველოს მხარეს არიან, ეშველებათ, მათზეც იზრუნებენ, მიხედავენ, აგრძნობინებენ, რომ ქვეყანა არსებობს, სახელმწიფო არსებობს. დღევანდელი გადასახედიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ქვეყანა იპოდრომია და ოთხ წელიწადში ერთხელ ბედაურები ფინიშზე პირველი მისვლას ცდილობენ, რათა შემდეგ ქერი და შაქარი აკანტუნონ, დანარჩენები კი ჩალაზე იყვნენ.

**სანამ ახალი პარლამენტი შეიკრიბება, სანამ დროშისა და ჰიმნის თანხლებით ოთხწლიან სამსახურებს «გაიპრავებენ», იქნებ ვინმე გამოვიდეს და თქვას, რომ მოსახლეობისთვის — იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, რომელიმე პოლიტიკური ძალის კი არა, საქართველოს მხარეს არიან, ეშველებათ, მათზეც იზრუნებენ, მიხედავენ, აგრძნობინებენ, რომ ქვეყანა არსებობს, სახელმწიფო არსებობს. დღევანდელი გადასახედიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ქვეყანა იპოდრომია და ოთხ წელიწადში ერთხელ ბედაურები ფინიშზე პირველი მისვლას ცდილობენ, რათა შემდეგ ქერი და შაქარი აკანტუნონ, დანარჩენები კი ჩალაზე იყვნენ**

**ბესო ბარბაქაძე**

„ისეთი ავანტიურისტული მიმართვებითა და განცხადებებით, რომლებიც ამ დღეებში ქართველმა პოლიტიკოსებმა გააკეთეს, ჩვენი ქვეყნის ბედს აყენებენ დარტყმის ქვეშ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 40 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას. ლიბერალ პოლიტიკოსებს სურთ, ეს პატარა, ლამაზი ქვეყანა გაანადგურონ, სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად აქციონ“.

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თამარ კიკნაძე: ადამიანი, რომელიც ახლა ნატოზე დაიწყებს ლაპარაკს, ქვეყნის მტერია!

**ქართველმა ექსპერტ-პოლიტოლოგებმა და ყოფილმა პოლიტიკოსებმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს გაუგზავნეს ღია წერილი, რომელიც საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის აწმყოსა და პერსპექტივას ეხება. ისინი აშშ-ს სთხოვენ, შეიარაღებული ძალები მუდმივად განალაგონ საქართველოში. ამ ღია წერილზე 50-მდე ხელმოწერაა და, როგორც პოლიტოლოგმა თამარ კიკნაძემ განაცხადა, საქართველო უნდა იცნობდეს ავანტიურისტებს.**

**აი ისინიც: ზვიად აძინბაია, ეკა აკობია, ირაკლი ალასანია, ირინა არაბიძე, ფიქრია ასანიშვილი, გიორგი ასტამაძე, ნატო ბაჩიაშვილი, გიორგი ბადრიძე, ზურაბ ბატიაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, ლევან ბოძაშვილი, ეთო ბუზიაშვილი, მიხეილ დარჩიაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ჯაბა დევდარიანი, პაატა გაფრინდაშვილი, კახა გოგოლაშვილი, გიორგი გოგუაძე, თორნიკე გორდაძე, გიორგი გვალია, შოთა ღვინერია, გია ჯაფარიძე, თედო ჯაფარიძე, ნინო კალანდაძე, ნოდარ ხარშილაძე, თინათინ ხიდაშელი, ბექა კობახიძე, ბათუ ქუთელია, ხათუნა ლაგაზიძე, ეკატერინე მეტრეველი, გრიგოლ მგალობლიშვილი, ხათუნა მშვიდობაძე, გიორგი მუჩაიძე, სოფია პეტრიაშვილი, ალექსი პეტრიაშვილი, თენგიზ ფხალაძე, მირიან ფოფხაძე, ირაკლი ფორჩხიძე, დათუნა რაქვიაშვილი, გიორგი რუხაძე, თორნიკე შარაშენიძე, ვასილ სიხარულიძე, თორნიკე თურმანიძე, გელა ვასაძე, თემურ იაკობაშვილი.**

ქართველი ე.წ. ლიბერალი პოლიტიკოსები თვლიან, რომ რუსეთმა კავკასიაში თურქეთი შემოიყვანა, რომ ფუნქციადაკარგულმა რუსეთმა, შესაძლოა, კუდი მტკივნეულად მოიქნიოს. „რუსეთი კარგავს თავის ცივილურ გავლენებს კავკასიაზე, თურქეთი კი ძლიერდება არა იარაღით, არამედ ცივილურად. სომხებისთვის უკვე არასასურველია გიუმრის ბაზის სომხეთში ყოფნა, რომელსაც მათ დასახმარებლად ხელი არ გაუნძრევია. რაც მთავარია, რეგიონში მონიტორად თურქეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები იქნებიან, რომლებიც გააკონტროლებენ, როგორ ასრულებენ რუსები თავიანთ ფუნქციებს. ანუ დაიწყო პროცესი რუსეთის საწინააღმდეგოდ... რუსეთმა დაიწყო დაღმასვლა კავკასიაში, რაც რთული პროცესი იქნება — შეიძლება ერთი-ორჯერ კუდი მტკივნეულად მოიქნიოს კიდეც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში“, — აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ წევრი, ყოფილი მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე:**

— რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კავკასიაში ყველაზე გავლენიანი მოთამაშეა, რაზეც სულ ვსაუბრობდი; ვამბობდი, გამორიცხულია რუსეთმა კავკასია დათმოს. რუსეთმა პოზიციები გაიმყარა, სომხები კი უნდა მიხვდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრიობის გარანტი რუსეთის ფედერაციაა. ფაშინიანის მრავალვექტორიანმა პოლიტიკამ კრახი განიცადა. რუსეთმა კი წარმატებით დაასრულა ამიერკავკასიაში მიმდინარე ომი. აქვე უნდა ითქვას, რომ კარგად იმუშავეს რუსეთის სპეცსამსახურებმა, რომლებმაც მოლაპარაკებები მაღალ დონეზე ჩაატარეს. რუსეთი ყარაბაღში მშვიდობის დასამყარებლად შევიდა და იქ 5 წლის განმავლობაში დარჩება. ეს იყო დიდი წარმატება, რომლის საფუძველზეც სისხლისღვრა შეჩერდა. სომხები ცოტანი არიან და მათ ეს ომი არ სურდათ.

სომხები ჭკვიანი ხალხია, მაგრამ ყარაბაღის ამბებმა ისინი უკან დახია, სომეხი პატრიოტი პოლიტიკოსები ყოველთვის თვლიდნენ, რომ ყარაბაღის მიმართ მათი ამბიციები არ იყო სწორი, მათ მიაჩნიათ, რომ კონფლიქტის ზონაში რუსი მშვიდობისმყოფელების ყოფნა დადებითად იმოქმედებს სომხეთის განვითარებაზე. სომხეთის მაგალითი ჩვენთვის კლასიკური უნდა იყოს და საქართველომაც იფიქროს, რა გააკეთოს იმისთვის, რომ აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა რაიმე ფორმით მოგვარდეს.

**— ქალბატონო თამარ, თქვენ თვლით, რომ რუსეთმა ამიერკავკასიაში გაიმყარა პოზიციები, მაგრამ არიან საქართველოში ხალხი, რომლებიც საპირისპიროს ამბობენ. მაგალითად, „ოცნების“ წევრი, ყოფილი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი თვლის, რომ რუსეთმა კავკასიაში თურქეთი შემოიყვანა და ეს გამარჯვება არ არის...**

— არა, ამ მოსაზრებას ნამდვილად არ ვიზიარებ. **დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მთიან ყარაბაღში ომი დასრულდა, სამმხრივია. მას ხელი მოაწერა აზერბაიჯანმა, სომხეთმა და რუსეთმა. რუსეთი მედიატორია ამ შემთხვევაში, თურქეთი კი არსად ფიგურირებს, მშვიდობას ამყარებს ორი ათასამდე რუსი სამხედრო სერიოზული აღჭურვილობით.** აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხაზს ვუსვამ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შევლენ თურქი დამკვირვებლები. აზერბაიჯანს სუვერენიტეტის ფარგლებში უფლება აქვს, ვინც უნდა, ის შემოიყვანოს. თურქების მხრიდან საზედამხედველო ჯარის შემოყვანას უფრო პიარაქციის ფორმა აქვს, ვიდრე რეალური ქმედების.

დღეს მსოფლიოში ისეთი ვითარებაა, რომ ძალიან ბევრს სურდა რუსეთისა და თურქეთის დატაკება, მაგრამ, საბედნიეროდ, **პუტინისა** და **ერდოღანის** შეხვედრის შემდეგ საღმა აზრმა გაიმარჯვა და უმტკივნეულოდ ჩაიარა კონფლიქტის მოგვარებამ. აზერბაიჯანი ჭკვიანურად მოიქცა, მან სრულად დაიცვა ხელშეკრულების ყველა ფორმა და გადარჩა სომხეთის რესპუბლიკა, სომხებს გენოციდი ელოდათ. ომი, რომელიც აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის მტკივნეული იყო, სწრაფად და უმტკივნეულოდ დასრულდა.

**— ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ ფაშინიანი საბაბი იყო, მიზეზი კი თურქეთის შემოყვანა გახლდათ. ის თვლის, რომ რუსეთმა კავკასიაზე გავლენა დაკარგა...**

— ლიბერალები ხედავენ იმას, რისი დანახვაც სურთ. რუსეთმა თურქეთს ანგარიში გაუწია, რადგან აზერბაიჯანმა საომარი მოქმედებები თურქეთთან ერთად განახორციელა, რაშიც დიდი როლი ითამაშა ისრაელის ტექნიკამ. **კონფლიქტი, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარეობდა, სერიოზული იყო, მასში ბევრი მხარე იყო ჩართული. თურქეთი არის მონაწილე, მაგრამ არა ძირითადი მოთამაშე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამმა მხარემ და მასში არ მონაწილეობს თურქეთი.**

**— რეგიონში არიან რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და... სად არის საქართველო?**

— **ასე სვამენ საკითხს ლიბერალები, ის ადამიანები, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში მხარი დაუჭირეს ომის პროვოცირებაში სააკაშვილს — 2008-ში დასავლეთმა და რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე „გაარჩია საქმე“.**

ჩვენი ტერიტორიიდან 40 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას და მას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები უკავია — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. გვინდა თუ არა, რუსეთი იყო და არის კავკასიაში. **საქართველოში რუსეთის ამ დონით შემოსვლას ხელი შეუწყო სააკაშვილმა, როცა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა და ახალგორში სანაკოევის ადმინისტრაცია დასვა, შემდეგ კი ძალიან მალე ტერიტორიები ჩააბარა.**

როდესაც ჩემნაირი პოლიტოლოგები ვამბობდით, რომ რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ, სააკაშვილი „რუსეთუმეებს“ გვიწოდებდა, თუმცა **ვიცოდით, რომ ეს ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგია იყო და სააკაშვილი ირიბად ქართული სახელმწიფოს სამტრო საქმეს აკეთებდა.** სააკაშვილმა ძალიან დააზარალა საქართველო. იმხანად რუსეთში პირველი პირი იყო **მედვედევი,** რომელიც ლიბერალური კლანის წარმომადგენელია. **მე წაკითხული მაქვს რუსი პოლიტიკოსების, მათ შორის, ლავროვის წერილები, რომლებშიც ის ამბობს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება გეგმაშიც არ ჰქონდათ, ეს გააკეთა სააკაშვილმა, მან აიძულა რუსეთი, ეღიარებინა ჩვენი ტერიტორიები დამოუკიდებელ ქვეყნებად.**

ახლა „გაღმა შეედავეს“ პოლიტიკას აწარმოებენ ლიბერალები, რაც ძალიან ცუდია ჩვენთვის. დღეს აუცილებელია, რომ მოხდეს მათი ქმედებების გამოძიება, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავება. ახლა სააკაშვილი გვმოძღვრავს, რუსეთთან მოლაპარაკება აუცილებელიაო, მაგრამ მას ამის უფლება არ აქვს. მას საერთოდ არ აქვს უფლება, ილაპარაკოს. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, ჩვენს ქვეყანას ყველაფერი დააკარგვინა, მათ შორის, პერსპექტივა, რომ უახლოეს პერიოდში რაღაც მაინც დადებითად შეიცვალოს ქვეყანაში, არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის კუთხით, არამედ, საერთოდ...

**— ლიბერალები ამბობენ, რომ, თუ საქართველო იქნება პრინციპული, შევძლებთ ნატოში გაწევრებას, რადგან გზა ხსნილია... რატომ თვლიან ისინი, რომ „გზა ხსნილია ნატოსკენ“?**

— ეს წმინდა წყლის ავანტიურაა. ნატოს ჩვენი გაწევრება რომ უნდოდეს, ბევრ რამეზე დახუჭავდა თვალს, როგორც ეს სხვა ქვეყნების შემთხვევაში გააკეთა. **ადამიანი, რომელიც ახლა ნატოზე დაიწყებს ლაპარაკს, ქვეყნის მტერია.** რამდენიმე დღის წინათ ორმოცდაათამდე ქართველმა ექსპერტმა და ყოფილმა პოლიტიკოსმა ხელი მოაწერა მიმართვას, რომელშიც ისინი სთხოვენ ამერიკას, რომ საქართველოში სამხედრო ბაზები განათავსოს, ეს ძალიან დიდი ავანტიურა და ღალატია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ **ხშირად ჩვენი ე.წ. დასავლელი პარტნიორები უფრო ფიქრობენ საქართველოს კეთილდღეობაზე, ვიდრე ქართველი პოლიტიკოსები.** ისეთი ავანტიურისტული მიმართვებითა და განცხადებებით, რომლებიც ამ დღეებში ქართველმა პოლიტიკოსებმა გააკეთეს, ჩვენი ქვეყნის ბედს აყენებენ დარტყმის ქვეშ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 40 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას. ლიბერალ პოლიტიკოსებს სურთ, ეს პატარა, ლამაზი ქვეყანა გაანადგურონ, სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად აქციონ.

**— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის საქართველოში ვიზიტამდე რუსეთის პრეზიდენტი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას შეხვდა, მათ რკინიგზის აღდგენაზე ისაუბრეს...**

— საქართველო უნდა წავიდეს კონსტრუქციულ მოლაპარაკებაზე. დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. ქართული მხარე სააკაშვილივით არ უნდა მოიქცეს, უნდა შეძლოს ვაჭრობა და მოიფიქროს ისეთი მატრიცა, რომელიც ხელს აძლევთ მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეებს.

ცუდია პოზიცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს — ჯერ უნდა დათმოს რუსეთმა პოზიციები და მერე დაველაპარაკებითო. ეს მიდგომა გამართლებული იქნება, თუკი ჩვენ გვექნება ძალა და იარაღი. საქართველოს არავინ არ დაეხმარება. ჩვენს გამო რუსეთს არავინ არ დაუპირისპირდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამერიკას ცუდი დროება უდგას, მისი ჰეგემონია დაღმასვლას განიცდის. საქართველო უნდა გადაეწყოს ახალი რეალობის შესაბამისად. ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიბაძოს აზერბაიჯანს და საჭირო დროს ვითარების შესაბამისად იმოქმედოს.

დღეს ქართული სახელმწიფოს ფუნქცია მკვეთრად არის შემცირებული, მისი სუვერენიტეტი დასუსტებულია. ხშირად ვსაუბრობთ თავგანწირვაზე, მაგრამ ამას დღეს აზრი აღარ აქვს, რადგან ფუნქციაც კი არ აქვს სახელმწიფოს, **დღეს აუცილებელია, ვიმოქმედოთ ისე, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდეთ. მკვეთრი მოძრაობები არ შეიძლება, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია, და თანაც, არ გვჭირდება. აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ჩვენთვის საომარი მოქმედებები არ შეიძლება. ვის უნდა ვეომოთ? ჩვენს თანამოქალაქეებს, აფხაზებსა და ოსებს, რომლებთან ერთადაც ერთ ქვეყანაში ვაპირებთ ცხოვრებას? სასურველ შედეგს მხოლოდ სწორი დიპლომატიით მივაღწევთ.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«ორმოცდაათამდე ქართველმა ექსპერტმა და ყოფილმა პოლიტიკოსმა ხელი მოაწერა მიმართვას, რომელშიც სთხოვენ ამერიკას, აქ სამხედრო ბაზები განათავსოს, ეს ძალიან დიდი ავანტიურა და ღალატია»

«დღეს აუცილებელია, ვიმოქმედოთ ისე, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდეთ. მკვეთრი მოძრაობები არ შეიძლება, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველოს სუვერენიტეტი შეზღუდულია, და თანაც, არ გვჭირდება. აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ჩვენთვის საომარი მოქმედებები არ შეიძლება. ვის უნდა ვეომოთ? ჩვენს თანამოქალაქეებს, აფხაზებსა და ოსებს, რომლებთან ერთადაც ერთ ქვეყანაში ვაპირებთ ცხოვრებას? სასურველ შედეგს მხოლოდ სწორი დიპლომატიით მივაღწევთ»

ესკიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იყო უტარო დროშა, რუსთაველის პროსპექტის ერთ მონაკვეთზე ნაცების მხარდამჭერთა მწკრივებს შორის გაშლილი, როგორც გახურებულ თონეში შოთების ჩასაკრავად ჩაყვინთული რაჭველი მეპურის თეთრი შარვლის კოჭებამდე ჩაუწეველობა.**

# «სტიკერების» ცვენა იყო ხოჯევანქის უბანში

**„სააკაშვილი: გაანძრიეთ ხელი და ჩამოვალ! „ნაცმოძრაობა“: უკვე ვანძრევთ და ჩამოდი!“ „ასავალ-დასავალის“ 47-ე ნომრის პირველ გვერდზე გამოტანილმა ამ სათაურმა ისე გაგვახალისა კოლეგა ჟურნალისტები, რომ ის დღე სულ სიცილ-ხარხარში გავატარეთ. ბრავო, მეგობრებო, ათიანში მოარტყით!.. თითქოს იწინასწარმეტყველეს, რომ საპროტესტო ამბოხი, რომელიც 18 ნოემბერს რუსთაველზე ნაცებმა გამართეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თბილისში ვიზიტისას, სამარცხვინო „ფლეშმობად“ წარმოუდგებოდა ჩვენს საზოგადოებრიობას.**

„უკვე ვანძრევთოს“ დადასტურებას ამით შეეცადნენ. მაგრამ მოხდა პირიქით, ანუ ისე, როგორც ლოგიკა გვიკარნახებდა, და რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო — ჩაისვარეს!

ამ სამარცხვინო აქტის მოსალოდნელობაზე ორიოდ დღის წინათ თითქოს მიგვანიშნებდა „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი აქტივისტი **სალომე სამადაშვილი,** რომელმაც უკრაინული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერში აღიარა: **ოპოზიციამ თავზე დაინეხვაო.**

სხვა სიტყვა იხმარა კდემამოსილმა, სიტყვა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ პოლიტიკა არა მარტო ბინძური საქმეა, არამედ ყარს კიდეც.

გააჩნია ვის ხელში(!).

სალომეს გულახდილობა ცუდად ენიშნა თურმე საზღვარგარეთ... საზერძნეთში გახიზნულ „ნაცმოძრაობის“ წევრ ვინმე **გირშელ ბერძულს** და მოუთხოვია ამ ქალბატონის პარტიის რიგებიდან გარიცხვა.

აქცია, რომელიც ძველი „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორის — **ზაალ უდუმაშვილის** მიერ დაანონსებული იყო, როგორც „ძალიან მდუმარე და ძალიან ხმაურიანი“ ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა „ათასობით ჩვენი მოქალაქე“, სამარცხვინოდ ჩაეფუშათ.

**„მივესალმებით პომპეოს და გამოვხატავთ პროტესტს წართმეული არჩევნების გამო“,** — თან გვაიმედებდა, თან გვაშინებდა იგივე ზაალი.

ვერც პირველი შეძლეს, ვერც მეორე გამოუვიდათ.

მაშ, რა იყო?

**იყო უტარო დროშა, რუსთაველის პროსპექტის ერთ მონაკვეთზე ნაცების მხარდამჭერთა მწკრივებს შორის გაშლილი, როგორც გახურებულ თონეში შოთების ჩასაკრავად ჩაყვინთული რაჭველი მეპურის თეთრი შარვლის კოჭებამდე ჩაუწეველობა.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტივით მოკლე და სახელდახელო, როგორც ხაშზე დაპატიჟება.

ორდღიანი იქნებაო, მთელი კვირის განმავლობაში გვარწმუნებდნენ, მაგრამ წუხელ ჩამოსული, მეორე დღის პირველ საათზე გაფრინდა, ისრაელისკენ აიღო გეზი. რომელი დედაქალაქისკენ, რა მოგახსენოთ: ან ტრამპის მიერ დედაქალაქად გამოცხადებულ იერუსალიმში ჩავიდოდა, ან აქამდე დედაქალაქად აღიარებულ თელ-ავივში.

ეს ბატონი კი გავაცილეთ, მაგრამ, მის კვალზე ვინ ჩამოვა, ალაჰმა უწყის! **რადგან დიდი არეულობაა სადღეისოდ შეერთებულ შტატებში, ისეთი სიტუაციაა, რომელსაც ზოგი ექსპერტი ორხელისუფლებიანობად აფასებს, ზოგიც — საერთოდ არა გვყავსო ხელისუფლებაო.**

**უდროობაა...**

წავიდა ბატონი სახელმწიფო მდივანი.

ან აქ რა გააჩერებდა, ან რატომ უნდა დაყოვნებულიყო, როცა იქ, ჰორიზონტს მიღმა, აშშ-ში უნდა გადაწყვეტილიყო თანამდებობაზე მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი: ბაიდენი აპირებს, 26 ნოემბერს გამოაცხადოს **პომპეოს** შემცვლელის სახელი და გვარი.

## ტრამპი – ბაიდენს: ვერ ეღირსებიო!

იქ არჩევნების სასურველი შედეგებისთვის რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ისეთი ბრძოლაა გაჩაღებული, ჩვენი არჩევნები რა მოსატანია.

გასაოცარი მასშტაბისაა აღმოჩენილ გაყალბებათა სიმრავლე, ხარისხი და წარმომავლობა.

ფილადელფიის მაფიის მეთაურმა **ჯოუი მერლინომ** აღიარა, რომ მეგაპოლისის გარეუბანში დაიქირავა ორი სახლი, რომლებშიც მისმა ხელქვეითებმა დაბეჭდეს 300 ათასი ყალბი ბიულეტენი ბაიდენის სასარგებლოდ. დაბეჭდეს და სისტემაში შეაგდეს.

ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან **ისტორიულად დემოკრატები ყოველთვის სარგებლობდნენ ამერიკული მაფიის მხარდაჭერით, რესპუბლიკელები — ებრძოდნენ (ხელისუფლებისა და მაფიოზური სამყაროს თანამშრომლობის თემა, რომელიც ჩვენ სინამდვილეში ნაცებმა შემოაგდეს, შტატებიდან არის გადმოღებულ-ნასესხები).**

ტრამპის წინააღმდეგაა დარაზმული მასმედიის უმეტესობა, „ამაზონის“, „ეპოლის“, „გუგლის“, „ფეისბუკისა“ და „მაიკროსოფტის“ ხუთეული — უძლიერესი და ყოვლისშემძლე დაჯგუფება.

პრეზიდენტობის ორივე კანდიდატისთვის მიცემულ ხმებს შორის დიდი სხვაობა არ არის და ეს უკვე ტრამპის გამარჯვებაზე მეტყველებს, თუმცა დღეისთვის მხოლოდ მორალური კმაყოფილების წყაროდ რჩება.

**ტრამპი თავის „ტვიტერში“ წერს: „ჩემმა იურისტებმა აღმოაჩინეს ასიათასობით ყალბი ხმა, რომლებიც თავდაყირა დააყენებს არჩევნების შედეგებს სულ ცოტა ოთხ შტატში ჩემს სასარგებლოდ. ვიმედოვნებ, რომ სასამართლოებს ეყოფათ გამბედაობა, გააკეთონ ის, რაც აუცილებელია ჩვენი არჩევნებისა და თვით შეერთებული შტატების პატიოსანი სახელის შესანარჩუნებლად“.**





ჩამოდის, რათა წავიდეს

საქმეში დეტალურად გარკვეულები აცხადებენ, რომ შესწავლის შედეგად ხელთ აქვთ მოწმეთა ჩვენებების 234 გვერდი. რომ, მაგალითად, პენსილვანიის მცხოვრებლებმა ვერ შეძლეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რადგან მათ ნაცვლად სხვებს ფოსტით მიუციათ ხმა.

მიჩიგანის ერთ-ერთ ოლქში რესპუბლიკელებმა უარი თქვეს არჩევნების სერტიფიცირებაზე, ანუ არ დაამტკიცეს არჩევნების შედეგები, გაყალბებული იყო და იმიტომ.

მიჩიგანში ხმებს განმეორებით გადაითვლიან.

მიჩიგანსა და ვისკონსინში ბაიდენს არჩევნები წაგებული ჰქონდა, მაგრამ დილისთვის ორივე შტატში 140-140 ათასი ხმა შეაგდეს და დემოკრატების კანდიდატი მკვეთრად წინ გაიჭრა.

თვითმხილველები ყვებიან, რომ გამთენიისას, ხუთის ნახევარზე ხმის დამთვლელ ცენტრთან გაჩერდა სატვირთო ავტომანქანა. თანამშრომლებს ეგონათ, რომ საუზმე მიუტანეს, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ათიათასობით ბიულეტენით იყო დატენილი იქ

ბული კონფორმისტული ბალღამისგან ხომ არ იწმინდებოდა დედაქალაქი?

საეჭვოა...

**საღამოსთვის იმ „პროკლამაციების“ ყველა კვალი უკვე ჩარეცხილი იყო. ხოლო ერთი და იგივე „სტიკერისტი“, რომელიც პარტიული ტელედესანტების ხელიდან ხელში გადადიოდა, ერთსა და იმავეს დაზუთხულივით იმეორებდა: 30 წელიწადია, ერთსა და იმავე იდიოტობაზე ვდგავართო. იმ ოცდაათიდან ცხრა მიშას წაბილწული რომ იყო, ვითომც არაფერი!**

მიზიდული ნაგვის ყუთები.

და ა.შ.

ტრამპი და მისი გუნდი სასამართლოებში ბრძოლის გასაგრძელებლად ფაქტებითა და საბუთებით აღიჭურვნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი მათი თავის ტკივილია.

## ამ დროს ჩვენთან...

**სანამ ჩვენ აქაური ოპოზიციის მოწინავე რაზმის მებრძოლების თავგანწირვის გამო აღსაფრთოვანებლად ვემზადებოდით, ისინი სველ ასფალტზე „სტიკერების“ დაწებებით მტრის ამბრაზურას ვაჟკაცურად გადაეფარნენ, რადგან იცოდნენ, რომ იქიდან ერთი ტყვიაც არ გავარდებოდა — მსროლელი არავინ იყო და იმიტომ. ამომრჩევლების ხმის დასაცავად საკუთარი „მკერდით შეკრეს დერბენდი და დარიალი“.**

სიტყვამ მოიტანა და, დერბენდის ისტორიული გალავნის კარიბჭესთან ერთი კვირის წინათ კედელი ჩამოიქცა. წვიმებმა ჩამოანგრიაო.

ან ესენი გამოეცალნენ.

გადაულებლად წვიმდა თბილისშიც. წლობით დაგროვე-

მთავარი იყო, ხორხიდან ამოენთხია „უზურპატორ მთავრობასთან“ უშიშრად ბრძოლის ყელში გაჩხერილი დავალებული სიტყვები.

ხოლო „ფორმულის“ წითელპალტოიანი ახალწვეული „სტინგერი“ გოგონა სიხარულს ვერ მალავდა: — „სტიკერები საინტერესო ვიზუალით არის წარმოდგენილი“.

ხელში პლაკატებით, ფეხქვეშ „სტიკერებით“ იდგნენ „წვიმით დატირებულ“ *(მაიაკოვსკი)* ასფალტზე აბუზულები გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები, როგორც ქართული დემოკრატიის კოლექტიური დაცვის პერსონიფიცირებული ძეგლები.

არაფრისმაქნისნი.

ასე აღვიქვი.

მაგრამ, როცა ასმილიონიანი აუდიტორიის მქონე უცხოეთის ერთი ტელეკომპანიის უსერიოზულესი თოკშოუს მონაწილე მეცნიერმა დებატებში მიწვეულ კოლეგებს თავისი პოზიციის გასამაგრებლად **ჯაბა იოსელიანის** მიერ (ერთ დროს საქართველოს ხელმძღვანელობდაო ეს „კანონიერი ქურდი“) წამოცდენილი პარადიგმა დაუსახელა — დემოკრატია ლობიოობა არ არი-

**ისინი სველ ასფალტზე «სტიკერების» დაწებებით მტრის ამბრაზურას ვაჟკაცურად გადაეფარნენ, რადგან იცოდნენ, რომ იქიდან ერთი ტყვიაც არ გავარდებოდა — მსროლელი არავინ იყო და იმიტომ**

სო, ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები სხვა კუთხით წარმოჩნდა — არც ისე წვრილმანად და არც ისე უმნიშვნელოდ, მე რომ მეგონა.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ცამდე მართალი იყო **ალექსანდრე პუშკინი**, როცა წერდა: „Под старость жить такая гадость“ *(„ევგენი ონეგინი“, თავი მეშვიდე)*...

კომენდანტის ღამის საათის დასრულების კარგა ხნის შემდეგ ვარაზისხევის მოკირწყლულ აღმართზე პირველი ავტომობილების საბურავების აჩქარებული ახმაურება მამლის ყივილივით იყო.

**P.S. ახლა, როცა ნებისმიერ პუბლიკაციას თითქმის ყველა ავტორი „პოსტ სკრიპტუმით“ ამთავრებს, პრინციპულად ხელი ავიღე P.S.-ზე, მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ, გამონაკლისი გავაკეთო.**

**მოვიშველიებ „ასავალ-დასავალის“ 47-ე ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სათაურის პერიფრაზს, რადგან უკეთესს ვერ ვპოულობ ამ წერილის ბოლოთქმისთვის.**

**„სააკაშვილი: გაანძრიეთ ხელი და ჩამოვალ!**

**„ნაცმოძრაობა“: უკვე დაგვენძრა და გინდა ჩამოდი, გინდა არა!“**

**ა.ს.**

**„ევროპა, რომელსაც თავის ტკივილად ექცა უკონტროლო მიგრაცია, ტერორიზმი და აგერ უკვე კოვიდ 19-ის პანდემიაც დაემატა, მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ე.წ. მულტიკულტურიზმმა სრული კრახი განიცადა იმ თვალსაზრისით, რომ მილიონობით მიგრანტის სოციალური ასიმილაცია ვერ მოხერხდა და პერსპექტივაში, ფაქტობრივად, მუსლიმანური ევროპაა“.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ცინცაძე: ეს არის პოლიტიკური ბაგა-ბაღი, რომელსაც მსოფლიოში შექმნილ რეალურ გეოპოლიტიკურ კონიუნქტურასთან საერთო არაფერი აქვს

**ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში — ჟოზეპ ბორელმა 20 ნოემბერს განაცხადა, რომ დღეს ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობები, დამოუკიდებელი სამხედრო ძალა ჰყავდეს. მისი თქმით, გაერთიანება საკუთარ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მშვიდობასა და სტაბილურობას. მისივე განმარტებით, იმისთვის, რომ ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოებს მომავალში მშვიდობა და სტაბილურობა გარანტირებული ექნეთ, საჭიროა, მნიშვნელოვანი ცვლილებები თავდაცვის მიმართულებით, რომლებიც სერიოზულ კოორდინირებულ მუშაობას საჭიროებს. ჟოზეპ ბორელმა იქვე დასძინა, რომ ამისთვის ჯერჯერობით საკმარის მზადყოფნას ვერ ხედავს.**

**ცნობისთვის:** 20 ნოემბერს ევროკავშირის თავდაცვის მინისტრებმა თავდაცვის ყოველწლიური ანგარიში განიხილეს. დოკუმენტის თანახმად, ამჟამად ნატოსთვის ევროკავშირის ჯარებისა და შეიარაღების მხოლოდ 60%-ია ხელმისაწვდომი, რომელიც ნორმაზე გაცილებით დაბალი მაჩვენებელია. გარდა ამისა, ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები ერიდებიან თავიანთი შეიარაღებული ძალების განლაგებას ალიანსის მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის თავდაცვისუნარიანობის სისუსტეზე და ამის ფონზე მოსალოდნელ საფრთხეებზე დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმაც** ისაუბრა. მაკრონის განცხადებით, ევროპამ უსაფრთხოების ახალი სისტემა უნდა შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი არსებობა და განვითარების პერსპექტივა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

**არის კი დღეს ევროკავშირი და ნატო საქართველოსთვის ე.წ. უსაფრთხოების ქოლგა და რა მომავალს გვპირდება აღნიშნული ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობაც უკვე საჯაროდ საუბრობს, რომ საკუთარ უსაფრთხოებასაც კი ვერ უზრუნველყოფს? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში — ჟოზეპ ბორელმა განაცხადა, რომ დღეს ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებელი სამხედრო ძალა ჰყავდეს. რა პოლიტიკურ გზავნილებს შეიძლება შეიცავდეს ეს განცხადება საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის, რომლებიც თავისი განვითარების პერსპექტივას როგორც თავდაცვის, ისე ეკონომიკის მიმართულებით, სწორედ ევროკავშირში ხედავენ? არის კი ამ მდგომარეობაში მყოფი ევროკავშირი უსაფრთხოების გარანტი საქართველოსთვის?**

— ვფიქრობ, ეს განცხადება არის კიდევ ერთი ცივი შხაპი იმ ძალებისთვის, რომელთა პოლიტიკური დემაგოგიაც უკვე გასცდა ყოველგვარ საზღვრებს და ცდილობს, საზოგადოება ილუზიაში აცხოვროს. მხედველობაში მაქვს ის პროპაგანდა, რომ, თურმე, ევროპა და ევროკავშირი ნატოსთან ერთად არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტი, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება იმ გზავნილებსა თუ ქვეტექსტებს, რომლებსაც ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადება შეიცავდა, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ **მსგავსი განცხადებებით მათ სურთ, რეალობისკენ შემოაბრუნონ ჩვენებური ცხელი თავები, რომლებმაც უკვე გადაწყვიტეს, რომ მორჩა, რაკი პუტინმა ჯარი შეიყვანა სამხრეთ კავკასიაში და კიდევ უფრო გაიძლიერა პოზიციები, ამის საპასუხოდ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს ჩვენთან სამხედრო ბაზის განლაგება. ზღაპარია ეს ყველაფერი და ასე არ მოხდება არც გრძელვადიან, მით უფრო არც მოკლევადიან პერსპექტივაში, ვინაიდან არაფერი მსგავსი დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში იდეის დონეზეც არ არის.** უბრალოდ, აქ მოსალოდნელია, რომ **ბაიდენის** გაპრეზიდენტების შემთხვევაში უფრო მეტი აქტიურობა იქნება რუსეთის გავლენების შესამცირებლად, ეს გარკვეულ პოლიტიკურ მნიშვნელობას შესძენს საქართველოს, მაგრამ **ის რიტორიკა თუ მოლოდინი, რომ აქ ამერიკის ბაზები იქნება, კიდევ ვიმეორებ, არის წმინდა წყლის დემაგოგია.** საერთოდ, ჩვენ ერთი რამ უნდა გვახოვდეს და ეს, როგორც ჩანს, მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში ვილაცებს ავიწყდებათ: რა ძალებიც არ უნდა მოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სათავეში, რა აგრესიული ანტირუსული კურსის გამტარებელმა ხალხმაც არ უნდა ჩაიბაროს ადმინისტრაცია, არსებობს გარკვეული წითელი ხაზები, რომლებსაც ისინი, უბრალოდ, ვერ გადაკვეთენ. ვერ გადაკვეთენ ვერც რუსეთის, ვერც ჩინეთის და ვერც სხვა რომელიმე დიდი გეოპოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბაიდენს ხელ-ფეხი ბოლომდე გახსნილი ვერ ექნება, რადგან სენატში, მოგეხსენებათ, უმრავლესობას რესპუბლიკელები წარმოადგენენ. გამომდინარე აქედან, ტრამპი გინდ დამარცხდეს, პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლას არ აპირებს. ის ისევ რჩება ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად, რომელიც ნამდვილად შეუქმნის ბაიდენს დიდ დისკომფორტს.

**— მოდი, ასე შევხედოთ ამ საკითხს: თუ ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები წითელი ხაზების გადასაკვეთად მზად არ არიან და, ალბათ, ასეა, თუკი მათ დღის წესრიგში არც კი განიხილება საქართველოსთვის უფრო აქტიური, ქმედითი მხარდაჭერის გაწევა, მათ შორის სამხედრო თვალსაზრისით, მაშინ რას ემსახურება რეალურად ის სახელისუფლო პროპაგანდა, რომ აქ, შესაძლოა, ამერიკის სამხედრო ბაზა განლაგდეს?**

— ვერ გეტყვით, რა აჯაფსანდალი იხარშება **კობახიძის** ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის თავში, ეს მათ უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დღეს ევროკავშირს აქვს რამდენიმე ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემა, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის არსებობას. გაიხსენეთ **მაკრონის** განცხადება, რომ ევროპამ უსაფრთხოების ახალი სისტემა უნდა შექმნას და თვითონ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება, რომლის გარეშეც ის დაიღუპება. გაიხსენეთ მისი კრიტიკული განცხადება ნატოს მიმართ, რომელზეც ერთი ამბავი ატეხეს ევროპელმა ლიდერებმა, მაგრამ მაკრონმა უკან არ დაიხია. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ **ევროპა, რომელსაც თავის ტკივილად ექცა უკონტროლო მიგრაცია, ტერორიზმი და აგერ უკვე კოვიდ 19-ის პანდემიაც დაემატა, მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ე.წ. მულტიკულტურიზმმა სრული კრახი განიცადა იმ თვალსაზრისით, რომ მილიონობით მიგრანტის სოციალური ასილიმაცია ვერ მოხერხდა და პერსპექტივაში, ფაქტობრივად, მუსლიმანური ევროპაა...** რაც შეეხება ნატოს, 2017 წლის შემდეგ, როცა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩერნოგორია მიიღეს, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ არაერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გაფართოება არ იგეგმება. სხვა საკითხია, რომ ნატოს ყოფილი გენერლები, რომლებსაც უკვე აღარ ეკისრებათ იმდენი პოლიტიკური პასუხისმგებლობა, უფრო პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ და ამბობენ, რომ, როგორც საქართველო, ისე უკრაინა, დაუყოვნებლივ უნდა მიილონ... კი, ბატონო, ეს ყველაფერი ვილაცისთვის შეიძლება, სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ რეალობა რადიკალურად განსხვავებულია. აი, ეს არის ობიექტური მოცემულობა, რომელსაც ვერ გავექცევით, ამიტომ, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, **საუბარი იმაზე, რომ თურმე აქ მომავალში ამერიკის ბაზები განთავსდება და მერე რაღა გვიჭირს — მხოლოდ და მხოლოდ დაბალი პოლიტიკური დონის მაჩვენებელია.** ეს არის პოლიტიკური ბაგა-ბაღი, რომელსაც დღეს მსოფლიოში და გნებავთ, რეგიონში შექმნილ რეალურ გეოპოლიტიკურ კონიუნქტურასთან საერთო არაფერი აქვს...

**«მსგავსი განცხადებებით მათ სურთ, რეალობისკენ შემოაბრუნონ ჩვენებური ცხელი თავები, რომლებმაც უკვე გადაწყვიტეს, რომ მორჩა, რაკი პუტინმა ჯარი შეიყვანა სამხრეთ კავკასიაში და კიდევ უფრო გაიძლიერა პოზიციები, ამის საპასუხოდ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს ჩვენთან სამხედრო ბაზის განლაგება. ზღაპარია ეს ყველაფერი, ასე არ მოხდება არც გრძელვადიან, მით უფრო არც მოკლევადიან პერსპექტივაში, ვინაიდან დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში იდეის დონეზეც კი არ არის მსგავსი რამ»**

**— რას მოგვიტანს, საბოლოო ჯამში, ეს პოლიტიკა, მით უფრო, რომ ყარაბაღის მოვლენების შემდეგ რეგიონში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა?**

— უარეს შემთხვევაში ეს პოლიტიკა მოიტანს იმას, რომ საქართველო, ადრე თუ გვიან, ისევ შეიძლება გახდეს დიდი სახელმწიფოებისა და გეოპოლიტიკური დაპირისპირების ცხელი წერტილი, რაც არაერთხელ გამოგვიცდია ისტორიულად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მოიტანს იმას, რომ არაფერი არ შეიცვლება. ე.ი., დავრჩებით ისევ იმ სტაბილური კრიზისის რეჟიმში, რომლის დადებით კონტექსტში წარმოჩენასაც ცდილობს ხელისუფლება. თუმცა ესეც ერთგვარი რეგრესია, რომელიც სახელმწიფოს კარგს არაფერს უქადის. რაც შეეხება რეგიონში მიმდინარე პროცესებს და იმ მოსაზრებებს, რომ, თუ ვთქვათ, აქ ამერიკის ბაზების განთავსების საკითხი აქტიურად დადგება, კრემლმა, შესაძლოა, გარკვეული მოქმედებები განახორციელოს საქართველოს მიმართ, არ მგონია, ეს რეალური იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის ყოველთვის არსებობს არაოფიციალური შეთანხმებები, რომლებიც ე.წ. წითელ ხაზებს გულისხმობს. **მოსკოვში კარგად ხედავენ და ხვდებიან, რომ დასავლეთი ამ წითელი ხაზების გადამკვეთი, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ვითარებაში, არ არის...** ის, რომ საქართველოს ნატოში მიღების საკითხი ალიანსის დღის წესრიგში არ დგას, აშკარაა. რაც შეეხება მოლოდინებს, საერთოდ, **ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, დიდი ხანია, ილუზორულ სამყაროშია.** მიზეზებს თუ მკითხავთ, ჩემი აზრით, უმთავრესი მიზეზი არის პოლიტიკის მეცნიერულ დონეზე უცოდინარობა. **დღეს საქართველოში არც ერთ პარტიას, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ქვეყნის მართვაზე, არ აქვს მძლავრი ანალიტიკური ცენტრი, რომელიც საფუძვლიანად გააანალიზებს მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად, პოლიტიკა დაემსგავსა სოფლის ორღობეში ჭორაობას.**

ნახეთ, რა ხდება — ტარდება არჩევნები, იგებს ხელისუფლება, არ აღიარებს ოპოზიცია და მერე იწყება ქუჩის აქციები, რომლებიც ბოლოს მთავრდება მოლაპარაკებით. აი, ეს არის ის ყბადაღებული სქემა, რომლითაც, დიდი ხანია, არჩევნებიდან არჩევნებამდე ყალიბდება პოლიტიკური კონფიგურაცია... სხვათა შორის, წლების წინათ, როცა **ივანიშვილი** ჯერ კიდევ არ იყო ხელისუფლებაში, მე დავწერე, რომ მას გუნდში აკლდა კვალიფიციური პოლიტიკოსები. ამის გამო გამლანძღა და უვიცი მიწოდა. ეს არაფერი, მაგრამ უბედურება არის ის, რომ ანალოგიური მიდგომები დღემდე გრძელდება. ჩემი აზრით, **პირველ რიგში, შესაცვლელია ის, რომ პოლიტიკურად დაბალი დონე არ იყოს ქვეყანაში, თუმცა, სანამ ძალაუფლებას აკონტროლებს ადამიანი, რომელსაც პოლიტიკა არ უყვარს იმიტომ, რომ მასზე, პოლიტიკურ მეცნიერებაზე, უბრალოდ, წარმოდგენა არ აქვს, ეს, ალბათ, ვერ მოხდება. პირიქით, ასეთ ადამიანებს ყოველთვის ურჩევნიათ პროცესების გამარტივება და გაპრიმიტიულება, რათა იოლად მართონ ქვეყანა და იოლად გადაწყვიტონ ყველა საკითხი, თუნდაც ეს გადაწყვეტილებები წმინდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით საზიანო და დამღუპველიც კი იყოს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ში ჩატარებული ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში თვით მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაყვირის, — არჩევნები გამიყალბესო. ბურჟუაზიული არჩევნების მთელი სიბინძურის უფრო მეტად გაშიშვლება როგორ უნდა მოხდეს? როგორ უნდა მოხდეს იმ შემზარავი ფაქტის უფრო მეტად წარმოჩენა, რომ მსოფლიო დემოკრატიის მექად აღიარებულ აშშ-ში არსებობენ ისეთი ძლიერი ბნელი ძალები, რომლებსაც ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ არჩევნების გაყალბება შეუძლიათ?!**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

ოცდამეათე გადაცემა

## შევლენ კი არა, შეასწრებენ ერთმანეთს, ანუ საქართველო ზოგადსაკაცობრიო ორომტრიალში




**ვალერი კვარაცხელია:**
— გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

ჩამთავრდა არჩევნები თავის მეორეტურიანად. ჩხუბი, წივილ-კივილი, ალიაქოთი თითქოს უკან მოვიტოვეთ და ახლა ის დრო დადგა, როდესაც უნდა გავიაზროთ, რა მივიღეთ. გვყავდა პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობა ჰქონდათ ქოცებს, მეორე ადგილზე კი იყვნენ ნაცები. ახლაც გვაქვს პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობა აქვთ ქოცებს, მეორე ადგილზე კი კვლავ ნაცები არიან. არაფერი შეცვლილა — გვყავდა ქოც-ნაცური ხელისუფლება და გვყავს ქოც-ნაცური ხელისუფლება. 2016 წლის არჩევნების ჩასატარებლად ცესკომ **38 156 230** ლარი თუ დახარჯა, მიმდინარე წელს ეს ფუფუნება ქართველ ხალხს **42 760 652** ლარი დაუჯდა.

ჩნდება შეკითხვები:

*** არჩევნებით თუკი არაფერი იცვლება, ამ კოლოსალური თანხების დახარჯვას (წყალში გადაყრას) რა აზრი აქვს?**

ხალხის ნება თუკი ასეთია, მაშინ ეს ნება არჩევნებით ხომ უნდა გამოიხატოს? შეკითხვაზე, ალბათ, შეკითხვითვე მიპასუხებთ თქვენ. მეც სხვა გზა არ მრჩება, გარდა იმისა, რომ ჩემს შეკითხვაზე თქვენ მიერ შეკითხვითვე გაცემულ პასუხს ახალი კონტრშეკითხვა დავუპირისპირო.

*** მართლა ფიქრობთ, რომ ასეთია ქართველი ხალხის ნება?**

ნება მომეცით, მშრალად დასმულ ამ ბოლო შეკითხვას საფუძვლიანად ჩავუღრმავდე.

**რას ნიშნავს ხალხის ნება?** ქართველი ხალხის ნებაა ის აუტანელი რეალობა, რომელშიც ცხოვრობს? მაშინ, მოდი, ზედაპირულად მაინც გადავავლოთ თვალი თანამედროვე ქართულ რეალობას:

*** ტერიტორიულად დაშლილი საქართველოა ქართველი ხალხის ნება?**

*** დემოგრაფიულად განახევრებული საქართველოა ქართველი ხალხის ნება?**

*** ეკონომიკურად გაჩანაგებული საქართველოა ქართველი ხალხის ნება?**

*** მონური შრომის ფასად ლუკმაპურის მოსაპოვებლად საზღვარგარეთ გადახვეწილი მოსახლეობაა ქართველი ხალხის ნება?**

*** ერთი მუჭა მდიდრები და გაღატაკებული საქართველოა ქართველი ხალხის ნება?**

*** ხელგამოწვდილი მათხოვრებით გავსებული ქუჩები, გზაჯვარედინები, მოედნები, მიწისქვეშა გასასვლელები, ეკლესიები, სასაფლაოები... ანუ მათხოვრებით სავსე საქართველოა ქართველი ხალხის ნება?**

*** უიმედობა, საყოველთაო სასოწარკვეთა და ინფექციასავით მოძალებული თვითმკვლელობებია ქართველი ხალხის ნება?**

რომელ ნებაზე მელაპარაკებით?!

დაგისახელოთ, გაჩვენოთ, გაგაცნოთ ფეხებდასიებული, თითქმის ხეიბარი ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც რის ვაი-ვაგლახით მივიდა უბანზე და, არა მხოლოდ მისი, არამედ გარდაცვლილი მეუღლის სახელითაც ხმა მისცა პარტიას, რომელიც, მართალია, მკურნალობის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ არჩევნების წინა დღეს კონვერტში ჩადებული ორი თუ სამი ცალი ასლარიანი სახლში მიართვა?

**ესაა ქართველი ხალხის ნება?**

არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ ადამიანის ვინაობის დაკონკრეტება. მეც და თქვენც უამრავი ასეთი ფაქტი ვიცით, მაგრამ აქ იმის შესახებ არაა საუბარი, რომ ერთი რომელიმე პარტია დანარჩენებს პარავს ხმებს, აქ საუბარია იმაზე, რომ **ყველა პარტია ერთი და იგივეა. მათთვის აქვს მნიშვნელობა, თორემ ხალხისთვის არანაირი განსხვავება არ არის, რომელი მათგანი მოიპარავს და მიითვისებს ან, უბრალოდ, იყიდის ხმებს, რადგან ყოვლად უვარგის ცხოვრების წესსა და დაკანონებულ უსამართლობას არც ერთი შეცვლის, არც მეორე და... არც მეათე. ჩვეულებრივ უსამართლობასთან, რომელსაც კანონის დარღვევა ჰქვია, რომ გვქონდეს საქმე, რა გვიჭირდა. საქმე, ხაზს ვუსვამ, დაკანონებულ უსამართლობასთან გვაქვს.**

საზოგადოებაში კონსტიტუციით ნებადართულია ღატაკთა და მილიარდერთა გვერდიგვერდ არსებობა. სიღატაკის არსებობაც და მილიარდერთა არსებობაც სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაულია. დანაშაული შობს ორივეს. სამართლიან სახელმწიფოში არც ერთისთვის არ უნდა იყოს ადგილი. დააკვირდით: **სადაც მილიარდერები არ არსებობენ, იქ არც ღატაკები არიან და, სადაც ღატაკები ვერ ჩნდებიან, მილიარდერიც ვერ გაჭაჭანდება. ღატაკი და მილიარდერი ის დიალექტიკური მთლიანობაა, რომელიც ერთმანეთთან მუდმივ დაპირისპირებაში არიან, მაგრამ ერთმანეთის არსებობასაც განაპირობებენ. ღატაკი და მილიარდერი საზოგადოების ერთი დიდი უბედურების ორი აუცილებელი კომპონენტია, სოციალური უსამართლობის ორი განუყრელი ნაწილი.**

ამიტომაცაა, რომ თვით უკიდურესად მემარჯვენე პარტიათა წინასაარჩევნო დაპირებები ღია მემარცხენე შეფერილობას იძენს.

— უფასო ჯანდაცვა, უფასო განათლება, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო, — გაჰკივიან ისინი მთელი ხმით. არანაირი „სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო“ ბუნებაში არ არსებობს. ბუნებაში არსებობს სოციალისტური სახელმწიფო. **თუკი სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებულია, მაშასადამე, ის სოციალისტური სახელმწიფოა. თუკი სახელმწიფო სოციალისტური არ არის, სოციალურად ორიენტირებული ვერ იქნება. მორჩა და გათავდა.** ევროპაში (განსაკუთრებით, სკანდინავიის ქვეყნებში) არის ფასადის სოციალისტურად შელამაზების მცდელობები, რაც, რა თქმა უნდა, ამერიკულ კაციჭამია სისტემას გაცილებით სჯობს, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას: **სოციალურ სამართლიანობას სოციალიზმი ჰქვია, სოციალურ უსამართლობას კი — კაპიტალიზმი. ჰოდა, როდესაც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მქონე რომელიღაც თაღლითი პარტია ჯანდაცვისა და განათლების უფასო სისტემებს გპირდება, უნდა ჰკითხო, როგორ აპირებს ამას, კაპიტალისტური ურთიერთობების შენარჩუნებით? თუკი ვინმეს ჰგონია, რომ საბაზრო ეკონომიკის ვითარებაში უფასო სისტემების არსებობა შესაძლებელია, იგი ამ საკითხებში აბსოლუტურად ჩაუხედავია.** უფასო სისტემების არსებობა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ეკონომიკის პირობებში მიიღწევა, ვინაიდან ცნება „უფასო“, მოგეხსენებათ, პირობითი ხასიათისაა. ესა თუ ის სისტემა უფასოა იმდენად, რამდენადაც მას სახელმწიფო აფინანსებს, ანუ სოციალურ დატვირთვებს სახელმწიფო ისე გადაანაწილებს დარგებზე, რომ მოქალაქე ამ დატვირთვას ვერ გრძნობს, ვინაიდან კონკრეტულ მოქალაქეს კონკრეტულ მომსახურებაში საფასურის გადახდა არ უწევს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი რამ ვერ მოხდება, ვინაიდან სისტემები სხვა პრინციპზეა აგებული და სახელმწიფოს, უბრალოდ, არ გააჩნია ბერკეტები, რომლებიც ამგვარი რეგულაციებისთვისაა აუცილებელი. ამიტომ, **პოლიტიკური პარტია თუ გეუბნება, საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნებით უფასო სისტემებს დავნერგავო, ის პარტია გატყუებთ. პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლმხედველობის თვალსაზრისით მხოლოდ ის პარტია შეიძლება ჩაითვალოს თანმიმდევრულ პარტიად, რომელიც იტყვის, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობას ეკონომიკის სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანის გზით გპირდებითო.**

გავიხსენოთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიათაგან რომელი გპირდებოდათ საბაზრო ეკონომიკის შეცვლას სახელმწიფოს მიერ რეგულირებული გეგმიანი ეკონომიკით. არც ერთი, ხომ?! ასეთ შემთხვევაში ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რამდენი ხმა მიიღო, ვის რამდენი ხმა გაუყალბეს ან მოჰპარეს, ვინ რამდენი ამომრჩეველი მოისყიდა და ა.შ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მათთვის აქვს მნიშვნელობა, ვინც იქნება სახელმწიფოს მართვის საჭესთან, მაგრამ მართვის საჭე და პრინციპები თუ არ იცვლება, ასეთ შემთხვევაში, ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, უსამართლობის მიმართულებით მიმავალი სახელმწიფოს საჭესთან მჯდომი კაცის გვარი **ივანიშვილი** იქნება, **სააკაშვილი** თუ, სულაც, **ბაგრატიონ-მუხრანსკი.** ▶

**ნაცები გაჰკივიან, — პარლამენტში არ შევალთ, რადგან არჩევნები გაგვიყალბესო. 2003 წლიდან მოყოლებული, ამ პარტიას არჩევნების გაყალბების მეტი არაფერი უკეთებია. მათ ამ საქმეში მსოფლიოში არსებული ყველა რეკორდი მოხსნეს და არჩევნების გაყალბების „კლასიკა“ შექმნეს. დღეს კი ლოყებს იხოკავენ, — არჩევნები გაგვიყალბესო. არჩევნების გაყალბების პრაქტიკა, მართალია, არსად წასულა, დღესაც ჩვენთან არის, მაგრამ იგი არც ნაცებს მოუგონიათ და არც ქოცებს. ეს პრაქტიკა ბურჟუაზიული არჩევნების თანდაყოლილი სენი და უბედურებაა, ხოლო საბოლოო შედეგი არა ხალხის ნებით, არამედ ფულისა და ძალმომრეობის ბერკეტებით მიიღწევა**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველა პოლიტიკურ ძალას სიებში ბიზნესმენები ჰყავს ჩასმული, რომლებიც პარლამენტში, ჟარგონით უნდა ვთქვათ, თავიანთი ბიზნესებისთვის „კრიშის“ მოსაპოვებლად შედიან... იმ ადამიანებმა დეპუტატის მანდატში უზარმაზარი თანხები იმიტომ გადაიხადეს, რომ დეპუტატის მანდატმა უფრო მეტის შოვნის შანსი მისცეს და ახლა პოლიტიკოსების რაღაცა სულელური პრინციპების გამო უარს იტყვიან მანდატებზე, რომლებიც უკვე ჯიბეში უდევთ?!

◀ ნაცები გაჰკივიან, — პარლამენტში არ შევალთ, რადგან არჩევნები გაგვიყალბესო. 2003 წლიდან მოყოლებული, ამ პარტიას არჩევნების გაყალბების მეტი არაფერი უკეთებია. მათ ამ საქმეში მსოფლიოში არსებული ყველა რეკორდი მოხსნეს და არჩევნების გაყალბების „კლასიკა“ შექმნეს. დღეს კი ლოყებს იხოკავენ, არჩევნები გაგვიყალბესო. არჩევნების გაყალბების პრაქტიკა, მართალია, არსად წასულა, დღესაც ჩვენთან არის, მაგრამ იგი არც ნაცებს მოუგონიათ და არც ქოცებს, ეს პრაქტიკა ბურჟუაზიული არჩევნების თანდაყოლილი სენი და უბედურებაა, სადაც საბოლოო შედეგი არა ხალხის ნებით, არამედ ფულისა და ძალმომრეობის ბერკეტებით მიიღწევა. მაგალითი გნებავთ? ინებეთ: **აშშ-ში ჩატარებული ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში თვით მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაყვირის, — არჩევნები გამიყალბესო. ბურჟუაზიული არჩევნების მთელი სიბინძურის უფრო მეტად გაშიშვლება როგორ უნდა მოხდეს? როგორ უნდა მოხდეს იმ შემზარავი ფაქტის უფრო მეტად წარმოჩენა, რომ მსოფლიო დემოკრატიის მექად აღიარებულ აშშ-ში არსებობენ ისეთ ძლიერი ბნელი ძალები, რომლებსაც ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ არჩევნების გაყალბება შეუძლიათ?! ერთი უბედურებაა ის ამბავი, როდესაც ოფიციალურ ხელისუფლებას ძალუძს არჩევნების გაყალბება, მაგრამ ათასჯერ დიდი უბედურებაა არსებობა ბნელი ძალებისა, რომლებიც ხელისუფლებაზე ძლიერნი არიან.**

ეს საუბარი იქით მიმყავს, რომ ჩვენ დაგვანგრევინეს სამართლიანი სოციალისტური სისტემა და გადაგვისროლეს იმ მიმართულებით, სადაც აბსოლუტური უსამართლობა და განუკითხაობაა. ჩვენ დავინახეთ და გავაცნობიერეთ, რომ მწარედ მოგვატყუეს, ამიტომ დღემდე წარსულს ვაფარებთ თავს და კაპიტალისტურ „სამოთხეს“ სოციალიზმის ნანგრევებში (თუნდაც, წარმოსახვით) ცხოვრებას ვამჯობინებთ, რადგან იმ ნანგრევებშიც კი მეტი წესიერება, სიყვარული და ადამიანური სითბოა, ვიდრე დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგებით ფასადმოპირკეთებულ კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში.

**ვიღაც იდიოტები ღრიცინებენ ტელეეკრანებიდან. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც ე.წ. ოპოზიციამ მონაწილეობაზე უარი თქვა და მხოლოდ ქოცები მონაწილეობდნენ, თავისი ერთპარტიულობით საბჭოთა არჩევნებს დაემსგავსაო. ვაი, თქვენს პატრონს, თქვე მართლა უკიდურესად და უსაშველოდ ბრიყვებო! საბჭოთა ერთპარტიული სისტემა სოციალისტური რევოლუციის შედეგი იყო, სადაც ხალხმა მჩაგვრელებზე გაიმარჯვა და ერთხელ და სამუდამოდ დაამყარა ექსპლოატაციისგან, მილიარდერებისგან და ათასი ჯურის სისხლისმწოველებისგან თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა.** იმ სისტემის შემოქმედი კომუნისტური პარტია იყო და იმ საზოგადოებაში საწინააღმდეგო იდეოლოგიისთვის ადგილი არ რჩებოდა, ვინაიდან არც კომუნისტები და არც ხალხი მოპოვებულის დათმობას არ აპირებდნენ. ამიტომაც იყო, რომ წურბელა პარტიების არსებობა, რომელთა არსენალში მოსყიდვა, გადაბირება, მოტყუების გარდა ზემოქმედების სხვა რამ დადებითი ხასიათის ბერკეტი არ მოიპოვება, დაუშვებელი იყო. **რა დონისა და მასშტაბის უვიცი უნდა იყო, რომ ქოცების ერთპარტიულობა კომუნისტურ ერთპარტიულობას შეადარო. კიდევ უფრო დიდი რეგვენი უნდა იყო, რომ კაპიტალისტური მრავალპარტიულობა მართლა მრავალპარტიულობა გეგონოს და ვერ ხვდებოდე, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ბრძოლა და დაპირისპირება ხელისუფლებისთვის ბრძოლა და დაპირისპირებაა და არა ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლა და დაპირისპირება.**

დასავლეთისთვის ყველგან და ყოველთვის სახის შენარჩუნება და ფასადის მოწესრიგებაა მთავარი.

ჩვენთან ჩატარებულ არჩევნებს, რომელსაც ასეთი ალიაქოთი მოჰყვა, ევროპელები უცნაური განცხადებით გამოეხმაურნენ.

**ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში:** — ვწუხვართ იმ უნდობლობის გამო, რომელმაც საარჩევნო პროცესზე ზეგავლენა მოახდინა.

**ვალერი კვარაცხელია:** — გაფიცებთ ყველა საფიცარს, არ დამიმალოთ, ამ განცხადებაში აზრის ნასახს თუ აღმოაჩენთ. **აი, ამ სათაურს რომ წაიკითხავ და შეურაცხყოფილი არ დარჩები, მაშინ ყველაფრის ღირსი ხარ. ამ სათაურს რომ წაიკითხავ, მასალა არ უნდა წაიკითხო ან მხოლოდ იმის გასაგებად უნდა წაიკითხო, თუ კიდევ რა შეურაცხყოფას აპირებენ ეს ბატონები და ქალბატონები.** მე და თქვენ რაკი სწორედ ამ კატეგორიას მივეკუთვნებით, მოდი, ნუ დავიზარებთ ამ საოცარი შემოქმედების თავიდან ბოლომდე გაცნობას.

**ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში:** — 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ კვლავ ვადასტურებთ, რომ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო დამკვირვებლების ერთობლივ განცხადებას, რომელიც პირველი ტურის შემდეგ გამოქვეყნდა და ველოდებით ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიშს, რეკომენდაციების ჩათვლით, გამოვლენილი ხარვეზების მოსაგვარებლად. წუხილს გამოვთქვამთ იმ უნდობლობის გამო, რომელმაც საარჩევნო პროცესზე ზეგავლენა მოახდინა, ასევე, იმის გამო, რომ მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატებმა საპარლამენტო ადგილებისთვის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს. ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს დემოკრატიულ პროცესებსა და სამართლებრივი ჩარჩოების დაცვას. საქართველოს სჭირდება ქმედითი პარლამენტი, როგორც ცენტრალური ფორუმი პოლიტიკური დებატებისთვის, სადაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ჩვენი საერთო ვალდებულებების შესაბამისად ყველა პარტია რეფორმების გასატარებლად

**არჩევნებისთვის დავხარჯეთ 42 მილიონზე მეტი და მივიღეთ იგივე ქოც-ნაცური ხელისუფლება. რაც მთავარია, ამ ხელისუფლებას ლეგიტიმური, ანუ ხალხის ნების გამომხატველი ხელისუფლება ერქმევა. სინამდვილეში კი ეს იქნება დასავლეთის ნების გამომხატველი ხელისუფლება, ვინაიდან ყველა სხვა შემთხვევაში, დასავლეთი ე.წ. ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ კი არა, პროტესტის გაგრძელებისკენ მოუწოდებდა და სიტუაციას უფრო დაძაბავდა. დასავლეთმა მიიღო ის, რაც სურდა; ქართველმა ხალხმა მიიღო ის, რაც არ სურდა!**



ერთად იმუშავებს. ამიტომ იმედი გვაქვს და მოველით, რომ ყველა პოლიტიკური პარტია შეძლებს მათ შორის არსებული განსხვავებების გადალახვას, რომ პარლამენტის ყველა არჩეულმა წევრმა, მიუხედავად მათი მხრიდან საარჩევნო პროცესის განსხვავებულად შეფასებისა, პარლამენტში თავისი ადგილი დაიკავოს. მოვუწოდებთ პარლამენტის წევრებს, გამოიყენონ საქართველოს მოქალაქეების მიერ მათთვის მინიჭებული მანდატები, განიხილონ მოუგვარებელი პოლიტიკური საკითხები და შექმნან უკეთესი საფუძველი მომავალი არჩევნებისთვის ამბიციური საარჩევნო და სასამართლო რეფორმების გზით. პარლამენტმა, ასევე, სრულად უნდა შეასრულოს თავისი როლი ჯანდაცვისა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში არსებული საგანგებო გამოწვევების გადასაჭრელად, რომელთა წინაშე ქვეყანა პანდემიის გამო აღმოჩნდა. სრულად ვუჭერთ მხარს თითოეული მოქალაქის მიერ სიტყვისა და შეკრების თავისუფლების მშვიდობიანი გზით გამოყენების უფლებას და ვგმობთ ძალადობის ნებისმიერ ფაქტს თუ ძალადობის შემცველ მუქარას. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, თავი შეიკავონ პროვოკაციული ქმედებებისგან, ხოლო ხელისუფლებას — დაიცვას კანონის უზენაესობა, მათ შორის ნებისმიერი ბრალდების სანდო და სწრაფი გამოძიების გზით, რომელსაც გამჭვირვალე და სამართლიანი სასამართლო პროცესები მოჰყვება. დღეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციური პარტიების პოლიტიკურ ლიდერებს, რათა გამონახონ საერთო ენა საერთო მიზნის მისაღწევად. ეს საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, ეფექტიანად გააგრძელოს დემოკრატიული გზით სვლა და ევროპული დღის წესრიგის განხორციელება საქართველოს, მისი მოქალაქეების ინტერესებისა და ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გათვალისწინებით. ევროკავშირი კვლავ მზად არის, დაეხმაროს საქართველოს ამ ძალისხმევაში.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიდ ბოდიშს ვიხდი ამ ვრცელი სისულელის ციტირების გამო, მაგრამ ამ აბსურდის, ამ პოლიტიკურ-დიპლომატიური ნონსენსის მთელი „სურნელი“ სხვაგვარად როგორ მომეტანა თქვენამდე? ამ აბდაუბდაში მხოლოდ ერთი რამ არის ნათელი: **დასავლეთმა ნაცებს პარლამენტში შესვლა დაავალა. ისინი თუკი პარლამენტში შევლენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა დანარჩენი, ვინც ცესკოს ვერდიქტით ბარიერი გადალახა, პარლამენტში აღმოჩნდება, ვინაიდან გარეთ დარჩენასა და პროტესტის გაგრძელებას მათთვის აზრი დაეკარგება. თუმცა, მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას სიებში ბიზნესმენები ჰყავს ჩასმული, რომლებიც პარლამენტში, ჟარგონით უნდა ვთქვათ, თავიანთი ბიზნესებისთვის „კრიშის“ მოსაპოვებლად შედიან.**

ისინი დაანებებენ პარტიებს, რომ პრინციპების გამო მანდატები დაუკარგონ მათ, ვინც ასიათასობით დოლარი ჩადო ამ საქმეში? როგორც გეკადრებათ, **იმ ადამიანებმა დეპუტატის მანდატში უზარმაზარი თანხები იმიტომ გადაიხადეს, რომ დეპუტატის მანდატმა უფრო მეტის შოვნის შანსი მისცეს და ახლა, პოლიტიკოსების რაღაცა სულელური პრინციპების გამო უარს იტყვიან მანდატებზე, რომლებიც უკვე ჯიბეში უდევთ?! ხომ წავა საქმის გარჩევები და ერთმანეთის ხოცვაჟლეტა?! შევლენ, შევლენ... შევლენ კი არა, შეასწრებენ ერთმანეთს.**

და, აი, მოვედით იქ, რითაც დავიწყეთ: **არჩევნებისთვის დავხარჯეთ 42 მილიონზე მეტი და მივიღეთ იგივე ქოცნაცური ხელისუფლება. რაც მთავარია, ამ ხელისუფლებას ლეგიტიმური, ანუ ხალხის ნების გამომხატველი ხელისუფლება ერქმევა. სინამდვილეში კი ეს იქნება დასავლეთის ნების გამომხატველი ხელისუფლება, ვინაიდან ყველა სხვა შემთხვევაში, დასავლეთი ე.წ. ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ კი არა, პროტესტის გაგრძელებისკენ მოუწოდებდა და სიტუაციას უფრო დაძაბავდა. დასავლეთმა მიიღო ის, რაც სურდა, ქართველმა ხალხმა მიიღო ის, რაც არ სურდა!**

რა ეშველება ამ ვითარებას, ან ეშველება საერთოდ?

რთული შეკითხვაა. იმ სახალხო ძალას, რომელიც ყაჩაღებს ხელიდან გამოგლეჯს ქვეყანას და სახალხო ინტერესებისკენ შემოაბრუნებს, ძირშივე გაანადგურებენ. დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები კი, როგორი დაპირისპირებულიც უნდა იყვნენ ერთმანეთთან, მათთვის კრიტიკულ სიტუაციაში ყოველთვის მოახერხებენ გაერთიანებას, იმიტომ, რომ ერთნაირად თახსირი მსოფლმხედველობა აქვთ, ერთი პატრონი ჰყავთ და ერთი ხელიდან იკვებებიან.

არის ერთი ძალიან დიდი პრობლემაც, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. **ათწლეულების განმავლობაში დასავლურმა აღვირახსნილმა პროპაგანდამ საზოგადოების საგრძნობი ნაწილის ცნობიერება ისე დააზიანა, რომ უმუშევრად, უექიმოდ, უწამლოდ და უყურადღებოდ დარჩენილთა შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც სიტყვა „სოციალიზმის“ გაგონებაზე სახეს მაიმუნებივით ჭყანავენ და ხელებს ასავსავებენ, — არ მიხსენო, არ მიხსენოო. ეს ის კატეგორიაა, რომელიც თავიდან ფიქრობდა, რომ სოციალიზმის პირობებში გამდიდრების შანსი თუ არ მქონდა, კაპიტალიზმი ამგვარ შანსს მიჩენსო.** მერე, როდესაც მიხვდა, რომ კაპიტალიზმმა გამდიდრების შანსი კი არა, სოციალიზმის მიერ ბოძებული ნორმალური პირობებიც წაართვა, ყველაფერი საკუთარ უგერგილობას დააბრალა და სიმდიდრისადმი მისთვის ასე შეურაცხმყოფელი ლტოლვა იდეის სახით შემოინახა. **საკუთარი უგუნურების გამო კაპიტალიზმის მეხოტბედ დარჩენილი ეს თავმოყვარეობადაკარგული კატეგორია სხვის სიმდიდრეს შესტრფის, სხვის სასახლეებს შეჰხარის და აინუნშიც არ მოსდის ის ამბავი, რომ არა მხოლოდ უბედური, არამედ სასაცილოცაა.**

პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით, რთული და მრავალასპექტიანია. იგი მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის, ზოგადსაკაცობრიოა. ცხოვრება დღითიდღე რთულდება. მსოფლიო ღრმა კრიზისში ეფლობა. გადარჩენის რეალური იმედი და პერსპექტივა არსაიდან ჩანს. შექსპირის ერთი წინადადება მახსენდება: „დედაბუნება ბრძენია, მაგრამ შვილი ჰყავს უჭკუო“. ადამის მოდგმამ შექსპირის მსგავსი გენიოსები კი შვა, მაგრამ, საზოგადოდ, მაინც უჭკუო და, რაც კიდევ უფრო დასანანია, უზნეოც აღმოჩნდა. კაცობრიობამ საკუთარი თავი თვითონ შეიყვანა იმ ჩიხში, რომლიდანაც გამოსავალს ვერ პოულობს. **რა არჩევნები, რის არჩევნები, საქართველო ამ ზოგადსაკაცობრიო ორომტრიალში იხარშება და იხრჩობა.**

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იუვენალური ფაშიზმის შედეგად დამკვიდრებული ბავშვთა განცალკევების ფენომენი, საბოლოო ჯამში, უკავშირდება მატერიალურად მდგრადი და მორალურად გახრწნილი, ახალი „პარტნიორული“ ურთიერთობების შედეგად შექმნილი „ოჯახების“ ინტერესების დაკმაყოფილებას. ამ საკითხზე ევროკომისიები, უკვე დიდი ხანია, იძლევიან მკაცრს მითითებებს“.**

# UNICEF-ი ხელისუფლებისგან ლიბერალური რეფორმების ახალ ტალღას ითხოვს



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## ხელისუფლებას მუდმივად აძლევენ «რეკომენდაციებს», დროულად დააკანონოს ერთი და იმავე სქესის პირთა ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები სამკვიდრო სამართლის მათზე მორგებისა და ბავშვების აყვანის უფლებით

**გაეროს ბავშვთა ფონდის თბილისის ოფისმა საქართველოში ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა. „კვლევა“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა, წინა მსგავს ანგარიშებთან შედარებით, ყველაზე კრიტიკულია. კერძოდ, „დოკუმენტის“ თანახმად, დღეს საქართველოში 1-დან 14 წლამდე ბავშვების უმრავლესობას მშობლებისგან ძალადობა გამოუცდია: „მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, აღზრდის ძალადობრივი მეთოდები ძალიან გავრცელებულია საქართველოში. კვლევის განხორციელებამდე ერთი თვის განმავლობაში ბავშვების (ასაკი 1-14 წელი) დაახლოებით 70%-ს გამოუცდია ძალადობრივი აღზრდის, სულ მცირე, ერთი ფორმა; ბავშვების 66% იყო ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი, ხოლო 31% — ფიზიკური დასჯის“.**

ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ, ბავშვების 5% თურმე მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლია, რაც საგანგაშო მაჩვენებელია და სახელმწიფოსგან სერიოზულ ჩარევას საჭიროებს: „ბავშვების 5% მძიმე ფიზიკური დასჯის მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნება; თითქმის ყველა მშობელი (90%-ზე მეტი) მიმართავდა აღზრდის არაძალადობრივ ფორმებს, მაგრამ ეს ფორმები ხშირად აღზრდის ძალადობრივ ფორმებთან კომბინაციაში გამოიყენებოდა; ბავშვების მხოლოდ 28%-ის მიმართ გამოიყენებოდა არაძალადობრივი აღზრდის მეთოდები; დისციპლინის ძალადობრივი ფორმების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ შინამეურნეობების ნახევარზე მეტში ბავშვებს უყვიროდნენ, ბავშვების 20%-ს კი სილა გააწნეს ან დაარტყეს...“ კვლევის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებებზე, რომლებიც თურმე ოჯახებში ძალადობრივ ფონს განაპირობებს. მათი მტკიცებით, უპირველესი და უმთავრესი მიზეზი „განათლების“ ნაკლებობაა, შესაბამისი ცოდნის დეფიციტი და მიდგომების არარსებობა.

**ცნობისთვის:** ზემოაღნიშნული კვლევა unicef-მა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაწეული აქტიური ფინანსური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით განახორციელა. მათ შორის არიან: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ბანკი და ა.შ.

შეგახსენებთ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდმა მსგავსი კრიტიკული ანგარიში 2018 წლის დეკემბერშიც გამოაქვეყნა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოში მშობლების უმრავლესობა „აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს“. ორგანიზაცია კრიტიკულად აფასებდა ხელისუფლების „უმოქმედობასაც“, რომელსაც თან ერთვოდა მკაცრი რეკომენდაციები. ანგარიშის გამოქვეყნებიდან მალევე მეცხრე მოწვევის პარლამენტმა ე.წ. ბავშვის უფლებათა კოდექსის განხილვა დაიწყო, რაც საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი შეიქნა. მიუხედავად ამისა, განხილვა გაიმართა და „კანონი“ მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ დამტკიცდა

**რა საკანონმდებლო ცვლილებებია ამჯერად მოსალოდნელი და რას ნიშნავს ბოლო ანგარიშში ხაზგასმული სიტყვები, რომ „პრობლემის“ აღმოსაფხვრელად აუცილებელია „რეფორმების უწყვეტობა“?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, გაეროს ბავშვთა ფონდმა გამოაქვეყნა მორიგი კრიტიკული ანგარიში, რომლის თანახმად, თურმე საქართველოში მშობლების უმრავლესობა ბავშვებზე ძალადობს და ამის მიზეზი „განათლების“ ნაკლებობაა. „კვლევაში“ ხაზგასმულია, რომ აღნიშნული პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ რეაგირებას საჭიროებს, რომელიც უწყვეტ რეფორმებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში უნდა გამოიხატებოდეს... რას ემსახურება დღევანდელ ვითარებაში ეს ანგარიში და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ამ ყველაფრის კვალდაკვალ?**

— უწინარესად, მადლობა თქვენს გაზეთს, რომ ინტერესედებით ამ თემით, აშუქებთ და საზოგადოებას აწვდით ობიექტურ ინფორმაციას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ დროს, როცა მედიაველი, ფაქტობრივად, მონოპოლიზებულია ე.წ. ლიბერალური ძალების მიერ და მსგავს საკითხებს საერთოდ არ აშუქებენ. რაც შეეხება კონკრეტულ „დოკუმენტს“, დავიწყოთ იმით, რომ **UNICEF-ი კვლავაც რჩება გაეროს ერთ-ერთ ინსტრუმენტად ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, ვინაიდან ქართული ეთნოფსიქოლოგია, პირდაპირ ვთქვათ, მათთვის დაუძლეველი ბარიერია. სხვათა შორის, ამ ბარიერის გადალახვის ყველაზე ნათელი მცდელობა იყო საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც 2015 წლიდან აქტიურად დაიწყო.** წარმოიდგინეთ, ამ ცვლილებების ფარგლებში ზუსტ სოციალურ მეცნიერებებს დაუკავშირეს საგანი „მე და საზოგადოება“, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ნამდვილ საგანმანათლებლო პროცესთან და ობიექტურ მეცნიერულ ცოდნასთან. არაფერს ვამბობ პედაგოგების გადამზადების პროცესზე, რომელსაც, ფაქტობრივად, მასწავლებლების ახალი კასტა უნდა შეექმნა. რეალურად **ეს იყო ერთგვარი სოციალური ექსპერიმენტი, რომლის მიზნებშიც არის ე.წ. გენდერის თეორიის დანერგვა და „მესამე სქესისადმი“ გარკვეული თანაგრძნობის გაჩენა.** რას მოიტანს ეს ყველაფერი პრაქტიკულ ასპექტში, ბევრმა შეიძლება არ იცის. **დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში 2000 ბავშვია გამოცალკევებული ოჯახებიდან. მათგან 600 ბავშვი მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე წართვეს მშობლებს და გადასცეს სხვა ოჯახებს მინდობით აღზრდით, ხოლო 1400 ბავშვი უშუალოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლადაა აღიარებული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში სულ ორად ორი ბავშვთა ფსიქოლოგია, რომელთა დასკვნის გარეშე ამ ბავშვების თავიანთ ოჯახებში დაბრუნება შეუძლებელია.** წარმოიდგინეთ, 2000 საქმეზე სულ ორი ადამიანი მუშაობს. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ოჯახებიდან გამოცალკევებული ბავშვების ისევ ოჯახებში დაბრუნების პროცედურა ხელოვნურადაა გართულებული?

**— არსებობს კონკრეტული ფაქტი, რომელიც ამაზე მიუთითებს?**

— ერთ მაგალითს გეტყვით. არის ასეთი ქალბატონი **ნანა შარაშენიძე,** რომელიც 11 წელი ელოდა შვილს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როცა შეეძინა, ე.წ. სოციალურმა სამსახურმა წაართვა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ბავშვის წართმევის მიზეზი იყო ის, რომ თურმე დედას არ ჰქონდა სათანადო სოციალური პირობები... მე ამ ქალბატონს დროებითი სარგებლობისთვის გადავეცი ერთოთახიანი ბინა, ბატონმა **ლევან ჩაჩუამ** გაუფორმა მეურვეობა ბავშვზე, ბატონმა **კონსტანტინე მორგოშიამ** დაასაქმა იგი თავის კომპანიაში და დაუნიშნა ჯამაგირი 500 ლარი, ბატონმა **ილია ძოწენიძემ** რუსეთის ფედერაციიდან გადმოურიცხა 6000 ლარი... რეალურად ეს უკვე გულისხმობდა ყველა პირობას, რომ დედას წართმეული შვილი დაბრუნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალური მომსახურების სააგენტო და ქალბატონი **ნინო იოზაშვილი,** რომელიც კურატორობს ამ პროცესს, დღემდე უარს გვეუბნებიან ბავშვის დედასთან დაბრუნებაზე. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — არის თუ არა ეს მიზანმიმართული პოლიტიკა? არის თუ არა ეს ფაშიზმი, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ადამიანს მორალურად თუ ფსიქოლოგიურად?

**— გამოდის, ისინი არც მალავენ თავიანთ ნამდვილ მიზანს.**

— ნაწილობრივ ასეცაა და ეს ლოგიკურია, რადგან იმ პირობებში, როცა ქვეყანაში, როგორც პოლიტიკური, ისე მედიაველი მთლიანად მონოპოლიზებული აქვს ერთ ძალადობრივ სისტემას, სახელად „ნეოლიბერალიზმს“, ცხადია, ისინი არხეინად არიან.

რაც შეეხება მიზანს, **იუვენალური ფაშიზმის შედეგად დამკვიდრებული ბავშვთა განცალკევების ფენომენი, საბოლოო ჯამში, უკავშირდება მატერიალურად მდგრადი და მორალურად გახრწნილი ახალი „პარტნიორული“ ურთიერთობების შედეგად შექმნილი „ოჯახების“ ინტერესების დაკმაყოფილებას. ამ საკითხზე ევროკომისიები, უკვე დიდი ხანია, იძლევიან მკაცრ მითითებებს.** ეს ნიშნავს იმას, რომ **დღევანდელ ხელისუფლებას მუდმივად ეძლევა „რეკომენდაციები“, დროულად დააკანონოს ერთი და იმავე სქესის პირთა ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები სამკვიდრო სამართლის მათზე მორგებისა და ბავშვების აყვანის უფლებით...**

**— სხვათა შორის, უკვე არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ ახალი პარლამენტი ახლო მომავალში დაიწყებს მსჯელობას ლგბტ პირებისთვის ქორწინების უფლების გარკვეული ფორმით დაკანონებაზე, თუმცა ბევრისთვის ეს, უბრალოდ, დაუჯერებელია...**

— **ჩვენთვის ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ არ გვყავს საზოგადოების ნების გამომხატველი ხელისუფლება. ჩვენ გვყავს დანიშნული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ყველაფერზე, მათ შორის ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე, მათთვის შვილის აყვანის უფლების მინიჭებაზე, გეიაღლუმების უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფასა და ა.შ. დაუფიქრებლადაა წამსვლელი, თუკი, კიდევ ვიმეორებ, გარედან უბრძანებენ და თან რაიმე ფინანსურ სარგებელს შეჰპირდებიან. ბრძანებაც აქვთ და სარგებელის პირობაც მიიღეს, როგორც ჩანს.**

რაც შეეხება „რეფორმების უწყვეტობას, რომელზეც unicef-ის ანგარიშშია საუბარი, საქართველო ისევ ერთ-ერთი საუკეთესო „ლაბორატორიაა“ მავნე სოციალური ექსპერიმენტებისთვის, რომლებსაც საზოგადოება და განსაკუთრებით მომავალი თაობები მიჰყავს ერთმანეთისგან სრულ გათიშვამდე. ეს არის მოსახლეობის დეგრადირების პოლიტიკა, რომელმაც ბავშვი მშობელს — დედას, მამას უნდა გადაჰკიდოს და მის ცნობიერებაში მშობლის ცნება დააკავშიროს ძალადობის პოტენციურ საფრთხესთან. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, **მომავალში ჩვენ გვექნება გაცილებით მძიმე სტატისტიკა მშობლებისთვის წართმეული შვილების, „შვილზე ძალადობის“ ბრალდებით პასუხისგებაში მიცემული დედებისა და მამების და ა.შ.**

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს პროცესი თუნდაც ნაწილობრივ შეჩერდეს?**

— ეს პროცესი ნაწილობრივ ვერ შეჩერდება, **ეს პროცესი ან დასრულდება აგრესიული ლიბერალური ტირანიის სრული აღმოფხვრით, ან გაგრძელდება და მიგვიყვანს კიდევ უფრო მკაცრ ტერორამდე.** თუმცა აქ გადამწყვეტი როლი აკისრია საზოგადოებას, რომელსაც, მართალია, აწუხებს ეს ყველაფერი და სწორი პოზიცია უკავია, მაგრამ დახშული აქვს ყურები. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: სანამ საზოგადოების დიდი ნაწილი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ეს პრობლემა ჩემამდე არ მოვა, არ შემეხება ან ბრძოლას მაინც არ აქვს აზრიო, გარედან მართული, დამღუპველი და დამანგრეველი ე.წ. ლიბერალური ცვლილებების კასკადი გაგრძელდება. ამ ცვლილებების შედეგად ჩვენ საბოლოოდ მივიღებთ დაკარგულ თაობებს, რომლებსაც საერთო არაფერი ექნებათ ადამიანურ ღირებულებებსა და ფასეულობებთან. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ თაობებს უკვე დაკარგული ექნებათ ისტორიული მეხსიერება და მათთვის საქართველო მხოლოდ რაღაც ნომინალური ცნება შეიძლება იქნეს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, როცა შორეულ 1992 წელს გაეროს შესაბამისმა კომისიამ ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა დაავადებათა სიიდან ამოიღო, ხოლო ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარული ავადმყოფობად შერაცხა. მას შემდეგ დაიწყო ჰომოსექსუალების (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ტრანსგენდერობა და, შესაბამისად, არც ლგბტ აბრევიატურა არსებობდა) ტრიუმფალური სვლა სახელისუფლო ელიტებისკენ და, როდესაც ისინი ლგბტ-თა სექტად ჩამოყალიბდნენ, აღმოჩნდა, რომ მმართველ წრეებში უმრავლესობას წარმოადგენენ.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქათამი» ხარ — ფულს მიიღებ, თუ არადა — სამი თითის კომბინაციას

## ფულსაც არ მოგვცემენ, ისე, ნისიად გვალიარებინებენ ჰელენა დალის «სახარებას»

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ე.წ. ლგბტ-თა თემაზე იმდენი სტატია გამოვაქვეყნე და ინტერნეტში იმდენი პოსტი დავდე (მე შენ გეტყვი და, საამისო მიზეზ-საბაბს მოგაკლებენ ეს სატანისტი სექტანტები), რომ, თუ სადმე სამართალია, გინესის რეკორდსმენთა წიგნში კარგა ხნის შეყვანილი უნდა ვიყო — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ სახუმაროდ სულაც არ გვაქვს საქმე, რადგან მსოფლიოს ტოტალური ლგბტ-ზაცია ემუქრება. მსოფლიოს, რომლის პატარა მცირერიცხოვანი, მაგრამ სახელოვანი ისტორიისა და დიადი ქრისტიანული კულტურის მქონე ნაწილი საქართველო და ქართველი ერიც არის, ხოლო მსოფლიოში მიმდინარე ყოველგვარი საზოგადოებრივი მორალისა და ეთიკის უარმყოფელი ამაზრზენი პროცესები, გვინდა თუ არა, პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსაც ეხება.**

მაინტერესებს, გლობალიზაციის მიერ მოტანილი ეს ერთი, კონკრეტული „სიკეთე“ როგორ აისახება ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე, გნებავთ, ჩვენი დიდი წინაპრების მიერ საუკუნეების განმავლობაში ბრძოლით შენარჩუნებულ და ჩვენთვის, მათი შთამომავლებისთვის, გადმოცემულ ეროვნულ მენტალიტეტზე. თორემ დასავლურად „პრადვინუტ“ „საქათმეებში“ (მომიტევეთ ჩემ ჯეელობისდროინდელ თბილისში რეფრენადქცეული „გოიმური“ ჟარგონი) ისეც უქნიათ, „მუცელში სარი უთხრიათ“, თქვენ მყავდეთ კარგად, ჩემო მკითხველო, ეგ მე არ ვიდარდო.

ამ სტატიას ჩემს მეგობართა საყურადღებოდაც ვწერ, რომლებიც კეთილგანწყობით მალადავებენ ხოლმე — „რა „გაატრაქტორე“, ბიჭო, საქმე ამ ლგბტ-ებით, სადღაც გაიფაჩუნებენ და სტატია უკვე გამომცხვარი გაქვსო. ბოლო პერიოდში მართლაც ვცდილობ, ლგბტ-თა „კნავილი“, რომ იტყვიან, „გავატარო“ ხოლმე და მათ მიმართ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში „გავატრაქტორო“...

ასეთ განსაკუთრებულ ვითარებად რომის მოქმედი პაპის — **ფრანსცისკეს** სკანდალური განცხადება მივიჩნიე, რომლითაც მან, პრაქტიკულად, კურთხევა მისცა ლგბტ პირების ყველა მიმართულებით „მოღვაწეობას“ იქამდეც კი, რომ მამათმავლობა, ანუ სოდომური ცოდვა ამიერიდან აღარ არის დაბრკოლება იმისთვის, რომ ლგბტ-ის რომელიმე მიმართულების წევრი მღვდელი ან სულაც უმაღლესი იერარქი რომის პაპი გახდეს. მით უმეტეს, რომ ვატიკანს ამ მიმართულებით ერთობ „მდიდარი“ გამოცდილება აქვს — მეკობრე **ბალთაზარ კოსა,** საკუთარ შვილსა და შვილიშვილთან ინცესტში მხილებული, რომის პაპი გახდა, რომელიც XXIII-ის სახელით დარჩა ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ისედაც მკრეხელური რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში.

წინამდებარე წერილს დღის სინათლე, წესით, ა.წ. 11 ნოემბერს უნდა ეხილა. შესავალიც გაკეთებული მქონდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში მოულოდნელად გავრცელდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის შეწყვეტის სენსაციური ცნობა, რომლის თანახმადაც 10 ნოემბრის 00 საათიდან მთიან ყარაბაღში ყოველგვარი აფეთქება-სროლა შეწყდა. უძლური დასავლეთის (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი) თვალწინ, რომელსაც 44 დღის განმავლობაში, სანამ ეს არნახული სისასტიკის ბრძოლა მიმდინარეობდა, მეომარ მხარეთა მიმართ ცეცხლის შეწყვეტაზე არაფრისმაქნისი განცხადებების გარდა არაფერი გაუკეთებია, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ყარაბაღში მყისვე დაიწყეს დისლოკაციის რთული სამხედრო ოპერაცია, რომელიც უკვე დასრულებულია — 1960 კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო, 90 ჯავშანტექნიკა, 380 ავტომობილი და სპეცტექნიკა არა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის გარანტიაა, არამედ საქართველოს მწარე გამოცდილების გათვალისწინებით (როდესაც სააკაშვილის ბრძანებით, 20 რუსი სამშვიდობო ჯარისკაცი დახოცეს) რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი თავისთავად იმხელა ძალაა, რომ მას ძნელად ვინმემ რამე გაუბედოს და, თუ მაინც გამოჩნდა პროვოკატორი და თუნდაც ერთი რუსი ჯარისკაცი მოკლა, საქართველო მოგონილი იქნება — **იმ ქვეყნის (დიდი ალბათობით, ეს ქვეყანა შეიძლება იყოს თურქეთი, რომელთანაც რუსეთმა 13-ჯერ იომა და 11-ჯერ გაიმარჯვა და ის ორი მარცხიც ოსმალეთ-საფრანგეთ-ბრიტანეთის კოალიციასთან ომში იწვნია) სახელმწიფოებრიობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, რომელიც მსგავს პროვოკაციას ჩაიდენსო, — პრევენციული განცხადება გააკეთა რუსეთის სარდლობამ.**

ჰოდა, აბა, სად ის, რომ თუნდაც ჯერჯერობით მშვიდობისმყოფელთა სტატუსით, მაგრამ მაინც, ხატოვნად თუ ვიტყვით, რუსეთმა ჩექმა ჩადგა ამიერკავკასიაში, რაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეპოქალური მნიშვნელობის აქტია და ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ თუ არა, დიდხანს გაგრძელდება, რადგან რუსეთი ამიერკავკასიას სრულიად სამართლიანად თვლის, როგორც იანკებს უყვართ თქმა, ე.წ. უკანა ეზოდ, სადაც 250 წლის განმავლობაში ხან სომხებს და ერთმორწმუნე მართლმადიდებელ საქართველოს იცავდა თურქთა და ირანელი დამპყრობლებისგან. **ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა 200 ათასი ჯარისკაცი დაკარგა და გაემეტყუნება, რომ ამიერკავკასია არავის დაუთმოს? ამიერკავკასიაში გამაგრების შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სხვა „უკანა ეზოების“ რიგიც დადგება მოლდოვის, ბელარუსის, უკრაინის სახით და ა.შ. თითქმის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე.**

ჰოდა, ვიმეორებ: სად ეს გეოპოლიტიკური ტექტონიკური ძვრები და სად რომის პაპის ლგბტ-ზაცია?! ამიტომ დავურეკე გაზეთის რედაქტორს და, როგორც ზემოთ ვთქვით, თემა შევცვალეთ, რადგან შევთანხმდით, რომ ლგბტ-თა თემა მარად აქტუალურია...

რამდენიმე დღის წინათ ბელგიაში გადაწყვიტეს, საკანონმდებლო დონეზე გააფორმონ ე.წ. მესამე სქესის არსებობა. **ევროკავშირის მოქალაქეს, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, რომელ გენდერს მიეკუთვნება ან წარამარა იცვლის სქესს, ამიერიდან შეუძლია, გრაფაში „სქესი“ ჩაწეროს X.**

ბელგიის ხელისუფლების გადაწყვეტილება ჯდება ევროკომისიის ახალ სტრატეგიაში — ლგბტ-თა, იტერსექსუალებისა და ა.შ. სხვა მრავალთა უფლებების დაცვა აღიარებულია, როგორც ევროკავშირის მთავარი ღირებულება.

ევროკავშირის წევრი ის ქვეყნები, რომლებიც უარს იტყვიან ლგბტ დიქტატის შესრულებაზე, დაისჯებიან. უკმაყოფილება უკვე გამოთქვეს უნგრეთმა და პოლონეთმა, რომლებმაც ვეტო დაადეს ევროკავშირის ბიუჯეტს, რადგან ევროკავშირის ახალი სტრატეგიის მიხედვით, ისინი ევროპული „ოჯახის“ ბიუჯეტიდან კაპიკსაც ვერ მიიღებენ.

**„ლგბტ, ინტერსექსუალების უფლებების დამრღვევი ევროკავშირის ქვეყნების მიმართ დაწესდება ფინანსური სანქციები. ეს მეთოდი აიძულებს ქვეყანას, სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისი პოზიცია დაიკავოს. ვიმედოვნებ, რომ შესაბამისი სიტყვების გარდა უფრო ძალისმიერი მეთოდები საჭირო არ იქნება. თუ ვინმე არ აღიარებს კანონის უზენაესობას (რომელიც ლგბტ-ის მხარესაა) მაშინ ისინი ვეღარ მიიღებენ კუთვნილ წილს ევროკავშირის ბიუჯეტიდან. ევროპული სტრატეგია თანასწორობის უზრუნველყოფისა ლგბტ-თა მიმართ, მოგვიწოდებს, შევავსოთ დანაშაულებათა სია ევროკავშირის ფასეულობათა მიმართ პუნქტებით: „დანაშაულები სიძულვილისა“ და „სიძულვილის გაღვივების“ მოტივით; პუნქტებით, ლგბტ-თა სპეციფიკური დაცულობისა. დანაშაულებრივი ქმედებები იმ ხალხის მიმართ, რომლებიც საკუთარ თავს ლგბტ-ს მიაკუთვნებენ, გამოცხადებული იქნება, როგორც დანაშაული ევროკავშირის ფასეულობათა საწინააღმდეგო. მთელს ევროკავშირში სავალდებულო უნდა იყოს ლგბტ-თა უფლებების აღიარება, გახდნენ მშობლები!**“ — განაცხადა თანასწორობის საკითხებში ევროკომისარმა **ჰელენა დალიმ.** აი ასეთია ყველა ნორმალური ადამიანისთვის წასაკითხ-მოსასმენადაც კი სულისწამწყმედი ამბები.

მოკლედ, უკაცრავად ჟარგონისთვის და, ასე ვიტყოდი: **ქათამი ხარ — ფულს მიიღებ, თუ არადა — სამი თითის კომბინაციას!**

ჰელენა დალის (წაიკითხე, გათახსირებული დასავლეთი) ამ სიტყვების შემდეგაც აღმოჩნდებიან ურწმუნო თომები, რომლებიც დაგვამუნათებენ მათ, ვინც ვამბობთ, რომ „განათლებული“ დასავლეთიდან სიბილწე-გათახსირებულობის მეტი არაფერი შემოდის „ველურ“, „გაუნათლებელ“ საქართველოში.

ფულსაც არ მოგვცემენ, ისე, „ნისიად“ გვალიარებინებენ ჰელენა დალის „სახარებას“.

რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ყოველივე ზემოთქმული ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია. **ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა შორეულ 1992 წელს გაეროს შესაბამისმა კომისიამ ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა დაავადებათა სიიდან ამოიღო, ხოლო ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარული ავადმყოფობად შერაცხა და მას შემდეგ დაიწყო ჰომოსექსუალების (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ტრანსგენდერობა და, შესაბამისად, არც ლგბტ აბრევიატურა არსებობდა) ტრიუმფალური სვლა სახელისუფლო ელიტებისკენ და, როდესაც ისინი ლგბტ-თა სექტად ჩამოყალიბდნენ, აღმოჩნდა, რომ მმართველ წრეებში ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ.**

მას შემდეგ დაირღვა დემოკრატიის მთავარი პრინციპი, უმრავლესობის მიერ უმცირესობათა მართვისა — ტრადიციული ფასეულობების მიმდევარ მოსახლეობის უმრავლესობას მართავს ე.წ. ლიბერასტი სახელისუფლო უმცირესობა.

რაც შეეხება რომის პაპის მიერ ლგბტ-თა უფლებების ლეგალიზაციას, ცოდვების შორის გარკვეული გრადაცია არსებობს...

**ყველაზე მძიმე ცოდვა, წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ზოოფილია, ანუ ადამიანის ცხოველთან სქესობრივი კავშირია, რომლის მონანიება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან 30-წლიან ეპტიმიას, საეკლესიო სასჯელს, ითვალისწინებს. სიმძიმის მიხედვით, მეორე ადგილზეა მამათმავლობა, რომლის ეპიტიმია 25 წელიწადია და ცოდვილს ეკლესიაში შესვლა ეკრძალება. მხოლოდ ტაძრის კართან დგომა და ტაძარში შემსვლელთათვის თხოვნის უფლება აქვს, რომ მისი ცოდვების საოხად, ვინმემ მის სახელზე სანთელი აანთოს; მესამეა კაცის კვლა 10-წლიანი ეპტიმიით, მაგრამ ტაძარში შესვლის უფლებით...**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთ სამწუხარო დასკვნამდე მივედი — როდესაც მეორედ მოსვლის წინ სატანის მეფობაზეა საუბარი, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩლიქებიან-კუდიანი არსების დანახვას ნიშნავს სატანის მეფობა. სატანა უფალივით უხილავი, უხორცო სუბსტანციაა და მეორედ მოსვლის წინ სატანის მეფობა რომის პაპის მიერ ლეგალიზებული სოდომ-გომორაა!

უფალო, შენდობას ვითხოვ შენგან, ჩემი უცოდინარობით თუ შენი საწყენი რამ წამომცდა!

**დავით მხეიძე**



ჰელენა დალი

**ყველაზე მძიმე ცოდვა, წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ზოოფილია, ანუ ადამიანის ცხოველთან სქესობრივი კავშირია, რომლის მონანიება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან 30-წლიან ეპტიმიას — საეკლესიო სასჯელს — ითვალისწინებს. სიმძიმის მიხედვით მეორე ადგილზეა მამათმავლობა, რომლის ეპიტიმია 25 წელიწადია, და ცოდვილს ეკლესიაში შესვლა ეკრძალება. მხოლოდ ტაძრის კართან დგომა და ტაძარში შემსვლელთათვის თხოვნის უფლება აქვს, რომ მისი ცოდვების საოხად, ვინმემ მის სახელზე სანთელი აანთოს; მესამეა კაცის კვლა 10-წლიანი ეპტიმიით, მაგრამ ტაძარში შესვლის უფლებით**

ანტიგანათლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განათლების სისტემას თავს მოახვიეს ე.წ. ავტონომიური სწავლება, რომლის დროსაც ბავშვები მასალას დამოუკიდებლად გადიან, მასწავლებლებს კი დამხმარე კომპანიონის როლი მიაკუთვნეს. ამ გარდაქმნის მამოძრავებელი ძალა არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მისი PISA ტესტებით და იდეოლოგები, რომლებიც პოლიტიკოსებს მოუწოდებენ, მოსახლეობასა და მასწავლებლებს თავს მოახვიონ რეფორმები“.**

# ფსიქიატრის დიაგნოზი: «გერმანია ჩლუნგდება»

## ბავშვების აღზრდის თანამედროვე მოდელი ქმნის ინფანტილურ, ეგოისტ და ზარმაც ახალგაზრდობას

**მედიცინის დოქტორის, 65 წლის მიხაელ ვინტერჰოფის სახელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი. ის ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტია, არის ავტორი წიგნებისა ბავშვის განვითარებაზე. ეს წიგნები დიდი ტირაჟებით იბეჭდება და ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს იწვევს. ბევრი პროფესიონალი კი ვინტერჰოფის ყოველ ახალ ნამუშევარს გააფთრებული კრიტიკით ხვდება. ასე იყო, მისი 2008 წელს გამოცემული პირველი წიგნის „რატომ ხდებიან ჩვენი ბავშვები ტირანები“ (Warum unsere kinder Tyranen werden — გამოცემის შემდეგ) შემთხვევაშიც და ასე მოხდა ბოლო რიგით მეცხრე წიგნი გამოსვლისას, რომლის სათაურიც ტევტონური პირდაპირობის გამოხატულებაა: „გერმანია ჩლუნგდება. როგორ აშენებს განათლების სისტემა ჩვენი ბავშვების მომავალს“ (Deutschland verdummt: Wie das Bildungssystem die Zukunft unserer Kinder verbaut).**



მიხაილ ვინტერჰოფი

ბოლო ნაშრომში დოქტორი **ვინტერჰოფი** მიუთითებს „განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების სახიფათო შედეგებზე, რომლებიც შესამჩნევია არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც ფეხს უწყობს დროებას“. ვინტერჰოფმა ამ წიგნის ძირითადი თეზისები ასე ჩამოაყალიბა ჟურნალ Focus-ის რედაქტორთან საუბარში:

* **„დღევანდელ სკოლადამთავრებულებს არ ჰყოფნით ელემენტარული სოციალური უნარ-ჩვევები, პუნქტუალურობის განცდა,** — თქვა მან, — **ბევრს არ აქვს გერმანული ენისა და მათემატიკის საბაზისო ცოდნა. ბავშვებსა და მოზარდებში პირველ ადგილზეა მობილური ტელეფონი. სპეციალური უნარ-ჩვევების უქონლობის, თვითდაჯერებულობისა და ეგოცენტრიზმის შედეგად სულ უფრო მეტი მოსწავლე ანებებს თავს სწავლას. სკოლადამთავრებულთა მესამედი თავს ანებებს სწავლას პროფესიის შესწავლის ვადის დასრულებამდე. ეს არის კონრად ადენიუერას სახელობის ფონდის კვლევის შედეგები“.**

ამ მოვლენის მიზეზად დოქტორი „არასწორ საგანმანათლებლო პოლიტიკას“ ასახელებს.

* „20 წლის წინათ მთელი საგანმანათლებლო სისტემა გადააკეთეს, სამწუხაროდ, ცუდი მიმართულებით. განათლების სისტემას თავს მოახვიეს ე.წ. ავტონომიური სწავლება, რომლის დროსაც ბავშვები მასალას დამოუკიდებლად გადიან, მასწავლებლებს კი დამხმარე კომპანიონის როლი მიაკუთვნეს. ამ გარდაქმნის მამოძრავებელი ძალა არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მისი PISA ტესტებით და იდეოლოგები, რომლებიც პოლიტიკოსებს მოუწოდებენ, მოსახლეობასა და მასწავლებლებს თავს მოახვიონ შესაბამისი რეფორმები“.

ვინტერჰოფის თქმით, „სისტემაში ამჟამად არ ჰყოფნით აღმზრდელები, რომელთა დახმარებითაც ბავშვები შეძლებდნენ ორიენტაციას და განავითარებდნენ თავიანთ ინტელექტს. დამოუკიდებლად სწავლის პროცესში საბავშვო ბაღის აღსაზრდელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რომელ სათამაშო ოთახში როდის უნდა იმყოფებოდეს და რით უნდა დაკავდეს. სკოლის მოსწავლეებმა რაც შეიძლება დიდხანს უნდა იმეცადინონ დამოუკიდებლად. ასეთი სწავლების შედეგები არავის შეუსწავლია. თუ მედიკოსი მკურნალობის ახალ მეთოდს ამუშავებს, ამ მეთოდმა რამდენჯერმე უნდა გაიაროს ტესტი. თუ განათლების სფეროში ახალი იდეა ჩნდება, სწრაფად იწყება ამ იდეის რეალიზაცია ბავშვებში“.

* ვინტერჰოფი ხაზგასმით აღნიშნავს: **„ბავშვებს სჭირდებათ უფროსი აღმზრდელები. სამუშაოს შესასრულებელი სოციალური უნარები შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ამ უნარების შემსწავლელ გაკვეთილებზე, თვით გაკვეთილების ფორმა კი ნაკლებად მნიშვნელოვანია. არასწორი აღზრდის შედეგად, თუ ადამიანების მხრიდან არ იქნება საწინააღმდეგო ქმედებები, საზოგადოებას ელოდება კატასტროფული დისბალანსი. ჩვენი შვილები გაიზრდებიან ნარცისებად და ეგოცენტრისტებად, რომლებიც არ იზრუნებენ სხვებზე, მხოლოდ საკუთარი თავით იქნებიან დაკავებულნი და თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულნი. მათთვის სხვა ადამიანების პატივისცემა არ არსებობს. არადა, სოციალურ სახელმწიფოში ადამიანებმა ერთმანეთისთვის უნდა იცხოვრონ. ადამიანები კი, რომლებიც ბავშვებივით იქცევიან, არ აქვთ მუშაობის უნარი, ამ სისტემას ანგრევენ“.**

* ვინტერჰოფი კატეგორიულად უარყოფს, მისი აზრით, „აბსოლუტურად არასწორ“ მიდგომას ციფრული ტექნოლოგიებისადმი. **„სმარტფონები და მათი მსგავსი მოწყობილობები არ უნდა ჰქონდეთ 10 წლამდე ბავშვებს, იმიტომ, რომ ეს მოწყობილობები ხელს უშლის გონებრივ განვითარებას,** — თქვა მან, — **ინტერნეტში ყოფნის სურვილის დაკმაყოფილებას ბავშვები პარალელურ სამყაროში გადაჰყავს. ამ მოწყობილობების გამოყენება სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ოაზისები თავისუფალი ციფრული მოწყობილობებისგან. ზრდასრულებსაც ექმნებათ პრობლემები გაჯეტების ხშირი მოხმარებისგან. მშობლები სამაგალითოები უნდა იყვნენ შვილებისთვის და თავი უნდა დაანებონ სმარტფონების ხშირად გამოყენებას“.**

განათლების სისტემის კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ვინტერჰოფი ავტონომიური სწავლების გაუქმებასა და საბავშვო ბაღის ჯგუფებსა და სკოლის კლასებში ბავშვთა რაოდენობის შემცირებას გვთავაზობს. **„მასწავლებლებს კვლავ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ასწავლონ და არ იყვნენ დამკვირვებლის როლში“,** — განგაშის ზარებს არისხებს ფსიქიატრი. ამასთანავე, ამბობს, რომ ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური პრობლემების მოგვარება უნდა მოესწროს, სანამ მათ 25 წელი შეუსრულდებათ. „ამის იმედი რომ არ მქონდეს, ჩემი წიგნი არ დაიბეჭდებოდა“, — ასკვნის ფსიქიატრი.

ვინტერჰოფის პირველმა ნაშრომმა, 224-გვერდიანმა წიგნმა, რომელიც 2008 წელს გამოიცა, საგანმანათლებლო რეფორმების იდეოლოგების მხრიდან გააფთრებული კრიტიკა გამოიწვია. ზოგიერთმა ავტორი დაადანაშაულა, რომ ის „არადიფერენცირებული თეზისებითა და რეკომენდაციებით ცალმხრივად მიმართულია დამჯერობასა და მორჩილებაზე და ამით ხელს უწყობს ცივ აღმზრდელობით კლიმატს, როცა თვითონ დამჯერობა-მორჩილება ხელს უშლის ბავშვის ინტელექტისა და თავისუფლების განვითარებას“.

მეორენი კიცხავდნენ მას „მანიპულაციური ტონის“, „პოპულიზმისა“ და „ემპირიული მტკიცებულებების არარსებობის“ გამო;

მესამენი ამუნათებდნენ, რომ „ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარი ფსიქოთერაპევტული პრაქტიკიდან შემთხვევებს, რომლებსაც განაზოგადებდა, რაც იგივეა, ციხის დირექტორმა დაწეროს წიგნი საზოგადოების მორალზე და მტკიცებულებებად მოიყვანოს თავისი პატიმრების დანაშაულებრივი კარიერა“;

მეოთხენი ფსიქიატრის მიერ მოდელირებულ სოციალურ კოლაფსს „ეგზალტირებულს“ უწოდებდნენ, ჩიოდნენ აღზრდის თანამედროვე სტილის „გაუმართლებლად ნეგატიური“ შეფასებების გამო და მოუწოდებდნენ, მის მიერ ნაჩვენები „მშობლების უუნარობა თავიანთი შვილების აღზრდის საქმეში უმცირესობის პრობლემად ჩაეთვალათ“. ეს „უმცირესობა“ კი 7,5-დან 10 პროცენტამდეა;

მეხუთენი მიუთითებდნენ თეზის „ნარცისი ტირანის“ არქაულობაზე, რომ- ▶

**«დღევანდელ სკოლადამთავრებულებს არ ჰყოფნით ელემენტარული სოციალური უნარ-ჩვევები, პუნქტუალურობის განცდა, — თქვა მან, — ბევრს არ აქვს გერმანული ენისა და მათემატიკის საბაზისო ცოდნა. ბავშვებსა და მოზარდებში პირველ ადგილზეა მობილური ტელეფონი. სპეციალური უნარ-ჩვევების უქონლობის, თვითდაჯერებულობისა და ეგოცენტრიზმის შედეგად სულ უფრო მეტი მოსწავლე ანებებს თავს სწავლას. სკოლადამთავრებულთა მესამედი თავს ანებებს სწავლას პროფესიის შესწავლის ვადის დასრულებამდე»**

**«პარტნიორულ მოდელზე აღზრდილი ადამიანები, დღეს 25-30 წლისანი, გაცილებით ინფანტილური არიან, ვიდრე მათი წინა თაობის წარმომადგენლები; გაურბიან პასუხისმგებლობას, არ მიისწრაფვიან მყარი ურთიერთობებისკენ, არ სურთ ოჯახის შექმნა, ისინი განებივრებულნი, ეგოისტები და ზარმაცები არიან»**





ბუნდესტაგის ბევრ დეპუტატს ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვს და პროფესიაც, მაგრამ, რაც უფრო მაღლა მიიწევს კარიერის კიბეზე მემარცხენე ან მწვანე დეპუტატი, მისი უცოდინარობა მით უფრო გახვეულია იდეოლოგიურ საბურველში.

ანტიგანათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ელიც ჯერ კიდევ 1950-იანი წლების ლიტერატურაში იყო მოხსენიებული;

მეექვსენი ადანაშაულებდნენ ვინტერჰოფს იმაში, რომ „მის მიერ გამოყენებული ცნება „ტირანი ბავშვი“ სათავეს იღებს ნაცისტური პერიოდის ავტორიტარული პედაგოგიკიდან, კერძოდ, **იოჰან ჰაარერის** (როგორც გერმანული ვიკიპედია წერს, ჰაარერის ნაშრომები 1945 წლის შემდეგ გფრ-შიც გამოიცა) ნაშრომებიდან.

ასეთივე მწვავე კრიტიკით შეხვდნენ განათლების რეფორმის იდეოლოგები ვინტერჰოფერის სხვა ნაშრომებსაც, მათ შორის წიგნს „გერმანია ჩლუნგდება“ (**Winterhoff gilt als der Thilo Sarrazin der Erziehung in Deutschland**).

2010 წლის სექტემბერში, წიგნ „გერმანიის თვითლიკვიდაციის“ გამოცემის შემდეგ, მისმა ავტორმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილმა მოღვაწემ, ფედერალური ბანკის მმართველობის წევრმა **ტილო სარაცინმა** სახელი გერმანიის ფარგლებს გარეთაც გაითქვა. მან ამ ნაშრომში (წიგნი 464-გვერდიანია) 2015 წლის მიგრაციული კრიზისის დაწყებამდე 5 წლით ადრე მწვავედ გააკრიტიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და მიგრაციული პოლიტიკა. გერმანიის იმჟამინდელი ოფიციოზი წიგნს მკვეთრად უარყოფითი რეაქციით შეხვდა. სახელმწიფო მედიაკომპანია Deutsche Welle იუწყებოდა: **„ამ წიგნის ავტორის მთავარი თეზისი ასეთია: „გერმანია განუხრელად ჩლუნგდება, აქ ბავშვებს აჩენენ მხოლოდ მიგრანტები — მუსლიმანები და უმუშევრები“**.

ეკონომისტ სარაცინის მიერ 2010 წელს დასმულ დიაგნოზს დღეს ადასტურებს მედიცინის დოქტორი მიხაელ ვინტერჰოფი, მაგრამ განსხვავებით სარაცინისგან, რომელიც გერმანიის მთავრობის მიგრაციული პოლიტიკისადმი შეურიგებელი პოზიციის გამო ყველა პოსტიდან გაათავისუფლეს და სოციალ-დემოკრატიული პარტიიდანაც (სარაცინი ამ პარტიის წევრი 50 წლის განმავლობაში იყო) გარიცხეს, დოქტორ ვინტერჰოფის მსგავსი რამ არ ემუქრება. მას არჩევითი პოსტი არ უკავია, არ მუშაობს სახელმწიფო სექტორში და დაკავებულია კერძო სამედიცინო პრაქტიკით. ექიმის ლიცენზიის ჩამორთმევის საფუძველი კი არ არსებობს. სხვა საქმეა, რომ მისი მოწოდებები გერმანიაში აღზრდის პარტნიორული მოდელის გაუქმებაზე, როგორც ჩანს, კვლავ ძველებურად დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ვინტერჰოფერის აზრით, **„პარტნიორულ მოდელზე აღზრდილი ადამიანები, დღეს 25-30 წლისანი, გაცილებით ინფანტილურები არიან, ვიდრე მათი წინა თაობის წარმომადგენლები: გაურბიან პასუხისმგებლობას, არ მიისწრაფვიან მყარი ურთიერთობებისკენ, არ სურთ ოჯახის შექმნა, ისინი არიან განებივრებულნი, ეგოისტები და ზარმაცები...“**

თითქოს ვინტერჰოფის დაკვირვებებსა და დასკვნებს ადასტურებსო, გერმანული ინტერნეტგამოცემა Liberle warte სტატიაში Avanti Dilettanti! („წინ, დილეტანტებო!“) წერდა: „ჩვენს არეულ-დარეულ სამყაროში პროფესიონალ პოლიტიკოსად მუშაობა სულ უფრო რთული ხდება, ამიტომ საჭიროა, კრიტიკულად შევხედოთ სახალხო წარმომადგენლების ძველ როლს. ცოტა ხნის წინათ ბუნდესტაგში (გერმანიის პარლამენტი — გ.გ.) მორიგი დისკუსია გაიმართა ამ თემაზე, მაგრამ ნაცვლად იმისა, გარკვეულიყვნენ საკითხში, მემარცხენე-მწვანეებმა კრიტიკოსებს შეუტიეს, მაგრამ, მათი მტკიცებისგან განსხვავებით, სულაც არ არის დისკრიმინაციული, მინიმალური ცოდნა მოეთხოვებოდეს თითოეულ ადამიანს, რომელიც პოლიტიკოსის პროფესიას ირჩევს. **ბუნდესტაგის ბევრ დეპუტატს ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვს და პროფესიაც, მაგრამ, რაც უფრო მაღლა მიიწევს კარიერის კიბეზე მემარცხენე ან მწვანე დეპუტატი, მით უფრო გახვეულია იდეოლოგიურ საბურველში მისი უცოდინარობა. და იქმნება შთაბეჭდილება, რომ, როდესაც საქმე ეხება კლიმატური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, მიგრაციული და ინტეგრაციული პროექტების შეფასებებს, იდეოლოგები (ამ პარტიების) დეპუტატების უნარს, იწინასწარმეტყველონ თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგები, ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ.**

ნებისმიერი, ვინც 2020 წელს ჯერ კიდევ უარყოფს გარკვეული პროფესიონალური და პირადი თვისებების აუცილებლობას პარლამენტისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისას, ფიქრობს მხოლოდ მემარცხენე-მწვანეების სიცრუის მხარდაჭერაზე, აგრეთვე იმაზე, რომ არ დაუშვან გონიერების გამარჯვება მემარცხენე-მწვანეების მიერ გავრცელებულ იდეოლოგიაზე.

**sovpressa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# კალიფორნიის სკოლებში სასწავლო პროგრამიდან «ჰეკლბერი ფინს» იღებენ... რასისტული შინაარსის გამო

**კალიფორნიის სკოლების სასწავლო პროგრამიდან ამოიღებენ ამერიკული კლასიკური ლიტერატურის წიგნებს — „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს“, „დამცინავი ფრინველის მოკვლას“ და „თაგვებსა და ადამიანებზე“, — იუწყება Daily Wire. ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, ეს წიგნები რასისტული წარსულის ნაწილია. Daily Wire-ს მიმომხილველ მაიკლ ნოულზის აზრით კი, სინამდვილეში, მემარცხენეები ადგილს ათავისუფლებენ თავიანთი იდეოლოგიური მდარეხარისხიანი ლიტერატურისთვის.**



მაიკლ ნოულზი

„ისინი სკოლებიდან აძევებენ დიად ამერიკულ წიგნებს. გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით წიგნების დაწვაზე Target-ში (მაღაზიების ქსელი — ნ.კ.). კალიფორნიის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგები ამბობენ, რომ მართლაც უნდა დავწვათ წიგნები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ ბავშვებს კასტრაცია უნდა ჩავუტაროთ და სხვა სქესზე გადავიყვანოთ.

ახლა კი კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში სასკოლო პროგრამიდან იღებენ **მარკ ტვენის** „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს“, **ჰარპერ ლის** „დამცინავი ფრინველის მოკვლას“, **ჯონ სტეინბეკის** „თაგვებსა და ადამიანებზე“, იმიტომ, რომ ეს რასიზმია თუ რაღაც ამგვარი. ისინი ამბობენ, რომ ეს არის ჩაგვრა, მჩაგვრელი წარსულის ნაწილი.

მაგრამ ეს წიგნები ამერიკული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების სიაშია და გარკვეულწილად ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკული წიგნები ახალგაზრდულ ასაკში წასაკითხად. ახლა კი მათ პროგრამიდან იღებენ.

ჩვენ ამას წლების წინათ ვწინასწარმეტყველებდით. მემარცხენეები კი გვეუბნებოდნენ, — პანიკიორები და ფსიქიკურად შერყეულები ხართო, მაგრამ დღეს ხდება ის, რასაც ვამბობდით.

რატომ ხდება ეს? ნაწილობრივ იმიტომ, რომ მემარცხენეები... არა, იმიტომ, რომ მემარჯვენეები უარს ამბობენ სტანდარტების ფორმულირებაზე, როდესაც გვესმის, როგორ ლაპარაკობს მასმედია ნორმებისა და სტანდარტების ნიველირებაზე, როცა გვესმის ლაპარაკი პოლიტკორექტულობის ახალ სტანდარტზე, მემარჯვენეებს საკუთარი თავი ჩიხში შეჰყავთ. ჩვენ ვამბობთ: „ჰეი, მე წინააღმდეგი ვარ ცენზურისა და მოვითხოვ სიტყვის თავისუფლებას!“; ჩვენ ვაკრავთ სტიკერებს მანქანებზე, გამოვდივართ ლოზუნგებით, მაგრამ სტანდარტს არ ვაყალიბებთ.

**ჩვენ გვინდა, ვიყოთ „ინკლუზიურები“ და ვამბობთ: „დიახ, შეგიძლიათ დაამატოთ პროგრამებში თქვენი წიგნები. შეგიძლიათ ჩაიცვათ ის, რაც მოგეწონებათ. მამაკაცებს შეუძლიათ გამოეწყონ კაბაში, როგორც გინდათ, მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, გვინდა, რომ ჩვენი წიგნებიც იყოს პროგრამებში“. პრობლემა არის ის, რომ... ასე ვერავის დაარწმუნებ.** რაც შეეხება განათლებას, მას არ აქვს იძულებითი ხასიათი და საზღვრები.










სემესტრში კვირების რაოდენობაც შეზღუდულია, აგრეთვე, შეზღუდულია იმ წიგნების რაოდენობა, რომლებიც შეგიძლიათ წაიკითხოთ. და, **თუკი დაიწყებთ, პროგრამაში რაღაც სულელური წიგნების დამატებას გენდერულ თეორიებზე ან იბრამ კენდის რომელიღაც სულელური წიგნის დამატებას იმის შესახებ, რა საშინელი ტიპები არიან თეთრი ადამიანები და როგორი თეთრი შოვინიზმითაა გაჯერებული ჩვენი ქვეყანა და ა.შ., მაშინ მოგვიწევს სხვა წიგნების ამოღება პროგრამიდან და ჩვენ ვხედავთ, რა ხდება ამ სკოლებში.**

აქ ლაპარაკი არ არის წიგნების ხარისხზე, თუმცა ნებისმიერი მათგანი გაცილებით უკეთესია იმაზე, რაც თქვა თავის ცხოვრებაში იბრამ კენდიმ. ეს წიგნები მხარს უჭერს გარკვეულ სტანდარტს და წარმოადგენს დასავლური კულტურის ნაწილს. მემარცხენეებს კი სურთ, თავიდან მოიშორონ. ჩვენ უნდა შევთავაზოთ სტანდარტი, უნდა ვთქვათ: „არა, თქვენ ვერ ჩართავთ პროგრამაში თქვენს შტერულ წიგნებს. თქვენი წიგნები ძალიან უხარისხოა და არ შეიძლება სასკოლო პროგრამაში მისი ჩართვა იმიტომ, რომ თქვენი წიგნები გონებას უჩლუნგებს ჩვენს ბავშვებს. ჩვენ კი სასკოლო პროგრამებისთვის, ცუდი კი არა, კარგი წიგნები გვჭირდება იმიტომ, რომ დრო შეზღუდული გვაქვს, მე კი მინდა, რომ ჩემი და თქვენი შვილები ჭკვიანები იყვნენ“.

**ჩვენ გვინდა, ვიყოთ «ინკლუზიურები» და ვამბობთ: «დიახ, შეგიძლიათ დაამატოთ პროგრამებში თქვენი წიგნები. შეგიძლიათ ჩაიცვათ ის, რაც მოგეწონებათ. მამაკაცებს შეუძლიათ გამოეწყონ კაბაში, როგორც გინდათ, მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, გვინდა, რომ ჩვენი წიგნებიც იყოს პროგრამებში». პრობლემა არის ის, რომ... ასე ვერავის დაარწმუნებ**

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ბოლო წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ბრწყინვალე ნივთების მზის სინათლეზე გამოტანამ, რომლებზეც არა მხოლოდ მითოლოგიური სიუჟეტები და პერსონაჟები არიან გამოხატულნი, არამედ იბერიისა და კოლხეთის პიტიახშების პორტრეტებსაც ვხედავთ, ცხადყო, რომ წინაისტორიული პერიოდიდან მომავალი კულტურული ტრადიციის ჯაჭვი არ შეწყვეტილა ქართველი ერის ისტორიის გარიჟრაჟზეც. ეს ტრადიცია ძლიერდება IV-V საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა მკვიდრდებოდა და ქართველი ერი ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდებოდა.

# ვინ იყვნენ სტალინის წინაპრები

**იბადებოდა ქვეყნის სიცოცხლე,**
**თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება,**
**იბადებოდა ქალდეველ მონის**
**რომის პლებეის შურისძიება.**

*გიორგი ლეონიძე*

**დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა შორის გავრცელებულია რწმენა, რომ დიდი ეროვნული გმირები თუ მთავარსარდლები კი არ კვდებიან, არამედ სიცოცხლეს აჩრდილისამებრ განაგრძობენ იმისთვის, რომ, როცა ცოცხალ თაობებს გაუჭირდებათ, დახმარება გაუწიონ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია ვაჟა: „ცოცხლების მისაშველებლად მკვდრებიდან გამოყოფილნი“.**



სტალინი და მისი დედა ეკატერინე გელაძე

**მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნიდან საქართველოს დიდი ფეოდალური მონარქია დანაწევრდა, კერძოდ, ქართლ-კახეთი ირანის პერიფერიად იქცა, უკანასკნელი გამოჩენილი ბაგრატიონები — ალექსანდრე კახთა მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II შეუპოვრად განაგრძობდნენ თავიანთი წინამორბედების პოლიტიკას. რუსეთთან დაახლოება მათთვის წინემავალი კულტურის წრეში დაბრუნებას ნიშნავდა. ამრიგად, ტრაგიკული გათიშვების მიუხედავად, ქართველი ხალხის პოლიტიკური ისტორია მრავალი საუკუნის განმავლობაში მოკლებული არ არის თანმიმდევრობას და საკმაოდ ჰარმონიულ შთაბეჭდილებას ტოვებს**

დღეს ქართველი ერი ფარულად თუ ხილულად დიდ რუს ხალხთან ერთად მოიხმობს ჩვენს დიდ წინაპრებს, რათა მხარში ამოგვიდგნენ და მხნეობა შეგვმატონ მორალური თუ ფიზიკური ბრძოლის ფრონტზე. ჩვენი დიდი წინაპრები იმიტომ ვახსენე, რომ შევადაროთ ჩვენი ბოლო გმირი წინაპარი იმ გმირებს, რომლებიც მეფის შთამომავლები იყვნენ, ჰქონდათ ტახტი და ჰქონდათ სახელმწიფო ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული. ჩვენს ბოლო გმირს არ ჰქონდა არაფერი, არათუ სამეფო, არამედ დასაწოლი ტახტიც კი. მშიერ-მწყურვალს, ათი წლის განმავლობაში ტუსაღსა და დევნილს განგებამ მისცა საშუალება, რომ 30 წლის განმავლობაში ხელში სჭეროდა დედამიწის სფერო ზღვითა და ხმელეთით, ამიტომ მოვიყვან მისი და მისი წინაპრების გავლენისა და ძალის დემონსტრირების უამრავ მაგალითს. როდემდე უნდა ვიყოთ სიბნელეში? როდემდე უნდა გვჯეროდეს მტრებისა და ჯადოქარ მასონთა ზღაპრების?

ორ ზღვას შუა, ორი რელიგიის გამძვინვარებულ ტალღებს შორის, ხან ღრმად იძირებოდა და ხან კი ამოტივტივდებოდა ოდითგანვე ზღაპრულ ქვეყნად აღქმული, ზოგჯერ ფრთაშეკვეცილი, ზოგჯერ კი ფრთაგაშლილი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“. ოვსთა და ჰუნთა მიერ აოხრებული საქართველო 8 წლის მეფის, **ვახტანგ გორგასლის,** ხელში აღმოჩნდა და ქვეყანას, ფაქტობრივად, დედამისი **საგდუხტი** განაგებდა. მერე ყმაწვილი ვახტანგი თავისი ჯარით შაჰინშაჰ **ჰეროზს** მიჰგვარეს ჰუნებთან დაწყებულ ომებში მისახმარებლად. ვახტანგ გორგასალი საქართველოში 446 წელს დაბრუნდა საქართველოში ჰუნ-სარაგურთა და სხვა ჩრდილო-კავკასიელ მომთაბარე ტომთა შემოსევის გამო. მეფემ ხმლის უბადლო ქნევით გაარღვია კავკასიონის კლდე-კარი და დაამარცხა ოსთა დიდი ლაშქარი. მან დარიალის ხეობა მტკიცედ ჩარაზა, რასაც მოჰყვა საქართველოს საშინაო საქმეების დაწყობა-მოწესრიგება. სწორუპოვარ ვახტანგ მეფეს ლექსი მიუძღვნა ხალხმა:

**„ვახტანგ მეფე ღმერთს**
**უყვარდა,**
**მთიდან ჩამოესმა რეკვა,**
**იალბუზზე ფეხი შედგა,**
**დიდმა მთებმა იწყეს**
**დრეკა“.**

გაიხარა მამის სულმა იმ ქვეყნად, როდესაც მისმა შვილმა ქვეყანა შეჰკრა და გააერთიანა. **საქართველო გააერთიანა ძალამ, გამბედაობამ და სამართლიანობამ. დიდხანს არ გაგრძელებულა ვახტანგ მეფის შემდეგ საქართველოს გაფართოება-აღმშენებლობა, მაგრამ ვახტანგ მეფის სახელი, 15 საუკუნეა, მოჰყვება საქართველოს გვირგვინად — ძალისა და ძლიერების სიმბოლოდ.**

ვახტანგ ორგასლის ზეობიდან 5 საუკუნის შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა **გიორგი II** გადააყენეს, მისი ადგილი მისმა ძემ — **დავით IV**-მ დაიკავა „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმა სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღვთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეთვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“ *(აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ისტორია, ტომი II, თავი მე-15, გვ. 332).*

დავითმა რკინის ხელით გააერთიანა ურჩი ფეოდალები და მოსპო ქვეყანაში მოთარეშე თურქ-სელჩუკთა რაზმები, რომელთა გამოც დაცლილი იყო ქალაქები და სოფლები — მოსახლეობა მთებსა და ტყეებში იყო გახიზნული. ქვეყანამ სიმშვიდე დაიბრუნა და დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობა. სწორედ დავითმა თავისი მტკიცე და შეუპოვარი ხასიათით ჩაუყარა საძირკველი საქართველოში ოქროს ხანას. დღესაც, 9 საუკუნის შემდეგ, საქართველოს მთებსა და ველებს ატყვია დიდი დავითის ნატერფალი.

დავითი ებრძოდა არა რომელიმე ერთ ქვეყანასა და ერთ მტერს, არამედ ქრისტიანობისა და კავკასიის წინააღმდეგ მებრძოლ უზარმაზარ კოალიციას, რისთვისაც ამ ბრძოლას მტერმაც და მოყვარემაც „ბრძოლაი საკვირველი“ უწოდეს.

**„დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ “** *(აკადემიკოსი როინ მეტრეველი,საქართველოს ისტორია, ტომი II, თავი მე-16, გვ. 362).*

**გიორგი III**-ის ცოლი ოსთა მეფის, ხუნდანის, ასული **ბურდუხანი** იყო. ეს გიორგის პოლიტიკური წინდახედულება გახლდათ: კავშირ-ურთიერთობა განემტკიცებინა ჩრდილოელ მეზობელთან. გიორგისა და ბურდუხანს გარკვეული ხნის განმავლობაში შვილი არ უჩნდებოდათ, რაც ძლიერ აწუხებდათ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი დროც დაუდგათ და მეფის ოჯახში ქალიშვილი დაიბადა — უნაკლო და მშვენიერი. მეფე გიორგის დიდი გავლენა ჰქონდა თავის ქვეყანაში, ასევე მეზობელ ქვეყნებში. მისი ავტორიტეტი დიდად ეხმარებოდა ქვეყნის აღმშენებლობას. ქალიშვილს მემკვიდრედ ზრდიდა და ასწავლიდა ქვეყნის მართვა-გამგებლობას. მეფემ ის თავის სიცოცხლეშივე აკურთხა მეფედ და თამარი 5 წლის განმავლობაში ინაწილებდა მეფის მოვალეობას მამასთან ერთად. 1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, კახეთში გარდაიცვალა გიორგი III. „ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“. მამის სიკვდილი თამარს თბილისში, ისნის ციხესიმაგრეში შეატყობინეს. გლოვითა და დიდი მწუხარებით დამარხეს მცხეთაში და იმავე წელს გადაასვენეს მეფეთა ტრადიციულ საძვალეთში — გელათში.

**დიდგვაროვანი ფეოდალები, რომლებსაც გიორგი III-ის სიცოცხლეშიც არ მოსწონდათ თამარის გამეფება, მეფის სიკვდილის შემდეგ პრინციპულად მოითხოვდნენ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიის განმეორებით ჩატარებას — ფეოდალებს ბოროტი განზრახვის აღსრულება ეწადათ. საკმაოდ ნიჭიერმა და გამოცდილმა, მაგრამ ყმაწვილმა ქალმა ბრწყინვალედ გაართვა თავი გვირგვინის განმეორებით დადგმას და მეფედ კურთხევის ცერემონიამ გართულების გარეშე ჩაიარა. თამარის მეფობის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა ქვეყნის ძლიერება. თამარის სახელთანაა დაკავშირებული რუქნადინთან ბასიანის საარაკო ბრძოლა, რომელიც, საუკუნეებია, დიდების შარავანდედად მოჰყვება საქართველოსა და თამარის სახელს.** XI-XII საუკუნეებში ქართველი ერის გაერთიანებასა და ერთი ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნას ხელი შეუწყო არა მხოლოდ მისი მთავარი შემადგენელი ეთნიკური ელემენტების სისხლით ნათესაობამ და ბაგრატიონთა დინასტიისა და მღვდელმსახურების შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ, არამედ იმანაც, რომ კოლხეთსა და იბერიაში ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მომდინარე კულტურის ტრადიციები. ამ ტრადიციების ჯაჭვის თავი იკარგება იმ ეპოქაში, რომელშიც არგონავტებისა და პრომეთეს მითები შეიქმნა და როდესაც რიონისა და ჭოროხის ხეობებში და შავი ზღვის სანაპიროებზე წინააზიელი ბერძნების ახალშენები გაჩნდა.

ბოლო წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ბრწყინვალე ნივთების მზის სინათლეზე გამოტანამ, რომლებზეც არა მხოლოდ მითოლოგიური სიუჟეტები და პერსონაჟები არიან გამოხატულნი, არამედ იბერიისა და კოლხეთის პიტიახშების პორტრეტებსაც ვხედავთ, ცხადყო, რომ წინაისტორიული პერიოდიდან მომავალი კულტურული ტრადიციის ჯაჭვი არ შეწყვეტილა ქართველი ერის ისტორიის გარიჟრაჟზეც. ეს ტრადიცია ძლიერდება IV-V საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა მკვიდრდებოდა და ქართველი ერი ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდებოდა. **ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე** არსებითად იმავე პოლიტიკის წარმოებას განაგრძობდნენ, რომელსაც რომის იმპერატორების მეგობარი იბერიელი მეფეები და ბიზანტიის ორიენტაციის კოლხი მეფეები. ამ კულტურული ტრადიციების კალაპოტიდან ქართველი ერი ამოაგდო არა მისი ხელმძღვანელების პოლიტიკის შეცვლამ, არამედ საშინელმა საერთაშორისო კატასტროფამ, რომელიც გამოწვეული იყო სტიქიური სოციალური ძალებით, ხალხთა დაძვრით, ძველი იმპერიების დაშლითა და ახლის წარმოშობით. **ჯერ ჩინგიზ-ყაენისა და თემურ-ლენგის ურდოების შემოსევის, ხოლო შემდეგ ბიზანტი-** ▶

**XI-XII საუკუნეებში ქართველი ერის გაერთიანებასა და ერთი ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნას ხელი შეუწყო არა მხოლოდ მისი მთავარი შემადგენელი ეთნიკური ელემენტების სისხლის ნათესაობამ და ბაგრატიონთა დინასტიისა და მღვდელმსახურების შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ, არამედ იმანაც, რომ კოლხეთსა და იბერიაში ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მომდინარე კულტურის ტრადიციები. ამ ტრადიციების ჯაჭვის თავი იკარგება იმ ეპოქაში, რომელშიც არგონავტებისა და პრომეთეს მითები შეიქმნა და რიონისა და ჭოროხის ხეობებში და შავი ზღვის სანაპიროებზე წინააზიელი ბერძნების ახალშენები გაჩნდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ის იმპერიის დამხობისა და თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შედეგად საქართველო მოსწყდა იმ კულტურულ წრეს, რომელსაც მანამდე ეკუთვნოდა და დაემსგავსა განმარტოებულ კუნძულს, რომლის ნაპირებსაც მღელვარე ოკეანის ტალღები ეხეთქება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნიდან საქართველოს დიდი ფეოდალური მონარქია დანაწევრდა, კერძოდ, ქართლ-კახეთი ირანის პერიფერიად იქცა, უკანასკნელი გამოჩენილი ბაგრატიონები — ალექსანდრე კახთა მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II შეუპოვრად განაგრძობდნენ თავიანთი წინამორბედების პოლიტიკას. რუსეთთან დაახლოება მათთვის წინმიმავალი კულტურის წრეში დაბრუნებას ნიშნავდა. ამრიგად, ტრაგიკული გათიშვების მიუხედავად, ქართველი ხალხის პოლიტიკური ისტორია მრავალი საუკუნის განმავლობაში მოკლებული არ არის თანმიმდევრობას და საკმაოდ ჰარმონიულ შთაბეჭდილებას ტოვებს.**

ძნელია მეორე ისტორიული გმირის დასახელება, რომელიც ქართველ ერს ისე უყვარდეს, როგორც **ერეკლე II.** რასაკვირველია, მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა მარტოოდენ სტრატეგიული გენიით არ აიხსნება. ის აღჭურვილი იყო ზნეობრივი ვალდებულების შეგნებით, რომელიც დღესაც მისაბაძად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის, ის იჩენდა გასაოცარ ინტერესს მეცნიერებისა და ტექნიკისადმი, მოულოდნელს ფეოდალური წესწყობილების მიჯნაზე მდგომი ადამიანისათვის. ის დაჯილდოებული იყო სწორი პოლიტიკური ალღოთი, რომლითაც არანაკლებ შეუწყო ხელი ქართველი ერის გადარჩენას, ვიდრე თავისი ხმლით.

ახლა კი გადავიდეთ ქართველთა ბოლო გმირზე, **იოსებ ჯუღაშვილსა** და მის წინაპრებზე.

**ჯუღაშვილების** გვარი ქართულია და იგი დასაბამს იღებს საუკუნეების სიღრმიდან. მთიულების შეიარაღებული აჯანყების მეთაურად სწორედ **ზაზა ჯუღაშვილია** მოხსენიებული. მემატიანე იმასაც გვამცნობს, რომ ზაზა ჯუღაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა აღმოსავლეთის მთიანეთში. იყო კრწანისის ბრძოლის გმირი და ერთადერთი დასაყრდენი მეფე ერეკლეს შვილის — **იულონის** მებრძოლთა შორის. **მთიელთა აჯანყების ჩასახშობად მეფისნაცვალმა, გენერალმა კარლ კნორინგმა 1802 წლის 19 თებერვალს სიმონოვიჩს უბრძანა, აჯანყების ჩასახშობად ექსპედიცია წაეყვანა ლიახვის ხეობის ასაოხრებლად. სიმონოვიჩმა მოლაპარაკებებით დაიწყო ხეობაში შესვლა და ზაზა ჯუღაშვილს შუამავლად კუდააზნაური მიუგზავნა. ქართლის სოფლები ზაზა ჯუღაშვილს უკვე ტყეში ჰყავდა გახიზნული და სიმონოვიჩს დაუმორჩილებლობა შეუთვალა. გაბრაზებულმა სიმონოვიჩმა ჯავის ზემოთ გადაინაცვლა და ჯარი საომრად გააწყო.**

ზაზა ჯუღაშვილმა პირველივე შეტაკებაში სიმონოვიჩს მწარე დამარცხება აგემა და იქიდან ქუდმოგლეჯილი უკან გააქცია. სიმონოვიჩმა სასწრაფოდ კაცი აფრინა მეფისნაცვალთან ძალების მოსაშველებლად. მეფისნაცვალმა არ დააყოვნა და დიდი ძალები გაგზავნა ლიახვის ხეობაში. ღალატით თუ უთანასწორო ძალთა თანაფარდობით გატეხეს მთიელთა აჯანყების ხერხემალი, ზაზა ჯუღაშვილი ტყვედ აიყვანეს და ანანურის ციხეში გამოკეტეს. არ არის ცნობა იმის შესახებ, რამდენ ხანს იმყოფებოდა ზაზა ჯუღაშვილი ანანურის ციხეში, მაგრამ ჟამთაღმწერელი გვამცნობს, რომ 1804 წელს ზაზა ჯუღაშვილი კვლავ გამოჩნდა ლიახვის ხეობაში.


სტალინის მამა ბესარიონ ჯუღაშვილი


ეკატერინე გელაძე

**მთიელთა აჯანყების ჩასახშობად მეფისნაცვალმა, გენერალმა კარლ კნორინგმა, 1802 წლის 19 თებერვალს სიმონოვიჩს უბრძანა, აჯანყების ჩასახშობად ექსპედიცია წაეყვანა ლიახვის ხეობის ასაოხრებლად. სიმონოვიჩმა მოლაპარაკებებით დაიწყო ხეობაში შესვლა და ზაზა ჯუღაშვილს შუამავლად კუდააზნაური მიუგზავნა. ქართლის სოფლები ზაზა ჯუღაშვილს უკვე ტყეში ჰყავდა გახიზნული და სიმონოვიჩს დაუმორჩილებლობა შეუთვალა. გაბრაზებულმა სიმონოვიჩმა ჯავის ზემოთ გადაინაცვლა და ჯარი საომრად გააწყო**

1807 წელს ზაზა ჯუღაშვილის დიდი ოჯახი გაიყო და მისი ერთი შვილი, გიორგი, მამის რჩევით, დიდ ლილოში დასახლდა. გიორგის ოჯახის მონახულების შემდეგ ლილოსკენ დაიძრა ჯუღაშვილების გვარი და ნათესაობა.

**გოდერძაულები** (გოდერძიშვილები) ფშავიდან არიან, დუშეთის რაიონის სოფელ ახაწიდან, ანუ შუაფხოდან. ახმეტის რაიონის სოფელ ინძეთიდან წამოვიდნენ ჯუღაშვილების სისხლით ნათესავები: **ხელაშვილები, გორელაშვილები, ჭროლაშვილები, ბეროშვილები, კულალაშვილები, ღარიბაშვილები** (ზოგიერთი სომხებად რომ აღიქვამს ღარიბაშვილების გვარს — გრ. ონიანი), **ბურძვალიშვილები.** ჯუღაშვილების ბიძაშვილები არიან **ტურაშვილები,** ახმეტის რაიონის სოფელ მატანიდან. ოჯახის უფროსი **ივანე ჯუღაშვილი (ბესოს მამა)** შვილებთან ერთად მყარად დასახლდა სოფელ ლილოში. ლილოში გადმოსახლებული ივანე ჯუღაშვილი თავს იწონებდა თავისი პაპის, ზაზა ჯუღაშვილის, სახელით და სოფლის მოსახლეობაც დიდ პატივს მიაგებდა, როგორც ივანეს, ასევე მისი პაპის ხსოვნას, როგორც მთიელთა აჯანყების ერთ-ერთ სახელოვან მეთაურს.

15 წლის ბესო დიდი ლილოდან ქალაქში ჩავიდა და სრულიად შემთხვევით **გრიგოლ ორბელიანთან** შესახვედრად გამოსულ ამბოხებულ ბრბოში გაერია. ხმაურისა და შეძახილების ფონზე ქვების სროლაც მოჰყვა ჟანდარმერიის მიმართულებით. ამბოხებულების ერთი ჯგუფი ძველი სახლების ერთ კუთხეში მიიმწყვდიეს და მათრახებით სცემეს, ბოლოს კი მეტეხის ციხეში შეყარეს. ერთ კვირას აყურყუტეს ბესარიონ ჯუღაშვილი მეტეხის ციხეში, შემდეგ კი, როგორც მცირეწლოვანი, გაათავისუფლეს. ციხის მესაკნე **პეტრე ხარაზი,** რომელიც ადელხანოვის ქარხანაში მუშაობდა, დაჰპირდა, რომ მასაც მოაწყობდა სამაუშაოდ. პეტრემ დანაპირები შეასრულა — ბესო ძმებ ადელხანოვებთან მიიყვანა და უშუამდგომლა, სამსახურში აეყვანათ.

**ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილის მონათხრობიდან ცნობილია, რომ მისი მამა — გიორგი გელაძე ამილახვრიანთა შინაყმა ყოფილა სოფელ სვენეთიდან (გორთან ახლოს). უკვე დავაჟკაცებულ გიორგის მოსწონებია და ცოლობა შეუთავაზებია ბატონიანთ კნეინას მოახლე მელანოსთვის, სოფელ ფლავიდან (გორის რაიონი). ბატონი დიდად განრისხებულა შინაყმის ასეთი «თავხედობით» და გიორგის პირველი ღამის უფლებით დამუქრებია. მეორე ღამით გიორგი და მელანო ლიახვის ხეობის ქისტეთის გზას დადგომიან და მალე ჩასულან ქისტების სოფელში**

ბესო შეგირდად მიიღეს, მაგრამ მისმა სიბეჯითემ და სპეციალობის ხარისხიანად და სწრაფად ათვისებამ მალე ქარგლად აქცია. ბევრ მუშას არ მოწონდა ბესოს საქმისადმი ასეთი ერთგულება და ბეჯითი შრომა, რადგან სხვებისგანაც ბესოს მსგავს ბეჯითობას მოითხოვდნენ. ერთხელ ადელხანოვების ქარხანაში მოხდა ბუნტი. ზოგიერთმა შურიანმა მუშამ ხელი ბესოს დაადო, როგორც ბუნტის წამომწყებს, და კიდევ ერთხელ უკრეს თავი მეტეხის ციხეში. საქმის გარჩევისას ქალაქის თავმა ბესოს თბილისში ცხოვრება აუკრძალა და სხვა ქალაქში გადასახლება უბრძანა — ეს ქალაქი იყო გორი. ბესო ჯუღაშვილი ჟანდარმერიამ გორში ჩაიყვანა და პოლიციის უფროს **გაბუნიას** ჩააბარა. როგორც ბოროტს, კეთილსაც რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და, ვიღაცის დახმარებით, ახალგაზრდა ბესოს მოუხსნეს ზედამხედველობა და სახელოსნოში მოაწყვეს სამუშაოდ. ასე მოხვდა სრულიად ახალგაზრდა ბესო ჯუღაშვილი დიდი ლილოდან ქალაქ გორში. მკითხველისთვის ასევე საინტერესო იქნება, საიდან მოხვდა სტალინის დედის, გელაძეების ოჯახი, გორში.

ეკატერინე (კეკე) ჯუღაშვილის მონათხრობიდან ცნობილია, რომ მისი მამა — გიორგი გელაძე ამილახვრიანთა შინაყმა ყოფილა სოფელ სვენეთიდან (გორთან ახლოს). უკვე დავაჟკაცებულ გიორგის მოსწონებია და ცოლობა შეუთავაზებია ბატონიანთ კნეინას მოახლე მელანოსთვის, სოფელ ფლავიდან (გორის რაიონი). ბატონი დიდად განრისხებულა შინაყმის ასეთი „თავხედობით“ და გიორგის პირველი ღამის უფლებით დამუქრებია. მეორე ღამით გიორგი და მელანო ლიახვის ხეობის ქისტეთის გზას დადგომიან და მალე ჩასულან ქისტების სოფელში. ქისტებს დიდად გახარებიათ ახალგაზრდა ქართველი ცოლქმრის გამოჩენა და ყველას თავისი წილი გაუღია ახალგაზრდა წყვილის ნორმალურად დასაბინავებლად. გიორგისა და მელანოს ბედნიერი ოჯახი შეუქმნიათ.

მელანო დიდად კმაყოფილი ყოფილა ქმრით და პატარა სოფელში ცხოვრების გაგრძელებასაც ფიქრობდა, მაგრამ სულ სხვა აზრი უტრიალებდა თავში გიორგის. სამ წელს გასტანა გიორგისა დ მელანოს ცხოვრებამ ქისტების სოფელში. გიორგიმ კარგად აითვისა მეთუნეობა, შესანიშნავი ჯამჭურჭლით ამარაგებდა სოფელს. სოფელმაც უფრო შეიყვარა გამრჯე ქართველი. სამი წლის შემდეგ, დიდად მადლიერმა, აიყარა გუდა-ნაბადი და მეუღლესთან ერთად გზას ისევ უკან დაადგა. გორში ჩასულმა გარეუბანს მიაშურა და საცხოვრებლად უვარგის ადგილას, ღამბარეულში, პატარა ქოხში დაიდო ბინა. გიორგისთვის ხელსაყრელი იმით იყო ღამბარეული, რომ იქ უხვად მოიპოვებოდა მისთვის ესოდენ საჭირო ნედლეული — აყალო მიწა. გამრჯე კაცი უმალ შეუდგა მუშაობას და საქმეც წარმატებით წაიყვანა. გიორგიმ წვერი მოუშვა, სახელი შეიცვალა და მეზობლებს გლახოდ გაეცნო. ამის მიზეზი იყო ის, რომ ძველ მეპატრონეს არ ეცნო.

გლახო სამი შვილის მამა გახდა. უფროს შვილებს — გიოსა და სანდალას — თავისი ხელობა შეასწავლა და ოჯახმაც სწრაფად დაიწყო წინსვლა. ნებიერად იზრდებოდა უმცროსი ქალიშვილი ეკატერინე, რომელსაც პატარაობიდან კეკეს ეძახდნენ. ოჯახმა კეკესთვის სწავლა-განათლების მიცემა გადაწყვიტა და ურმით ქალაქში გამოამგზავრა. გზაზე კეკე ურმიდან გადმოვარდა. გიორგიმ შემთხვევა ღვთის ნებად აღიქვა და კეკე შინ მოაბრუნა. შემდგომ მის განათლებაზე არავის უზრუნია.

1864 წლის 8 ნოემბერს ღამბარეულში, გელაძეების პატარა ქოხში გაზაფხულის მზემ შეანათა. ზეიმისა და სიხარულის ხმები აყრუებდა არე-მარეს. ხალხი ბატონყმობის გადაგდებს ულოცავდა ერთმანეთს. გიომ და სანდალამ ურემი მოაჩარდახეს, შიგ თავიანთი ავლა-დიდება ჩააწყვეს, ჩასვეს დედა, კეკე და გორისკენ გაემგზავრნენ უშიშრად. გორში არტილერიის მოედანთან ზღვა ხალხმა გადაადგილების საშუალება არ მისცა ურემს. სხვადასხვა ვიწრო გზებით მოახერხეს ძმებმა დანიშნულ ადგილამდე ურმის მიყვანა. საერთო ზეიმს გიორგისა და სანდალას ოჯახიც შეუერთდა.

**ზეიმში მონაწილეობდა ქალაქელი ხელოსნების ყაიდაზე გამოწყობილი პიროვნება, შავი ჩოხითა და ჩექმებით, ძეწკვით, კარტუზით, წინ გადმოწეული შუბლის ქვეშ მკვეთრი თვალები უელავდა, როგორც გალიაში გამომწყვდეულ მხეცს. ეს ბესო ჯუღაშვილი იყო. როდესაც გოგონები საქანელაზე ქანაობდნენ, შემთხვევით იმ ადგილას ბესომ გაიარა. მან უმალვე „იცნო“ თავისი რჩეული. ნუშისთვალება კეკეს თეთრი კაბა ეცვა, გრძელი შარფი შემოეხვია ყელზე.** ქანაობისას შარფი ისე უფრიალებდა, როგორც პეპელას აბრეშუმივით ნაქსოვი ფრთები. კეკე კისკისებდა. ბესო გაშტერებული უყურებდა და ეგონა, კეკეს კბილების ელვარება სახეზე შუქს ჰფენდა. კეკემ უნებურად მოიხედა, მისი თვალები ანთებულ ჩირაღდნებს შეეფეთა და შეთრთოლდა, გაფითრდა და შურდულივით შინ გაიქცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

75 წლის წინათ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1960-იანი წლებში საბჭოთა პროპაგანდისტული შტამპები „ნაციზმის აღორძინების“ შესახებ სამართლიანი იყო. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოფილი წევრები და აქტიური ნაცისტები მასობრივად ბრუნდებოდნენ ჟურნალისტიკაში, სასამართლოებში, დიდი კონცერნების დირექტორთა საბჭოებში, არმიასა და პოლიციაში.**

**75 წლის წინათ, 1945 წლის 20 ნოემბერს, დაიწყო ნიურნბერგის პროცესი (ტრიბუნალი). მთავარი სასამართლო მესამე რაიხის ელიტის წარმომადგენლებსა და ნაცისტ სამხედრო დამნაშავეებზე საგანგებო ვითარებაში წარიმართა. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ დიდი ხნის წინანდელი ტრიბუნალის შედეგები დღესაც მნიშვნელოვანია.**

# ნიურნბერგის ტრიბუნალმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სასამართლოებს სამხედრო დამნაშავეების წინააღმდეგ

## ნიურნბერგის პროცესი იყო არა მხოლოდ ტრიბუნალი, არამედ ფაშიზმის, ნაციზმისა და ჰიტლერიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის დაგმობის მექანიზმი



ნიურნბერგის პროცესმა, რომლის გამართვის იდეა იალტის კონფერენციაზე (1945 წლის 4-11 თებერვალი) გაუჩნდა სტალინს, საძირკველი ჩაუყარა ახალი საერთაშორისო ტრიბუნალების სისტემას, რომელიც დღემდე არსებობს.

ძირითადი პროცესის კვალდაკვალ, რომელშიც ბრალდებულები იყვნენ მესამე რაიხის პირველი პირები რამდენიმე გამონაკლისის გარდა (თავი მოიკლეს **ჰიტლერმა** და **რობერტ ლეიმ, მარტინ ბორმანი** გაუჩინარდა და, სავარაუდოდ, დაიღუპა საბჭოთა ჭურვის აფეთქების შედეგად ბერლინის გარეუბანში), რანგით დაბალი ნაცისტი დამნაშავეების კიდევ 15 ათასი ლოკალური „ნიურნბერგი“ გაიმართა. **მთავარი პროცესი მომდევნო პროცესებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ ბრალდება ერთობლივი იყო (მოკავშირეები უკვე იმხანად იყენებდნენ ტერმინს — „გაერთიანებული ერები“, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ ფუნქციობდა სრულფასოვნად), მომდევნო ტრიბუნალები კი ტარდებოდა იურისდიქციით იმ გამარჯვებული ქვეყნისა, რომელმაც დააპატიმრა ან გამოამჟღავნა ესა თუ ის დამნაშავე.**

მაგალითად, ნიურნბერგის იუსტიციის სახლის იმავე ისტორიულ №600 დარბაზში გაიმართა კიდევ 15 პროცესი აშშ-ის იურისდიქციით, რადგან ნიურნბერგი ოკუპაციის ამერიკულ ზონაში იმყოფებოდა. სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში ნაცისტები დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით გაასამართლეს. მაგალითად, **ჰანს კოხი** გაასამართლეს ვარშავაში, დიდი პროცესები გაიმართა ხარკოვში, რიგაში, კრასნოდარში. იუგოსლავიაში კი, საერთოდ, არავინ დაინდეს.

შესაბამისად, **ნიურნბერგის მთავარი პროცესი იყო არა მხოლოდ ტრიბუნალი, არამედ ფაშიზმის, ნაციზმისა და ჰიტლერიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის დაგმობის მექანიზმი.**

ანგლოსაქსი ბრალმდებლები ხშირად უსვამდნენ ხაზს, რომ ტრიბუნალი დაარსებული იყო 22 ქვეყნის და არა 4 „გამარჯვებული“ სახელმწიფოს მიერ. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი ანტიჰიტლერულ კოალიციას მხოლოდ ბერლინის შტურმისას შეუერთდა, ზოგი ომის პერიოდში ნეიტრალიტეტს იცავდა, ზოგს კი — გერმანელთა პოზიცია ეკავა. არგენტინამ და ურუგვაიმ, მაგალითად, ნაცისტთა სიკვდილის დასჯის გაუქმება მოითხოვეს. ირლანდიის ცნობილი პრემიერმინისტრი **იმონ დე ვალერა** კი 1945 წლის მაისში დუბლინში გერმანიის საელჩოში მივიდა და გერმანელებს სამძიმარი გამოუცხადა ჰიტლერის დაღუპვის გამო, შემდეგ კი გაერთიანებულ ერებს მოუწოდა, „ყველას გამოეჩინა ჰუმანურობა და ქრისტიანული გულმოწყალება“.

**ბრიტანელები და ამერიკელები ცდილობდნენ, ეპოვათ „ომის სააზრისი“ და მას პოულობდნენ პრუსიელთა ისტორიულ მიდრეკილებაში, თავს დასხმოდნენ ყველას, ვინც მათ გარშემო იყო. ანგლოსაქსი ბრალმდებლები XX საუკუნის I ნახევრის მოვლენებს ხედავდნენ, არა როგორც გერმანიის „გადახრას“ „დასავლური ნორმებიდან“, არამედ გერმანიის ისტორიისა და გერმანელი ხალხის განვითარების გარდაუვალ შედეგს. უნდა ითქვას, რომ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში დღესაც არიან ისტორიკოსების გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებენ.**

**ფრანგები** წინდახედულად ინარჩუნებდნენ სიჩუმეს, ხოლო საბჭოთა პროკურორები და მოსამართლე **იონა ნიკიტჩენკო** იდეური მოსაზრებების გამო, ამაში საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

ბრიტანელი და ამერიკელი პროკურორების ემოციური გამოსვლების ფონზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები თავდაჭერილობით გამოირჩეოდნენ. ეს ტაქტიკა უფრო მომგებიანი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მოსამართლემ, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრმა **რობერტ ჯექსონმა** პირწმინდად წააგო ჯვარედინი დაკითხვა **გერმან გერინგთან.**

რაც უნდა თქვან 75 წლის წინანდელ მოვლენებზე, **ეს იყო ტრიბუნალი არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებზე, არამედ „ომისთვის შექმნილ სახელმწიფოზე“.**

ნიურნბერგის ტრიბუნალამდე კაცობრიობას არ ჰქონია იურიდიული მექანიზმი „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის“ განსაზღვრის ან დამტკიცებისთვის. მან უამრავი იურიდიული გამართლება გამოიწვია. მაგალითად, სიკვდილით არ დაისაჯა ნაცისტი **ალბერტ შპეერი**, რომლის ადვოკატებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ შპეერმა არაფერი იცოდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. გენოციდის საკითხს კი დღეს კოლექტიური განზრახვის დამტკიცება სჭირდება. **ნიურნბერგის პროცესზე ბრალდებულები და მათი ადვოკატები ყველა დანაშაულს მიაწერდნენ გარდაცვლილებს: ჰიტლერს, ჰიმლერს, ბორმანსა და ჰეიდრიხს; სამხედროები კი ამბობდნენ, რომ უბრალოდ, ბრძანებებს ასრულებდნენ. ნაცისტების ადვოკატები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ იმ დანაშაულებს სჩადიოდნენ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ლიდერები, ეს-ესი და არმია კი, უბრალოდ, თავიანთ მოვალეობებს ასრულებდნენ.**

ამ მომენტში მოსკოვიდან გერმანიაში ჩაიყვანეს სტალინგრადთან დატყვევებული ფელდმარშალი **პაულიუსი**, რომლის გამოჩენამაც ბრალდებელთა შორის პანიკა გამოიწვია. ამერიკელებმაც, თავის მხრივ, წარმოადგინეს გენერალ-მაიორი **ერვინ ფონ ლაჰუზენი.** ამ ორმა გერმანელმა სამხედრომ დაანგრია მითი „სუფთა ვერმახტზე“. მიუხედავად ამისა, მოსაზრება, რომ ვერმახტი არ მონაწილეობდა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში, დღეს კვლავ იძენს აქტუალობას გფრ-ში.

**ნიურნბერგის პროცესზე ბრალდებულები და მათი ადვოკატები ყველა დანაშაულს მიაწერდნენ გარდაცვლილებს: ჰიტლერს, ჰიმლერს, ბორმანსა და ჰეიდრიხს; სამხედროები კი ამბობდნენ, რომ, უბრალოდ, ბრძანებებს ასრულებდნენ. ნაცისტების ადვოკატები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ იმ დანაშაულებს სჩადიოდნენ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ლიდერები; ეს-ესი და არმია კი, უბრალოდ, თავიანთ მოვალეობებს ასრულებდნენ**

საერთაშორისო ტრიბუნალების თანამედროვე იურიდიულ პრაქტიკაში ტერმინი „კოლექტიური უსაფრთხოება“ არ გამოიყენება. ეს უფრო მორალური და საინფორმაციო ზემოქმედების საკითხია. მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისა და ჰოლივუდის ერთობლივი ქმედებების შედეგად დასავლეთში შეიქმნა წარმოდგენა, რომ სერბები მკვლელები არიან.

ნიურნბერგის ტრიბუნალის შედეგებმა მორალური კრიზისი გამოიწვია გერმანელ საზოგადოებაში. კრიზისი დასრულდა 1951 წლის ამნისტიით, რომელიც გფრ-ის პირველმა კანცლერმა **კონრად ადენაუერმა** გამოსცა. საოცარია, მაგრამ თვითგამართლების ერთ-ერთი საბაბი იყო ეკონომიკის ზრდა გფრ-ში — „გერმანული ეკონომიკური საოცრება“.

მას, ვინც კარგად მუშაობს, შეუძლია დაივიწყოს ოსვენციმი.

**1960-იანი წლებში საბჭოთა პროპაგანდისტული შტამპები „ნაციზმის აღორძინების“ შესახებ სამართლიანი იყო. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოფილი წევრები და აქტიური ნაცისტები მასობრივად ბრუნდებოდნენ ჟურნალისტიკაში, სასამართლოებში, დიდი კონცერნების დირექტორთა საბჭოებში, არმიასა და პოლიციაში.**

გერმანელ საზოგადოებას არ სურდა წარსულის გახსენება და 1934-1945 წლებში დაბრუნება. მცოცავი რეაბილიტაცია ბევრ ყოფილ ნაცისტს შეეხო და ისინი გახდნენ, უბრალოდ, გერმანელები და არა ნაცისტები. 1945 წლის შემდეგ გერმანიაში ასეთი გრადაციაც კი არსებობდა: დამნაშავენი, არცთუ ძალიან დამნაშავენი, ცოტა დამნაშავენი და უდანაშაულონი.

ამასთანავე, **დღემდე არ წყდება ისტორიულ-პოლიტიკური დისკუსია იმის შესახებ, რომ გერმანია და გერმანელი ხალხი მიდრეკილია მილიტარიზმისკენ, აგრესიისა და სადიზმისკენ. 1960-იანი წლების ბოლოს სტუდენტური მღელვარების „მაძღარი“ თაობა ამაში დარწმუნებული იყო, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან სამი თაობის შემდეგ კი ამის ბევრ გერმანელს არ სჯერა. შედეგად, ბუნდესვერში გაჩნდა ფარული ნაცისტური ორგანიზაციები, რომელთა გამოააშკარავებამ ცოტა ხნის წინათ გრანდიოზული სკანდალი გამოიწვია.**

გასაგებია, რომ თანამედროვე გერმანელები პირდაპირ არ არიან დაკავშირებულები 75-80 წლისწინანდელ მოვლენებთან, მაგრამ ეს ნეგატიური შლეიფი მათ კიდევ კარგა ხანს გაჰყვებათ.

vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



**ცნობისთვის:** ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შემადგენლობაში იყვნენ: საბჭოთა კავშირიდან — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-მაიორი **იონა ნიკიტჩენკო**; აშშ-დან — ფედერალური უზენაესი სასამართლოს წევრი **ფრენსის ბიდლი**; დიდი ბრიტანეთიდან — მთავარი მოსამართლე ლორდი **ჯეფრი ლორენსი**; საფრანგეთიდან — სისხლის სამართლის პროფესორი **ანრი დონიდიე დე ვაბრი.**

**ბრალმდებლები:** სსრკ-დან — უკრაინის სსრ-ის პროკურორი **რომან რუდენკო**; აშშ-დან — ფედერალური სასამართლოს წევრი **რობერტ ჯექსონი**; დიდი ბრიტანეთიდან — გენერალური პროკურორი **უილიამ არტურ შოუკროსი**; საფრანგეთიდან — იუსტიციის მინისტრი **ფრანსუა დე მენტონი.**

აშშ-ისთვის ბართოლომეოსი, არც მეტი, არც ნაკლები, „მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერია“, თუმცა, დე ფაქტო და დე იურე (ე.ი., მართლმადიდებლობის კანონებით) ასე არ არის. ამას გარდა, კონსტანტინოპოლის ეკლესიას თეთრი სახლი განიხილავს, როგორც „საკვანძო პარტნიორს“ „რელიგიური თავისუფლებების“ გავრცელების საქმეში, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ვაშინგტონისთვის საგარეო-პოლიტიკურ დოგმად იქცა. ფენერი ხელს შეუწყობს ამერიკული რელიგიური ფასეულობების დანერგვას მართლმადიდებელ ქვეყნებში.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინელ «რასკოლნიკებს» კიდევ ერთი მოულოდნელი დარტყმა აგემეს



მაიკ პომპეო და ბართოლომეოსი

**კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, აშშ-ის მხარდაჭერით, გარდა მასზე დამოკიდებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა, ამ ქვეყანაში შექმნა კიდევ ერთი სტრუქტურა — საეგზარქოსო, რომელიც მას სრულიად დაემორჩილება. რა შეიძლება გამოიწვიოს მან უკრაინელ „რასკოლნიკებს“ შორის.**

## თეთრ სახლთან ერთად

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **მაიკ პომპეოს,** მორიგი ვიზიტი თურქეთში სკანდალით დასრულდა. მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსი თურქეთის ხელისუფლების მაღალი ეშელონის არც ერთ წარმომადგენელს არ შეხვედრია. სამაგიეროდ, ეწვია სტამბოლის რაიონ ფენერს და კონსტანტინოპოლის პატრიარქი მოინახულა.

შეხვედრაზე მხარეებმა ტრადიციულად გაცვალეს დითირამბები. აშშ-ისთვის ბართოლომეოსი, არც მეტი, არც ნაკლები, „მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერია“, თუმცა, დე ფაქტო და დე იურე (ე.ი., მართლმადიდებლობის კანონებით) ასე არ არის. ამას გარდა, კონსტანტინოპოლის ეკლესიას თეთრი სახლი განიხილავს, როგორც „საკვანძო პარტნიორს“ „რელიგიური თავისუფლებების“ გავრცელების საქმეში, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ვაშინგტონისთვის საგარეო-პოლიტიკურ დოგმად იქცა. და ფენერი უეჭველია, ხელს შეუწყობს ამერიკული რელიგიური ფასეულობების დანერგვას მართლმადიდებელ ქვეყნებში, მათ შორის უკრაინაში. ბოლო კვირებში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საჯაროდ გამოთქვა პრეტენზიები უკრაინული მრევლის მიმართ. ის მორწმუნეებს ქვეყანაში ერთადერთი კანონიკური ეკლესიის, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს ხან „უმადურ შვილებს“ უწოდებდა, ხან უარს ამბობდა მათ აღიარებაზე.

არადა, უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ქვეყანაში მილიონობით მრევლი ჰყავს.

## ორი პირობა

ფანერზე პომპეოს ვიზიტამდე ერთი თვით ადრე ბართოლომეოსი ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის,** რომელიც მას წინამორბედის, **პეტრე პოროშენკოს,** დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას დაჰპირდა.



მიტროპოლიტი ეპიფანე, ბართოლომეოსი და პეტრე პოროშენკო

ლაპარაკია 2018 წელს წამოწყებულ ავანტიურაზე, როცა პოროშენკომ „მოსკოვისგან დამოუკიდებელი ეკლესიის“ შექმნა და ამით არჩევნების წინ თავისი რეიტინგის გაუმჯობესება მოინდომა. ახალ სტრუქტურას უნდა გაეერთიანებინა სამი რელიგიური ორგანიზაცია: კანონიკური უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და რასკოლნიკური „კიევის საპატრიარქო“ „უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან“. კანონიკურმა უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ — უდიდესმა ქვეყანაში, მყისვე უარი განაცხადა: პოლიტიკის ადგილი არ არის შიდა საეკლესიო საქმეებში, „რასკოლნიკებმა კი ჯერ უნდა მოინანიონო. „კიევის საპატრიარქო“ და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია დათანხმდნენ, მაგრამ მართლმადიდებელი ავტორიტეტების დახმარების გარეშე ახალი სტრუქტურა რასკოლნიკური და მარგინალური რჩებოდა მორწმუნეთა თვალში, ამიტომ პოროშენკომ, მისთვის ლეგიტიმურობა რომ მიენიჭებინა, დახმარებისთვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართა. მას „ახალი ეკლესიისთვის“ უნდა ეჩუქებინა ავტოკეფალიის ტომოსი — საეკლესიო დოკუმენტი მართლმადიდებელ სამყაროში დამოუკიდებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ამის უფლება არ ჰქონდა. **უკრაინა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშაა და მხოლოდ მას შეუძლია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება უკრაინის საეკლესიო სტრუქტურების მიმართ.** ფენერმა პოროშენკოს ორი პირობა წაუყენა: პირველ რიგში, მას თავის მხარეს უნდა გადაეყვანა, რაც შეიძლება მეტი არქიეპისკოპოსი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან. მეორე — კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში უნდა გადაეცათ მონასტრები და ეკლესიები, მათ შორის **კიევ-პეჩორის ლავრა.**

პოოშენკომ პირველი პირობა ვერ შეასრულა. ახალშექმნილ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდა მხოლოდ ორი ეპისკოპოსი — მიტროპოლიტი **სიმონი** (შოსტაცკი) და მიტროპოლიტი **ალექსანდრე** (დრაბინკო). პირველის დანიშვნა სურდა კიევსაც და სტამბოლის ეკლესიასაც, მაგრამ პოსტი „კიევის საპატრიარქოს“ წარმომადგენელმა **ეპიფანე დუმენკომ** დაიკავა. ამან გააღრმავა კონფლიქტი და კიდევ ერთი განხეთქილება გამოიწვია.

ახლა კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ გადაწყვიტა, უკრაინაში შექმნას სრულფასოვანი ეპარქია, რომელიც უკრაინაში მართლმადიდებელ ბერძნებს სულიერად დააპურებს, მაგრამ საეგზარქოსოს ხელმძღვანელად დანიშნა ეთნიკური უკრაინელი, ის მსახურებას ჩაატარებს კიევის წმინდა ანდრიას სახელობის ეკლესიაში — პირველ და ამ მომენტში ერთადერთ ობიექტში, რომელიც კონსტანტინოპოლს გადაეცა.

## საზღვრები წაშლილია

ახლა უკრაინაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემდეგ ნაბიჯს ელოდებიან. უახლოეს ხანში იქ შეიძლება გაისმას პრეტენზიები ახალი საეკლესიო ობიექტებზე. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიკოს **ვლადისლავ პეტრუშკოს** აზრით, „კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მოითხოვს, სულ ცოტა, უსპენსკის სტავროპიგიის (სტატუსი, რომელიც ენიჭება მართლმადიდებელ მონასტრებს, ლავრებს, ეკლესიებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად აქცევს ადგილობრივი ხელისუფლებისგან — გ.გ.) დათმობას ლვოვში. საერთოდ კი, ობიექტები, რომლებიც კონსტანტინოპოლის სტავროპიგია იყო, საკმაოდაა უკრაინაში. სწორედ ამიტომ დანიშნეს ეგზარქოსად ეთნიკური უკრაინელი“.

კიდევ ერთი მიზანია უკრაინის რასკოლნიკურ ეკლესიასთან დაახლოება. საქმე ის არის, რომ ამ სტრუქტურას არ შეუძლია საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება კონსტანტინოპოლთან შეუთანხმებლად. „კონტროლი გაძლიერდება, საზღვრები სტრუქტურებს შორის ნელ-ნელა წაიშლება“, — განაცხადა პეტრუშკომ.

ამით ყველა კმაყოფილი არ არის. ერთ-ერთი მიზეზი 2019 წლის განხეთქილებისა უკრაინის არაკონონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომლის შედეგადაც დენისენკომ მის მიერვე ლიკვიდირებული „კიევის საპატრიარქო“ აღორძინა, იყო ნახევრად ავტონომიური სტატუსით უკმაყოფილოება. შედეგად, მან უკრაინისთვის მოითხოვა ახალი, „ნამდვილი ტომოსი“ და თავის მხარეს გადაიყვანა ათობით მღვდელმსახური.

ახლა კი დადგა დრო, დანარჩენებიც გაერკვნენ, ვის მხარეს არიან ისინი — კიევის თუ სტამბოლის.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# პოლონეთში განაცხადეს, რომ ევროკავშირს დაშლის საფრთხე ემუქრება

**„დასავლური ორგანოების ქმედებებს ევროკავშირი დაშლისკენ მიჰყავს“, — განაცხადა პოლონეთის პრემიერმინისტრის კანცელარიის ხელმძღვანელმა მიხალ დვორჩიკმა „პოლონეთის რადიოს“ ეთერში.**

უფრო ადრე უნგრეთმა **განაცხადა,** რომ ვეტოს დაადებს ევროკავშირის 2021-2027 წლების ბიუჯეტს, აგრეთვე, კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული შედეგების დაძლევის ფონდს.

ანალოგიურ განზრახვაზე განაცხადა პოლონეთმაც. უნგრეთის ქმედებამ მხარდაჭერა ჰპოვა **სლოვაკეთშიც.** ეს გამოწვეულია იმით, რომ ევროკავშირის ბიუჯეტში ჩაიდება მექანიზმი, რომელიც დააკავშირებს ევროკავშირიდან ფინანსების გამოყოფას კანონის უზენაესობასთან ცალკეულ ქვეყნებში.

„ჩვენ სიმართლით ვიბრძვით არა მხოლოდ ტრაქტატების დასაცავად, არამედ წესებისა და პარტნიორული ურთიერთობის დასაცავად; ვიბრძვით იმისთვის, რომ ევროკავშირმა მომავალშიც იარსებოს და საფრთხე არ შეექმნას. ისეთი მეთოდით მოქმედება, როგორსაც დღეს გვთავაზობს ჩვენი ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა, ადრე თუ გვიან, ევროკავშირის დაშლას გამოიწვევს“, — განაცხადა დვორჩიკმა.

ევროკავშირი რამდენიმე ათეული წლის წინათ შეიქმნა, როგორც კავშირი ქვეყნებისა, რომელთა დამოუკიდებლობა ერთმანეთის მიმართ უნდა იყოს პარტნიორული და ეს კავშირი მრავალი წლის განმავლობაში უნდა ფუნქციობდეს პატიოსანი წესებით. დღეს კი ზოგიერთი ქვეყანა ამ წესების შეცვლას ცდილობს, არღვევს ტრაქტატებს და ცდილობს, თავს მოგვახვიოს თავისი ნება“, — დასძინა მან.

„დღეს საქმე ეხება პოლონეთსა და უნგრეთს, მაგრამ პერსპექტივაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქმედება, რომელიც დაემუქრება ევროკავშირს“, — თქვა პოლონეთის პრემიერმინისტრის კანცელარიის უფროსმა.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



**«ჩვენ სიმართლით ვიბრძვით არა მხოლოდ ტრაქტატების, არამედ წესებისა და პარტნიორული ურთიერთობის დასაცავად, ვიბრძვით იმისთვის, რომ ევროკავშირმა მომავალშიც იარსებოს და საფრთხე არ შეექმნას. ისეთი მეთოდით მოქმედება, როგორსაც დღეს გვთავაზობს ჩვენი ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა, ადრე თუ გვიან, ევროკავშირის დაშლას გამოიწვევს»**

ჩვენებურები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აკადემიკოსი ბ.ი. გამოჩენილი სელექციონერია, რომელმაც კოლეგებთან ერთად შექმნა საშემოდგომო ხორბლის 15 ჯიში, არის რუსეთის სელექციონერთა კავშირის პრეზიდენტი, 180 ნაშრომის, მათ შორის, სამი მონოგრაფიის ავტორი. ლაურეატის შრომები (30 გამოქვეყნებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) ფართოდ არის ცნობილი, როგორც რუსეთის, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო და აგრონომიულ საზოგადოებაში. 14 ჯიშზე მიღებული აქვს საავტორო მოწმობები და პატენტები...“ ხაზგასმით დადასტურებულია, რომ ამ ჯიშების წყალობით, „რუსეთის არაშავმიწა ნიადაგიანი ზონის ცენტრალური რეგიონი სასურსათო ხორბლის წარმოების ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა“.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.
*იოსებ დავითაშვილი*

# ოქროსფერი ხორბალი, რომელიც შექმნა სელექციონერმა ბაგრატ სანდუხაძემ

**რუსულენოვან საინფორმაციო საიტზე (pravda.ru) გამოქვეყნებულმა ამ ნარკვევმა ვინძლო დააინტერესოს ჩვენი გაზეთის მკითხველი. ამიტომაც გთავაზობთ.**

სელექციონერი, როგორც ჩანს, დედამიწის ზურგზე ყველაზე „მდგრადი“ პროფესიაა. იცვლებიან მეფეები, პრეზიდენტები, გუბერნატორები, გენერალური და რიგითი მდივნები და სხვა უფროსები, სელექციონერები კი ნებისმიერ ხელისუფლებას უეჭველად სჭირდება, ისევე, როგორც პური ჩვენი არსობისა, რომელიც არასოდეს არ არის სამყოფი... თუმცა მხოლოდ იმ წუთამდე, სანამ არ მოგვევლინა დიდი სელექციონერი, რომელსაც ხელეწიფება არა მარტო თავისი ხალხის გამოკვება, არამედ უცხოელებისაც.

დღეს ჩვენ გვყავს ასეთი სელექციონერი: **აკადემიკოსი ბაგრატ ისმენის ძე სანდუხაძე!** იგი იყო პირველი მეცნიერი-სელექციონერი, რომელსაც აკადემიკოსმა კოლეგებმა დემიდოვის პრემია მიანიჭეს იმ მიღწევებისთვის, რომელთა მსგავსი არც ჩვენში, არც მსოფლიოში არავის მოუპოვებია.

ბაგრატ სანდუხაძე საშემოდგომო ხორბლის მეცნიერ-სელექციონერია, კერძოდ, არაშავმიწა ნიადაგიანი ზონისთვის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სათავეში უდგას მოსკოვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „ნემჩინოვკის“ მეურნეობის საშემოდგომო ხორბლის სელექციისა და პირველადი მეთესლეობის ლაბორატორიას.

პრემიის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტში ნათქვამი იყო:

„აკადემიკოსი ბ.ი. გამოჩენილი სელექციონერია, რომელმაც კოლეგებთან ერთად შექმნა საშემოდგომო ხორბლის 15 ჯიში, არის რუსეთის სელექციონერთა კავშირის პრეზიდენტი, 180 ნაშრომის, მათ შორის, სამი მონოგრაფიის ავტორი. ლაურეატის შრომები (30 გამოქვეყნებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) ფართოდ არის ცნობილი, როგორც რუსეთის, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო და აგრონომიულ საზოგადოებაში. 14 ჯიშზე მიღებული აქვს საავტორო მოწმობები და პატენტები...“ ხაზგასმით დადასტურებულია, რომ ამ ჯიშების წყალობით, „რუსეთის არაშავმიწა ნიადაგიანი ზონის ცენტრალური რეგიონი სასურსათო ხორბლის წარმოების ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა“.

ჩვენი საუბარი „უბრალო“ შეკითხვით დაიწყო:

**— შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ დღეს სელექციაში „შეუძლებელიც კი შესაძლებელია?“ რომ პირადად თქვენ ეს შეძელით?**

ბაგრატ ისმენის ძეს ეღიმება:

— ნუ აჭარბებთო, — თქვა, — მაგრამ ვერ უარვყოფ, რომ ხორბლის წარმოებაში გარკვეული მწვერვალების დაპყრობა შევძელი.

**— რას გულისხმობთ?**

— საშემოდგომო ხორბლის ბარაქიანი მოსავლის მიღება იქ, სადაც ეს შეუძლებელი იყო, განა მიღწევა არ არის?

**— არის, რა თქმა უნდა. გუშინ წავიკითხე ინფორმაცია, თუ რა ღირს ხორბალი მსოფლიო ბაზარზე. შთამბეჭდავი ციფრებია, თანაც წლიდან წლამდე ძვირდება.**

**მხოლოდ ფაქტები: „მსოფლიო ბაზარზე რუსეთის ხორბლის ფასი განუხრელად იზრდება. იგია ჩვენი გადამრჩენი, რომელიც დაგვეხმარება, გავუძლოთ ნავთობის გაიაფებას. მიმდინარე აგრარულ სეზონში, რომელიც პირველ ივლისს დაიწყო, 12,5-პროცენტიანი პროტეინის მქონე რუსული ხორბალი 8 პროცენტით გაძვირდა. ამჟამად მისი საექსპორტო ღირებულება ერთ ტონაზე 220 დოლარს აჭარბებს. ამ ფონზე ჩვენი კომერსანტები არა მხოლოდ ახერხებენ, ძვირად გაყიდონ ხორბალი, არამედ წაართვან გასაღების ბაზრის ნაწილი იმავე უკრაინას და ჯერჯერობით კარგად გამოგვდის...“**

**— მაშ — ახალი ჯიშების სელექცია! ამბობენ, რომ თქვენ აღმოაჩინეთ მათი მიღების ახალი, ჭეშმარიტად ჯადოსნური მეთოდი?**

— წყვეტადი ბეკროსების ახალი მეთოდი, რომელიც ჩვენ ახალი ჯიშების მისაღებად გამოვიყენეთ.

**— ჩვენ?**

— დიახ. მე და იმ ლაბორატორიის თანამშრომლებმა, რომელსაც ვხელმძღვანელობ.

**— დიდხანს მოუნდით?**

— ორმოცი წელიწადი დაგვჭირდა — ვადა, რომელიც სელექციურ მუშაობაში აუცილებელია. ჯიშის შექმნა ხანგრძლივი და საკირკიტო სამუშაოა, რომელიც მოითხოვს არა მარტო მოთმინებას, ყურადღებას, გენეტიკის ღრმა ცოდნას, არამედ შთაგონებასაც. მეცნიერებისა და ხელოვნების ნაზავია. ჩვეულებრივ მათ აპირისპირებენ; ჩვენ, სელექციონერები, კი ვაერთიანებთ. მეცნიერება ხელოვნებით გრძელდება ან პირიქით — ყველაფერი სელექციონერზეა დამოკიდებული.

**— ამას დამტკიცება სჭირდება.**

— სიამოვნებით. რით დავიწყოთ?

**— მეცნიერებით.**

— მაშასადამე, ბეკროსებით. ყველაზე მარტივად ასე აიხსნება. შთამომავლობას ვიღებთ ჰიბრიდიდან და მისი ერთ-ერთი „მშობლისგან“ — ინგლისურიდან პირდაპირი თარგმანია „უკან“ და „შეჯვარება“. ხდება გენოტიპის „გაჯერება“. მოკლედ რომ ვთქვათ, მცენარის საუკეთესო თვისებებს „მშობლებს“ ვერ წავართმევთ, მაგრამ, თუ ამის გაკეთებას მრავალგზის შევეცდებით, შეიძლება წარმატებასაც მივაღწიოთ.



ბაგრატ სანდუხაძე

**ბაგრატ სანდუხაძე საშემოდგომო ხორბლის მეცნიერ-სელექციონერია, კერძოდ, არაშავმიწა ნიადაგიანი ზონისთვის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სათავეში უდგას მოსკოვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის «ნემჩინოვკის» მეურნეობის საშემოდგომო ხორბლის სელექციისა და პირველადი მეთესლეობის ლაბორატორიას**

თავი არ უნდა მოვიტყუოთ — უმეტესად წარუმატებლობა გველოდებათ. დაჟინებით უნდა იშრომოთ სასურველის მისაღწევად. იმთავითვე დავიწყეთ ამ პროცესების ხანგრძლივი თეორიული კვლევა, მხოლოდ შემდეგ შევუდექით გენების ახალი კომბინაციებით გაჯერებული ხორბლის პერსპექტიული ხაზების შექმნას...

— რისი მიღწევა გსურდათ?

— იმხანად საუკეთესო ჯიშად ითვლებოდა „მირონოვსკაია-808“, რომელიც იყო ძალიან „მაღალი“, უჭირდა ცივი ზამთრის გადატანა. გვინდოდა, რომ მოსავლიანობაც მეტი ყოფილიყო. ამას კი ნათესის „შემჭიდროება“ სჭირდებოდა.

გამოჩენილი ჩვენი სელექციონერი **რემესლო** კარგ მოსავალს იღებდა და მისი მიღწევის გაუმჯობესება შეუძლებლად იყო მიჩნეული, მაგრამ ჩვენ შევძელით ხორბლის „დადაბლება“, მისი ყინვაგამძლეობის უზრუნველყოფა და მოსავლიანობის 10 პროცენტზე მეტით ამაღლება. ეს იყო პირველი მიღწევა. გაჩნდა ახალი ჯიშები: „ინა“, „ფედინის ხსოვნა“, „მოსკოვსკაია-39, -70“, „ნემჩინოვსკაია-52“. ეს ჯიშები საერთაშორისო ჯიშთაგამოცდებზე საუკეთესოდ აღიარეს. შევძელით არა მარტო მოსავლიანობის ამაღლება, არამედ ხორბლის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

— ქვეყნის სამხრეთი ჩრდილოეთისკენ „გადასწიეთ?“

— დიახ, მაგრამ მხოლოდ ექსპერიმენტებისთვის განკუთვნილ ნაკვეთებზე.

**— მე ვიხილე, როგორ შეუდგა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე სერგეევი მოსავლის აღებას თქვენს პურის ყანაში — ცხოვრებაში პირველად მართავდა კომბაინს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ცუდად არ უმუშავია.**

— დიახ, ალექსანდრე მიხეილის ძე ჩამოვიდა „ნემჩინოვკაში“. დარწმუნდა, რომ ჩვენთან მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა სამუშაოები. კმაყოფილი დარჩა. სახსოვრად კი წლევანდელი მოსავლის ხორბლით სავსე ტომსიკა მივართვით. ნარჩევი ხორბალი იყო, ლამაზი...

**— ახლა კი დროა, ჩვენი საუბრის მეორე ნაწილზე გადავიდეთ — ხელოვნებაზე. ნუთუ სელექციონერი ხელოვანს ემსგავსება?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. იგი შემოქმედია, რადგან ქმნის იმას, რაც მანამდე არ არსებობდა. განა მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები იმავეს არ აკეთებენ?! თავისი არსით სელექცია იგივეა, რაც ბავშვის დაბადება და გაზრდა. ჩვენ კარგად ვიცნობთ „დედისა“ და „მამის“ ხასიათის თავისებურებებს, მაგრამ როგორები იქნებიან მათი შვილები, წინასწარ თქმა შეუძლებელია. მე მყავდა ტყუპისცალი ძმა. იგი გატაცებული იყო ზუსტი მეცნიერებებით — მათემატიკით, ფიზიკით. მე უპირატესობას ვანიჭებდი ლიტერატურას, პოეზიას, ბიოლოგიას. ვიმეორებ: ტყუპები ვიყავით... იგივე ხდება მცენარეთა სამყაროში. ჩვენ გამოგვყავს ემბრიონი, შემდეგ იბადება მცენარე, რომელსაც ვზრდით ჯერ ერთი წლის ბავშვამდე, შემდეგ — 20 წლის ყმაწვილკაცობამდე. როცა დამოუკიდებელი გახდება, ვაცხადებთ, რომ იშვა ახალი ჯიში... ყოველ შემოდგომაზე, სანამ თოვლს ჩამოყრის აუცილებლად ჩავდივარ ჩემს ყანებში და ვეუბნები ჩემს ნათესებს: „ნახვამდის, ბიჭებო, თქვენი იმედი მაქვს. აპრილში შევხვდებით...“

**— „ბიჭები“ გიპასუხებენ?**

— გაზაფხულზე იწყებენ აბიბინებას...

**— თქვენი მთავარი მასწავლებელი ვინ არის?**

— „ნემჩინოვკა“. რუსეთის ამ დიად სამეცნიერო ცენტრში მუშაობდნენ შესანიშნავი მეცნიერები. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი სელექციას, რომლის ნაყოფითაც დღეს ვსარგებლობთ. სიცოცხლის ბოლოს, რომელიც მხოლოდ გაელვებაა, ადამიანი თავის თავს ეკითხება: „რისი გაკეთება შეძელი?“

მე ბედი მწყალობდა.

ვამაყობ იმით, რომ მოსკოვის გარშემო ძალიან მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში იწევენ უმაღლესი ხარისხის სასურსათო ხორბალს. მოსავლის მიღების პირობები აქ კარგი არ არის: ტემპერატურა დაბალია, ხშირი წვიმები იცის, ჭირვეული ამინდებია. ჩვენ კი ეკოლოგიურად უსუფთავესი სურსათი მოგვყავს. სამხრეთში მცენარეები რომ არ დაავადდეს, ყანებს პესტიციტებით სამ-ოთხჯერ ამუშავებენ. აქ, ჩვენთან, ამის გაკეთება არ გვჭირდება. გასაგებია, რომ ვამაყობ ამით.

**— რამდენი ჯიში გაქვთ?**

— 15-16 უკვე დარაიონებულია. შარშან სახელმწიფო ჯიშთა გამოცდაზე ორი გავაგზავნეთ. გაისად — დამატებით სამს გავაგზავნით. შესანიშნავი ჯიშებია, მოსავლიანობა ჰექტარზე 148 ცენტნერამდეა! ამ მიმართულებებს განვითარება სჭირდება.

ვფიქრობ, რომ რუსეთის პრესტიჟისთვის მხოლოდ ატომური ბომბები საკმარისი არ არის. ხორბლის უმაღლესი მოსავლიანობაც აუცილებელია. და მაშინ ყველა, ვინც დღეს სანქციებს გვიწესებს, ხორბლის მისაღებად რიგში ჩადგება.

**— ხომ არ აჭარბებთ?**

— არამც და არამც! მაგალითად, კანადელი ფერმერები დღეს კოტრდებიან, რადგან მათი ხორბლის თვითღირებულება ძალიან დიდია, ხარისხი კი — ცუდი.

უწინ სამი-ოთხი სახელმწიფო ყიდულობდა ჩვენგან ხორბალს, ამჟამად — თითქმის ოცდაათი. ფასიც შედარებით იაფია, ხარისხით კი გაცილებით უკეთესია. მოგვყავს ასი მილიონი ტონა, არადა, ამ ოდენობის გაორმაგება შეგვიძლია. ამისთვის მზად ვართ — 10 წლის შემდეგ ორას მილიონ ტონა საუკეთესო ხორბალს მოვიწევთ.

**— ამისთვის რისი გაკეთებაა საჭირო?**

— დღეისათვის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 25 ცენტნერია.

მაშასადამე, ორჯერ უნდა გავზარდოთ მოსავლიანობა, რაც სავსებით რეალურია. ჩვენს თვალუწვდენელ ხოდაბუნებში სადღაც მოუსავლიანობა იქნება, მაგრამ ამ სიმწირეს სხვა რაიონებში უხვმოსავლიანობით გადავფარავთ.

ასე რომ, პერსპექტივა შესანიშნავია და, თუ მეცნიერებს მუშაობის კარგ პირობებს შევუქმნით, უახლესი ტექნოლოგიებიც გამოჩნდება. რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილება ამას გვიდასტურებს.

**ვლადიმერ გუბარევი**

**სახელმწიფო ყოველწლიურად აფინანსებს ყინულის ჰოკეის ფედერაციას, ბიატლონის ფედერაციას, ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციას, ამერიკული ფეხბურთის ფედერაციას... და გვერწმუნეთ, ეს დაფინანსება მეტია, ვიდრე 25 ათასი ლარი. არა, რაც მეტი მოზარდი იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებული, მით უკეთესი, მაგრამ ჩემ ირგვლივ არც ჰოკეისტია ვინმე, არც ბეისბოლს თამაშობს და ბიატლონი ხომ, საერთოდ, ბევრმა არც იცის, რა არის.**

ხელისუფლება და სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა შუაშია საქართველოსთან ამერიკული ფეხბურთი და მისი დაფინანსება?!

## გუნდმა, რომელმაც ყველაზე წარმატებით იასპარეზა, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხიდან 0,009 პროცენტი მიიღო

**2016 წლის 18 თებერვალს ფეხბურთის ფედერაციამ „ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის" პრეზენტაცია მოაწყო. ფედერაციის იმჟამინდელმა და დღესაც მოქმედმა პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა შესავალ სიტყვაში თქვა, რომ ამ დღეს ქართველი გულშემატკივარი მეოთხედი საუკუნე ელოდა და ქართულ ფეხბურთში 2020 წლის ჩათვლით, არც მეტი, არც ნაკლები, 265 მილიონ 700 ათასი ლარი ჩაიდებოდა. ინვესტორი კი იქნებოდა სახელმწიფო, რომელმაც ეს თანხა ქართულ ფეხბურთში დააბანდა. ეს მაშინ გვეჩვენებოდა, რომ დააბანდა, თორემ ამ გადმოსახედიდან, ჰაერში გაისროლა. ახლა რიგითობით მივყვეთ, რატომ და რისთვის ვთვლით სახელმწიფოს მიერ ფეხბურთში მეოთხედ მილიარდზე მეტი თანხის ინვესტირებას ჰაერში გასროლილად.**



ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი"

**გვირაბის ბოლოს სინათლე ქალთა საფეხბურთო კლუბმა «ლანჩხუთმა» აანთო. ქალთა ჩემპიონთა ლიგის 1/16-ფინალში გასული გურულები ისეთ იშტაზე არიან, არ გაგიკვირდეთ, მერვედფინალსაც უწიონ და, სავარაუდო მეტოქეებს თვალი რომ გადაავლოთ, შესაძლოა, სუნთქვა შეგეკრათ — «ლანჩხუთს», შესაძლოა, «ბარსელონა», «ბენფიკა» ან ლიგის შარშანდელი გამარჯვებული «ლიონი» შეხვდეს**

თანხის ძირითადი ნაწილი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კლუბებს მოხმარდა. ფედერაციამ შეიმუშავა საბონუსე სისტემა, რათა ზედა და ქვედა ლიგის კლუბები არ დაჩაგრულიყვნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი არ გამოვიდა.

პირველ რიგში, იმიტომ არ გამოვიდა, რომ ეს თანხა ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებას ისახავდა მიზნად, რომელსაც სტადიონზე გულშემატკივარი უნდა დაებრუნებინა. გულშემატკივარი არ დაბრუნდა და ამას მარტივი მიზეზი აქვს — არავის აინტერესებს, როგორ უყვირის მწვრთნელი მოედნის კიდიდან ფეხბურთელს, **„აგორავე, არ გაჩერდე, მოინდომე..."** და როგორ აგორავებს ბურთს ფეხბურთელი და როგორ ათამაშებს ბურთის ნაცვლად სხვა ადგილს. რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, ჩვენი ჩემპიონატის დონემ აიწია, დაძაბულობამ მოიმატაო, ამ საქმიდან არაფერი გამოდის. საუკეთესო ფორმაში მყოფ **მაიკ ტაისონს** რინგზე რომ შევხვედროდი, ჩემთვის ძალიან დაძაბული შეხვედრა იქნებოდა, წასაგებად განწირული გავიდოდი და შევეცდებოდი, ნაკლები მომხვედროდა. აი, ზუსტად ასე გადიან **ევროსარბიელზე ქართული კლუბები, წასაგებად განწირულები და, რაც მთავარია, ცდილობენ, ისე წააგონ, გულშემატკივარმა ზომიერად აგინოს.** მაგრამ წელს, ანუ პროგრამის ბოლო წელს, მაშინ, როცა ეს 265 მილიონ „ს ჩემტო" სრულად აითვისეს, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, თბილისის „დინამო", ევროთასებიდან ფარერულმა კლუბმა გამოაგდო და თან როგორ — 6:1 დაამარცხა. ეს ფარერული კლუბის კი არა, საზოგადოდ, ამ კუნძულოვანი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებაა ევროთასებზე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **იმ ქვეყანაში ფეხბურთი ნახევრად პროფესიონალური სპორტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს პარალელურად მეორე პროფესიაც აქვთ და „დინამოს" წინააღმდეგ სამმა მეთევზემ, ტაქსის მძღოლმა, ბუღალტერმა, ერთმა პოლიციელმა და ერთმა მტვირთავმა ითამაშეს.** სამი გოლი მეთევზისგან მივიღეთ და გვერწმუნეთ, სწორედ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის კარში შესრულებული ჰეთ-თრიკი იქნება მისი ყველაზე დიდი საფეხბურთო მიღწევა.

ალალად ვთქვათ, ამ ყველაფერზე ქართველმა გულშემატკივარმა მტკივნეულად, მაგრამ მაინც თვალი დახუჭა, რადგან წინ საუკუნის მატჩად შერაცხილი საქართველო-ჩრდილოეთ მაკედონიის შეხვედრა იყო, რომელიც... წავაგეთ და, როგორ გგონიათ, **იმ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, რომელმაც სახელმწიფოსგან 265 მილიონ ლარზე მეტი აითვისა, წაგება ვის დააბრალა?**

„ჩვენ, ფედერაცია, მზად ვართ ევროპის ჩემპიონატისთვის, ფეხბურთელებიც მზად იყვნენ და, როგორც გამოჩნდა, გულშემატკივრები არ აღმოჩნდნენ მზად ამისთვის და ევროპაზე ამიტომ ვერ გავედით", — განაცხადა სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **დავით მუჯირმა. საქართველოს ნაკრების მარცხი თურმე გულშემატკივრის ბრალი ყოფილა, იმ გულშემატკივრის, რომელიც ხელისუფლებამ და იმავე ფედერაციამ ტრიბუნებზე არ შეუშვა იმის მიუხედავად, რომ უეფამ სტადიონის ტევადობის 33%-ის დაშვების ნებართვა გასცა.** აქამდე არსად თქმულა და ჩვენ ვიტყვით: საქართველო-ჩრდილოეთ მაკედონიის დარად, საევროპო პლეი-ოფი კიდევ არაერთმა ქვეყანამ ითამაშა და უეფას 33%-იანი დაშვება ჩვენ გარდა ყველამ გამოიყენა — გულშემატკივარი, როგორც მე-12 მოთამაშე, სტადიონზე დაუშვა.

ჰოდა, ეროვნული ნაკრების თავლაფდასხმის (მხოლოდ მაკედონიასთან მარცხს არ ვგულისხმობთ, მერე სომხეთთან პრინციპული დაპირისპირება დავთმეთ და უსუსტეს ესტონეთს ვერ მოვუგეთ), ევროთასებიდან ხელის ერთი მოსმით გაყრილი ქართული კლუბების (გამონაკლისი — თბილისის „ლოკომოტივმა" მართლა ბოლომდე იომა) ფონზე, **გვირაბის ბოლოს სინათლე ქალთა საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა" აანთო. ქალთა ჩემპიონთა ლიგის 1/16-ფინალში გასული გურულები ისეთ იშტაზე არიან, არ გაგიკვირდეთ, მერვედფინალსაც უწიონ. სავარაუდო მეტოქეებს თვალი რომ გადაავლოთ, შესაძლოა, სუნთქვა შეგეკრათ — „ლანჩხუთს", შესაძლოა, „ბარსელონა", „ბენფიკა" ან ლიგის შარშანდელი გამარჯვებული „ლიონი" შეხვდეს.**

ვინმემ იცოდა ამ კლუბის არსებობის შესახებ საქართველოში? ფართო მასებს ვგულისხმობ, თორემ გოგონების სანათესაოს რომ ეცოდინებოდა, ადვილი მისახვედრია. ვინმემ თქვა, რომ ეს გოგონები ბურთს ნორმალურად აგორებენ, რომ მათ ყურადღების მიქცევა სჭირდებათ და სჭირდებათ თუნდაც იმიტომ, რომ დახეული ბუცებით თამაშობენ თურმე, ოთხი თვის ხელფასი არ აუღიათ (თვეში 300 ლარი) და შედეგს მიაღწიეს. მას შემდეგ კი, რაც ჩვენი გოგონების წარმატება ქალთა ჩემპიონთა ლიგაზე წლის მთავარ სენსაციად შეირაცხა, ხელი ფედერაციამაც გამოილო და „ლანჩხუთს" 45 ათასი ლარი გადაურიცხა, საიდანაც 25 ათასი ლარი საბონუსე ფონდია, 20 ათასი კი — თანხა კლუბის შემდგომი განვითარებისთვის.

ბატონებო, **თუ იცით, რამდენი ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვს მწვრთნელს განაცხადში? — 23-ის და ლანჩხუთელთა თავკაცმა მხოლოდ 16 გოგონა, იცით, რატომ შეიყვანა? ფული არ ჰქონდა, რუმინეთში სხვებიც რომ წაეყვანა, შემდეგ უკან ჩამოეყვანა და საზოგადოდ, იმ სენსაციურ მატჩზეც გუნდი ბანკიდან გამოტანილი კრედიტით წავიდა.** ამ 16 გოგონას (ვთქვათ, რომ მეტი არ ჰყავთ) დაუმატეთ მთავარი მწვრთნელი, ორი თანაშემწე, ექიმი, მასაჟისტი, მენეჯერი და გამოვა, რომ თქვენი საბონუსე თანხიდან, საბოლოო ჯამში, თითოეული ათას ლარსაც ვერ მიიღებს. ათას ლარს იმ სენსაციაში, რომელმაც მთელი ევროპა აალაპარაკა. და, თუ იცით, რომ ეს 25 ათასი ლარი, იმ 265 მილიონ 70 ათასის სულ რაღაც 0,009 პროცენტია? გამოდის, **გუნდმა, რომელმაც ყველაზე წარმატებით იასპარეზა, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხიდან 0,009 პროცენტი მიიღო.**

ეს ისე არ გაიგოთ, კენჭს მხოლოდ სფფ-ის ბოსტანში ვისვრით. **სახელმწიფო ყოველწლიურად აფინანსებს ყინულის ჰოკეის ფედერაციას, ბიატლონის ფედერაციას, ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციას, ამერიკული ფეხბურთის ფედერაციას... და გვერწმუნეთ, ეს დაფინანსება მეტია, ვიდრე 25 ათასი ლარი.** არა, რაც მეტი მოზარდი იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებული, მით უკეთესი, მაგრამ ჩემ ირგვლივ არც ჰოკეისტია ვინმე, არც ბეისბოლს თამაშობს და ბიატლონი ხომ, საერთოდ, ბევრმა არც იცის, რა არის.

ბევრმა არც ის იცის, რომ უეფას პროგრამით საქართველოში ბაზები აშენდა, რომლებშიც ნიჭიერ ბავშვებს აცხოვრებენ, ასწავლიან, ავარჯიშებენ. უეფა ამას პირადად აკონტროლებს და წარმომადგენლებსაც გზავნის საქართველოში, ჩადებული ფულის ხარჯვის სისწორე რომ შეამოწმოს. **თუ დაინტერესდებით, იმ ბავშვების სახელებსა და გვარებსაც გეტყვით, რომლებიც უადგილობის გამო ვერ მოხვდნენ ამ სკოლებში, თუმცა თანატოლებს ათი თავით სჯობდნენ, მაგრამ დეპუტატის ნათესავები არ იყვნენ, არც მამები ჰყავდათ პოლიციის მაღალჩინოსნები.**

ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დავიწყოთ განვითარებაო, — ბოლო ხმაზე რომ გაჰკივის ყველა, ბავშვს თუ თავიდანვე გული აუცრუე, იმედი წაართვი, მერე განვითარება ზღაპარია, იმ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგრადობაც და, საერთოდ, ყველაფერი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ 265 მილიონს არავინ მოიკითხავს და, თუ მოიკითხავს, ისე ლამაზად ჩააწიკწიკებენ ხარჯებს, თქვენი მოწონებული. მართლა არ დავინტერესდებოდით, რისთვის და როგორ დაიხარჯა თანხები, ელემენტარულ შედეგს რომ ვხედავდეთ. შედეგი არ არის არც სანაკრებო და არც საკლუბო დონეზე, მაგრამ, როცა შედეგი გოგონებმა აჩვენეს, მათთვის სასცილო თანხა გაიმეტეს. თანაც გოგონები, უმაღლესი კლასის პირობებს კი არა, ცხელ წყალს, ახალ ბუცებსა და ხელფასების დროულად გაცემას ითხოვენ.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. დავით მუჯირმა ქართველი ფეხბურთელების წარუმატებლობაში გულშემატკივარი დაადანაშაულა და გულშემატკივრის ბრალი, იცით, რა არის? ეს გოგონები რუმინეთიდან რომ დაბრუნდნენ, აეროპორტში ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები დახვდნენ, ძირითადად, ნათესავები. სოციალურ ქსელში მათ მიღწევას ათასობით კომენტარი და გაზიარება რომ აქვს, ხომ შეიძლებოდა, ამ გამზიარებლების 10% მაინც მისულიყო აეროპორტში, თუმცა... წინასწარ ესეც არ გვითხრეს, არ გააშუქეს. სამაგიეროდ, მაიკ პომპეოს ჩამოსვლა ტრაპიდან ტრაპამდე გვიჩვენეს... პომპეო რა შუაშია? აბა, ამერიკული ფეხბურთი და მისი დაფინანსება საქართველოსთან რა შუაშია?!**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენშიო“, — აღნიშნავდა ერის მამა. დღეს კი ეს „ოთხი კედელი“ „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები“ და დასავლელი „მეგობრები“ არიან, რადგან, რაც და რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, გადაწყვეტილებას ჩვენ ნაცვლად მაინც ისინი მიიღებენ და გვაიძულებენ, შევასრულოთ —„ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.**

# «შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა» ნამდვილად აკლია მათ, ვინც რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ძაგებით ენას იფხანს

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

რუსეთთან ურთიერთობის დალაგება დღეს პოლემიკის საგანია. ვინც ჩრდილოელ მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ემხრობა — რუსოფილი და ერის მოღალატეა; ვისაც რუსეთი მოსისხლე მტრად მიაჩნია — მამულიშვილი და ერის გულშემატკივარი. ამ შემთხვევაში ილიას დავესესხები და მის სიტყვებს გავიმეორებ: „ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი — ქარიანი მქვიან და დავდგები — ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა... ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი, შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ასეთი, რომ მაგ საქმეზედ არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჰამლეტი თავისთავსა ჰკითხავდა: ყოფნა თუ არ-ყოფნაო“....

ილიას დამოკიდებულება რუსეთისადმი, მისი შეხედულებები რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების, მათ შორის ქართველების, ცხოვრების პრობლემებზე მის არაერთ პუბლიცისტურ წერილშია გამოხატული. ამ წერილებში საყურადღებო არა მხოლოდ ის არის, რომ ერის მამა პირუთვნელია, არამედ ისიც, რომ დიდი მამულიშვილი არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებს ყველა თავის მოსაზრებას და არავითარ შემთხვევაში ლანძღვა-გინებითა და შეურაცხყოფით არ ცდილობს საკუთარი ემოციების გამოხატვას. ასეთ საქმეში აუცილებელია „შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისაო“, რომელიც ნამდვილად აკლია მათ, ვინც დღეს რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ძაგებით მხოლოდ ენას იფხანს. ფხანაზე კი მოგეხსენებათ ილიას აზრი — ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ თავსა და ფხანაც საჭირო აღარ იქნებაო.

ახლაც და უწინაც რუსულ-ქართულ ურთიერთობებს ყველაზე მეტად ავნეს „თავის ქეიფზედ მოარულმა მოხელეებმა“, რადგან „ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატებაო“. ილია დარწმუნებული იყო, რომ ის დროც დადგებოდა, როცა ეს უმეცარი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახავდნენ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცალკეული ერების ინტერესების გათვალისწინება; დაინახავდნენ და მიხვდებოდნენ, რომ „სახელმწიფო ერთობას არ უშლის არც რჯულის და არც ერის სხვადასხვაობა“. თუმცა იმხანად მცირე ერების ინტერესების დამცველად „რუსეთის დაწინაურებული საზოგადოებაც“ გამოდიოდა, რომელიც, როგორც ილია ამბობს, „თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ“.

„ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენშიო“, — აღნიშნავდა ერის მამა. დღეს კი ეს „ოთხი კედელი“ „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები“ და დასავლელი „მეგობრები“ არიან, რადგან, რაც და რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, გადაწყვეტილებას ჩვენ ნაცვლად მაინც ისინი მიიღებენ და გვაიძულებენ, შევასრულოთ — „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“. სწორედ ამის გამოა, რომ ვერა და ვერ „გავრისკეთ“ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა და სიძლიერე.

მოვუსმინოთ დიდ ილიას:



## «საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო, იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან, — რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ — რატომ არას ამბობო»

რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც **ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან.**

დიდი ხანია, მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ **დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა, დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა.** ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. **თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი.**

**რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი. მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედააზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ფიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა, — ამ უდიდესს საგანს ისე ექცეოდა, როგორც მისი ქეიფი იყო. ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომქმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია.** ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქეიფზედ მოარულთ მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ **რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება.**

რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასავე სწამობდნენ. იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ **ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის.** მოვა დრო, და გვგონია — დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისას დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს. რომ ეს აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა. პირველი მესვეური ამ საქმეში იყო და არის რუსული, ყველაზედ უფრო ჭკუადამჯდარი ჟურნალი „Вестник Европы“, რომელმაც ეროვნობის დევნის წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო. სხვათა წერილთა შორის დავასახელებთ ერთს საბუთიანს წერილს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „Восточная политика и обрусение“. თუმცა ამ წერილში არ არის განსაზღვრული ეროვნობის და სახელმწიფოს სამოქმედო მოედანი, თუმცა არ არის ნაჩვენები — სად უნდა დაიდვას ამ ორთა შუა მიჯნა, მაგრამ აღიარებულია, რომ **ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს.** მას შემდეგ რუსულს ლიტერატურაში კანტი-კუნტადღა ისმოდა ხმა იმავე საგანზედ, მაგრამ ერთხელ ასე თუ ისე გაღვიძებული მართალი აზრი უნაყოფოდ არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს. ამ აზრმა იარა, იარა და ამჟამად იმოდენად მომწიფდა, რომ თითქმის ყველა დაწინაურებულმა ჟურნალ-გაზეთობამ რუსეთისამ ამ აზრს მიაქცია თავისი განათლებული ყურადღება. „Молва“, „Порядок“, „Голос“, „Вестник Европы“, „Слово“ და თითონ ყველაფერში უკან-ჩამორჩომილი „Петербургские Ведомости“-ც კი ამ საგანზედ ბჭობენ და ლაპარაკობენ, და მათ შორის ერთიც არ არის, რომ არ ჰქადაგობდეს ეროვნობის უფლების აღდგენასა სახელმწიფოში, როგორც ენის შესახებ, ისეც შესახებ შინაურის საქმეების გამგეობისა. არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, საზოგადოებაში ისმის ეგევე ხმა და ვრცელდება ეგევე აზრი რუსეთის უკეთესთა წარმომადგენელთა მეოხებით. ბ-ნ სპასოვიჩის სიტყვას, თქმულს ამ საგანზედ იურიდიულ საზოგადოებაში 2-ს თებერვალს, ასეთი ზემოქმედება მოუხდენია მსმენელებზედ, რომ ტაშის-კვრას ბოლო არა ჰქონია ცხადი ნიშანია, რომ თითონ რუსეთის საზოგადოებასაც შეუთვისებია ეს მოხელეებისაგან დევნული აზრი. სპასოვიჩს უთქვამს, რომ **საჭიროა, სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნობა, როგორც თვით სარწმუნოებაცა პირადი გრძნობააო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია, ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო.**

„თქვენი ხელმწიფება, — უთქვამს სპასოვიჩს, — დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯნიაო“.

რუსეთის ლიტერატურის და საზოგადოების უკეთესნი წევრნი აღტაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიტყვას, რომელიც ჩვენ ესე მოკლედ მოვიყვანეთ. ამ სახით, **ეროვნობის საქმე რუსეთში ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ.** თუმცა ჯერ მარტო ენის თაობაზედ არის ლაპარაკი და სხვა მხარეს ეროვნობის საქმისას ბეჯითად არ წასჭიდებიან, მაგრამ ენის შესახებაც ვხედავთ, რომ რუსეთის აზრმა ეროვნობის საქმეში ერთის ბიჯით კიდევ წინ წადგა ფეხი. წინათ ენის უფლების აღდგენას მარტო სკოლის საქმეში თხოულობდნენ, და ეხლა ეგ აზრი იმოდენად განვითარდა და გაივსო, რომ ერის შინაურ საქმეთა წარმოებასა და გამგეობაშიაც ითხოვენ. **აქ საკვირველი ის კი არ არის, რომ ეროვნობის საქმემ ეგრე სამართლიანად ფეხი მოიკიდა და მომხრეობა მისი გავრცელდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებაში. ეს დღესა თუ ხვალ განათლებას უსათუოდ უნდა მოეხდინა. ამისათვის მარტო ხანი და დრო იყო საჭირო, რომ ჭკუაგონება გაზრდილიყო, ასაკში შესულიყო. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ იგი წრე რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც სწავლა-განათლების მიმდინარეობაში განათლების ლამპარი და წინამძღვარობა ხელთ უპყრია, სწორედ ის წრე ყველაზედ მეტად და ხანგრძლივ ეურჩებოდა და დღესაც ეურჩება მას, რაც განათლებას ეგრე აუცილებლად დღესა თუ ხვალ უნდა ზედ მოჰყოლოდა.** ეს ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არსად არ აღმოჩენილა, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირებულ ადგილებში, საცა ენის თაობაზედ სკოლის საქმეში წაჯ-ექ-უკუჯექის თამაშობა გამართეს სწავლა-განათლების მოხელეებმა. დიდხანს ითამაშებენ კიდევ ამისთანა სასაცილოს თამაშს თუ არა, ეგ ჯერ ღმერთმა იცის. აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ.

„...სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი. მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედააზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ფიქრად თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა, — ამ უდიდესს საგანს ისე ექცეოდა, როგორც მისი ქეიფი იყო. ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომქმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია“.

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95










## «შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა» ნამდვილად აკლია მათ, ვინც რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ძაგებით მხოლოდ ენას იფხანს. ფხანაზე კი მოგეხსენებათ ილიას აზრი — ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ თავსა და ფხანაც საჭირო აღარ იქნებაო»

ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო. რათა ვსთქვი!.. პირველი, იმიტომ — რომ ენა ცოტად მექავებოდა; მეორე იმიტომ — რომ... მეორეს-კი, უკაცრავად, ვერ მოგახსენებთ, და იცით რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ **ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში.** ამას კი ვიტყვით, — ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა. **საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო, იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან, — რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ — რატომ არას ამბობო.**

**აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი — ქარიანი მქვიან და დავდგები — ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა. ნუთუ იმაზედაც ბოდიშის მოხდას მომთხოვთ, რომ „შინაურ მიმოხილვას“ დაგპირდით და ლაპარაკი კი გარეულზედ გაგიბით. მაგრამ, თუ ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი, შინაურ საქმედ არ მიაჩნია მკითხველს, მაშინ, მგონია, ბოდიში თითონ მკითხველმა უნდა მოიხადოს ჩვენის ქვეყნის წინაშე და წინათვე გულდადებით დაჯერებული იყოს, რომ თავს ვერას-გზით ვერ იპატიებს. შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ასეთი, რომ მაგ საქმეზედ არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჰამლეტი თავისთავსა ჰკითხავდა: ყოფნა თუ არ-ყოფნაო.**

თუმცა შორი-შორს სიტყვა კია, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ. ბატონმა იანოვსკიმ, რომელიც სწავლა-განათლების წინამძღვარია ჩვენს ქვეყანაში, ხომ მოგეხსენებათ, თავისი დედააზრი გამოაცხადა საერო სკოლების შესახებ და აღძრა სწავლების ენის თაობაზედ ბაასი, თუმცა კი აქ საბაასო არა იყო-რა. მეცნიერებას ეგ საქმე დიდი ხანია გაურჩევია და თავისი უტყუარი განაჩენი დაუდგენია. ეხლა ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი პატარა დაბეჭდილი წერილი. ღირს-საცნობი წერილია, ჯერ იმითი, რომ დამტკიცებულია, და მეორე იმითი, რომ დღეის ამას იქით საერო სკოლის საქმემ იმ გზაზედ უნდა იაროს, რაც იმ წერილშია ნაჩვენები და აღნიშნული.

ბატონი იანოვსკი ამ წერილში ბრძანებს, რომ გამოცდილებამ დაგვანახვაო, რომ ბავშები სამსა და ოთხს წელიწადში ძლივს სწავლობენ კითხვას, წერას, ოთხს პირველს მოქმედებას არითმეტიკისას, მეკლე კატეხიზმოს და საღვთო წერილსა, ამიტომაც ჩვენში რუსულის ენის სწავლებას სადღა მოასწრებენო, იტყვით თქვენ. რა ვუყოთ, რომ იტყვით? თქმა ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, თქმულში ლოღიკაც იყოს, და ამაზედ ვინა ბრძანდება უკაცრავად, თქვენა თუ ჩვენა, არ ვიცით. ეს კი ვიცით, ჩვენს საეროს სკოლას, გარდა იმისა — რაც მისი პირდაპირი საქმეა, ერთი ტვირთი კიდევ მოუმატეს. განა არ იცით, რომ ვინც ერთს ფუთს ძლივსა ჰზიდავს, იმას მეორე ფუთიც რომ ზედ დაადოთ, უფრო სუბუქად ივლის. ზემოთქმულს წერილში ერთი ყურადღების ღირსი აზრიც არის გაყვანილი ბ-ნ იანოვსკის სახელითა, სახელდობრ ისა, რომ საეროს სკოლის მესამე განყოფილებაში **სწავლება უფრო უმეტესად რუსულს ენაზედ უნდა მიდიოდესო.** ეს უბრძანებია ბ-ნს იანოვსკის 12 დეკემბერს; „попечительский совет“-ს, რასაკვირველია, მიულია და 22-ს დეკემბერს თითონ ბ-ნს იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა.

იგივე ბ-ნი იანოვსკი 28 დეკემბერს გაზეთს „Кавказ“-ში, №348, ამბობს: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს **უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო“.** ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ არა სცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედა-ენაზედაც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო, და საგნები და სტატიები — შესწავლული დედა-ენაზედო — რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედამ ის გამოდის, რომ 12 და 22-ს დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც, რუსულ ენას დარჩენია და 28-ს დეკემბერს კი — დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია, 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და უკვე ქმნულიცა; და 28-ს დეკემბრისა კი — მარტო თქმულია და „Кавказ“-ის №348-ში დარჩება სახსოვრად იმისა, რომ **ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე...**

**ასე, ჩემო მანასეო,**
**ხან ისე და ხან ასეო.**

**შინაური მიმოხილვა**
**1881 წელი, მარტი**

## «ახლაც და უწინაც რუსულ-ქართულ ურთიერთობებს ყველაზე მეტად ავნეს «თავის ქეიფზედ მოარულმა მოხელეებმა», რადგან «ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატებაო»

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# ᲢᲠᲐᲜᲡᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲨᲔᲠᲘᲤᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲔᲜᲭᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ






**არია დიმეცო ნიუ-ჰემპშირის შტატის ჩეშირის ოლქის შერიფობაზე აცხადებს პრეტენზიას. საკუთარ თავს ანარქისტ-სატანისტად აცხადებს და სერიოზულად გაუსწრო კონკურენტებს კონსერვატიული რესპუბლიკური პარტიიდან. მისი ლოზუნგია — Fuck Te Police.**

„შერიფობა მსურს იმიტომ, რომ ვიბრძოლო სისტემის წინააღმდეგ. სწორედ შერიფს შეუძლია შეეწინააღმდეგოს მას ჩეშირის ოლქში. სისტემამ ყველა თქვენგანი მოატყუა, რადგან ნება დამრთო მე, ტრანსსექსუალ-სატანისტ-ანარქისტს, თანამდებობაზე განმეცხადებინა პრეტენზია. მე ასეთი სისტემის წინააღმდეგ გამოვდივარ“, — აცხადებს დიმეცო.

არიას წინასაარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს ნარკოტიკების, პროსტიტუციისა და უკანონო მიგრაციიის სრულ ლეგალიზაციას. დიმეცომ თავისი ოპონენტები პირველივე შერჩევის ეტაპზე დაამარცხა, დააგროვა 4 ათასი ხმა. უახლოესმა კონკურენტმა 200 ხმაც ვერ მიიღო.

ახლახან არია ტრიუმფით გამოვიდა სამედიცინო ნიღბების წინააღმდგ გამართულ მარშში.

ფინალურ ტურში იგი დაუპირისპირდება ამჟამინდელ შერიფს, დემოკრატ **ილაი რივერას.**

არიას მიაჩნია, რომ წარმატებას აშშ-ის საარჩევნო სისტემის კრიზისის გამო მიაღწია. **ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ: „ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, — ᲬᲔᲠᲡ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲚᲝᲒᲨᲘ, — Ო, ᲚᲘᲣᲪᲘᲤᲔᲠ! ᲛᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ ᲐᲓᲐᲞᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲒᲐᲥᲠᲘᲗ!“**

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲙᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ VOGUE-Ს ᲧᲓᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐᲛ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲐᲨᲤᲝᲗᲐ






**ამერიკულმა პოპულარულმა ჟურნალმა Vogue-მა თავის ისტორიაში პირველად გარეკანზე გამოაქვეყნა კაბაში გამოწყობილი მამაკაცის ფოტო და მკითხველის რისხვა დაიმსახურა.**

ეს კაცი ბრიტანელი შემსრულებელი და მსახიობი **ჰარი სტაილსი** იყო. მას სტილისტებმა ლურჯი ფერის ფაშფაშა კაბა და შავი პიჯაკი შეურჩიეს, რომელიც იტალიური მოდელების სახლ Gucci-ის დიზაინერებმა შეკერეს.

ჟურნალის მკითხველებმა, რომლებიც კონსერვატიულ (ტრადიციულ) შეხედულებებს იზიარებენ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ Twitter-ში გამოაქვეყნეს. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი კომენტატორი და იურისტი **ბენ შაპირო** და პოლიტიკური აქტივისტი ქალი **კენდის ოუენსი.**

„არ არსებობს საზოგადოება, რომელსაც ძლიერი მამაკაცების გარეშე შეუძლია გადარჩენა. აღმოსავლეთმა იცის ეს. დასავლეთში კი მამაკაცების ფემინიზაცია მიმდინარეობს“, — განაცხადა ოუენსმა.

შაპირომ მხარი დაუჭირა კოლეგას და საზოგადოებას მოუწოდა: „დაგვიბრუნეთ ვაჟკაცური კაცები! მათ, ვისაც ეჭვი არ ეპარება ფაშფაშა კაბებში გამოწყობილი მამაკაცების ვაჟკაცობაში, თქვენ აბსოლუტური იდიოტები ჰგონიხართ“, — დასძინა იურისტმა.

ჰარი სტაილმა ქალის კაბა პირველად როდი მოირგო. ცოტა ხნის წინათ ჟურნალ Guardian weekend -ში იაპონური მარკის — Commes Des Garcons-ის შავ კაბაში გამოწყობილი გამოგვეპრანჭა. 2019 წლის დეკემბერში მანიკიურს გაუწია პროპაგანდა.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲑᲝᲘᲡᲙᲐᲣᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲗᲘᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲡᲔᲥᲡᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔᲡ



**გამოცემა Axios-ი იუწყება, რომ გამოძიებისთვის 90 ათასამდე ასეთი შემთხვევაა ცნობილი. ამასთანავე, ყველა დანაშაული, რომელთა შესახებაც დაზარალებულები ჩივიან, ჯერ კიდევ არ არის აღრიცხული. იურისტების შეფასებით, ამერიკელი ბოისკაუტების (BSA) მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 100 ათასს აღწევს.**

„ბევრ დაზარალებულზე იძალადეს იმ ადამიანებმა, რომელთა ვინაობა BSA-ს არასოდეს გაუმხელია. ეს კი ადასტურებს, რომ პრობლემა სკაუტების ორგანიზაციის ქსოვილში იმთავითვე არის ფესვგადგმული“, — იმოწმებს Axios იურისტ **პოლ მოუნსის** სიტყვებს, იმ ადამიანის განცხადებას, რომელიც წლების განმავლობაში სკაუტებთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავდა. იგი ამტკიცებს, რომ არასრულწლოვანთა გახრწნა, მათი იძულება სხვადასხვა ხასიათის სექსუალური კავშირის დასამყარებლად BSA-სთვის ნორმაა. ეს პრობლემა სკაუტებისთვის უფრო აქტუალურია, ვიდრე კათოლიკური ეკლესიისთვის. საყურადღებოა ისიც, რომ აქამდე კონგრესის არც ერთი წევრი არ დაინტერესებულა ამ ანომალიის შესწავლით.

საქმის დოკუმენტები ადასტურებს, რომ BSA-ს პოლიციისთვის ყველა შემთხვევის შესახებ არ უცნობებია. მიმდინარე წლის თებერვალში, როცა პედოფილური სკანდალი ფართოდ შუქდებოდა პრესაში, ორგანიზაციამ თავი გაკოტრებულად ცნო და გამოაცხადა, რომ იქმნება დაზარალებულთა კომპენსაციის ფონდი.

BSA დაარსდა 1910 წელს. თავის რიგებში აერთიანებდა 10 მილიონზე მეტ სკაუტსა და დაახლოებით 960 ათას მოხალისეს.



# ᲛᲔᲠᲐᲘᲐ ᲙᲔᲠᲘ, ᲠᲝᲪᲐ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲙᲘᲜᲐᲦᲐᲛ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ ᲡᲣᲢᲔᲜᲘᲝᲠᲡ

**სახელგანთქმული ამერიკელი მომღერალი უკიდურესად არაჯანსაღ გარემოში იზრდებოდა და დიდი ხნის განმავლობაში არაფერი უთქვამს თავისი არცთუ ჩვეულებრივი ოჯახის შესახებ.**

მხოლოდ ახლახან, 50 წელს რომ მიაღწია, განაცხადა ამ გამაოგნებელი შემთხვევის შესახებ. ბავშვი იყო, როცა ღვიძლი დის მიზეზით კინაღამ სექსუალურ მონობაში ჩაითრიეს. მისი უფროსი და ელისონი პატარის უბიწობის გაყიდვით შეეცადა ფულის შოვნას.

12 წლის ბავშვი ვალიუმით გააბრუა, გაასინჯა კოკაინი, შემდეგ კი ნაცნობი სუტენიორისთვის მისი მიყიდვა გადაწყვიტა. დებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო. მერაია რომ დაიბადა, ელისონი უკვე მეძავი იყო. ბავშვობაში მასაც არაერთხელ განუცდია ძალადობა.

ახლახან მომღერლის უფროსმა დამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი თავისი დედის წინააღმდეგ: 10 წლისა იყო, როცა მშობელი დედა აიძულებდა, სექსუალური კავშირი დაემყარებინა უცხო მამაკაცებთან, რომლებიც სატანისტურ ორგიებში მონაწილეობდნენ.

**ქართველმა ლიბერალებმა, ფაქტობრივად, შეძლეს სექტორის პრივატიზაციაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მხოლოდ ლიბერალური დღის წესრიგის გარშემო ტრიალებს. ავტორიტეტულმა დასავლურმა „იდეების რეზერვუარმა“'CHATHAM HOUSE-მა 2013 წლის ანგარიშში საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში არასამთავრობოების აღნიშნულ სპეციფიკურ საქმიანობას NGO-კრატია უწოდა.**

ლიბერალიზმის წინააღმდეგ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბერალიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში — ანალიზი, რეკომენდაციები

**2020 წლის 16 სექტემბერს მოლდოვაში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც ექსპრემიერმა მაია სანდუმ II პრეზიდენტი იგორ დოდონი დაამრცხა. მოლდოვა საპრლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტის უფლებამოსილება საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა ურიგო არ იქნება, მაინც განვიხილოთ ეს ფაქტი, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა სივრცეში ნეოლიბერალი ლიდერებისა და, საზოგადად, ლიბერალური პოლიტიკის ფენომენი.**




**სოციოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ, მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნეგატიურად უყურებს საბჭოთა კავშირის დაშლას და გარკვეული სენტიმენტები აქვს საბჭოთა წარსულის მიმართ, მაგრამ ეს თანამედროვე რუსეთის დამსახურება ნაკლებადაა. ეს, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის აქტივია, რადგანაც მაშინ მოხერხდა დასავლური ექსპლუატატორული მოდელის იდეოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საპირწონეს შექმნა**

**მაია სანდუ** მოლდოვის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია, ქალი, აშშ-ში განათლებამიღებული. ის ნეოლიბერალური პოლიტიკის ადეპტია. მაია სანდუ, ისევე როგორც თავის დროზე **მიხეილ სააკაშვილი,** შემდგომ **ვლადიმერ ზელენსკი, ნიკოლ ფაშინიანი** და ბევრი სხვა ლიდერი, ემხრობა ქვეყნის ნეოლიბერალურ ტრანსფორმაციას — მცირე სახელმწიფო, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ქამრების შემოჭერის პოლიტიკა, გადასახადების შემცირება და ა.შ. — ყველაფერი, რაც რეალურ პროგრესსა და ეკონომიკურ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს.

პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური თვალსაზრისით ლიბერალური იდეოლოგია მსოფლიოში უკვე კრიზისს განიცდის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლიბერალი პოლიტიკოსები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მაინც ახერხებენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გულის მოგებასა და ხელისუფლებაში მოსვლას.

პარადოქსია, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკა ისეთ ღარიბ ქვეყნებში, როგორიცაა მოლდოვა და საქართველო, კიდევ ახერხებს გზის გაკვალვას და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სიმპათიის მოპოვებას. ეს ყველაფერი მსოფლიოში 1990-იანი წლებიდან მკვიდრდება, როდესაც **რონალდ რეიგანმა** და **მარგარეტ ტეტჩერმა** აქტიურად დაიწყეს მსგავსი პოლიტიკის წაქეზება. მაშ, **რა განაპირობებს ლიბერალების გარკვეულ წარმატებას, მაშინ, როდესაც ისტორიული გამოცდილება, ეკონომიკური თეორია და საღი აზრი მათ სასარგებლოდ არ მუშაობს?**

მკითხველისთვის ურიგო არ იქნება, განვმარტოთ, რა სხვაობაა ნეოლიბერალიზმსა და ლიბერალიზმს შორის.

**ნეოლიბერალიზმი** — ეს ტერმინი 1980-იანი წლებიდან დომინირებს და თავისი არსით ძალიან ჰგავს კლასიკურ ლიბერალიზმს, მაგრამ მისი ასლი არ არის. ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, ნეოლიბერალიზმი მინიმალური სახელმწიფოს იდეის მომხრეა, მაგრამ მცირე სხვაობით. მთავარი განსხვავება არის ის, რომ **ნეოლიბერალიზმი ცენტრალურ ბანკსა და მის მონოპოლიას აღიარებს ეროვნული ვალუტის გამოშვებაზე, მაშინ როდესაც კლასიკოსი ლიბერალები თვლიდნენ, რომ ეროვნული ფულის ბეჭდვაზეც უნდა იყოს კონკურენცია. ნეოლიბერალები დემოკრატიის ისეთი აშკარა მოწინააღმდეგეები არ არიან, როგორც, მაგალითად, ლიბერალები, მაგრამ ნეოლიბერალების დიდი ნაწილი დემოკრატიას უპირობოდ გაწირავს კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ბაზრის გამო.**

უნდა გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ლიბერალური დისკურსის წარმატების წინაპირობაა. ეს დაგვეხმარება იმის უკეთ გაანალიზებაში, რა უნდა დავუპირისპიროთ მათ გამარჯვების მოსაპოვებლად:

### 1. მსხვილი კაპიტალის აქტიური ფინანსური მხარდაჭერა

XX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ დასავლური მსხვილი ბიზნესი და კორპორაციები აქტიურად აფინანსებდნენ ნეოლიბერალური იდეების გამხმოვანებლებს — ეკონომისტებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს. ისინი სხვადასხვა წყაროს მეშვეობით ახერხებდნენ ლიბერალური იდეების პოპულარიზაციისთვის ერთგვარი თეორიული ფუნდამენტის შექმნას და ამიტომაც აქტიურად აფინანსებდნენ იმ სუბიექტებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ იმ იდეებს, რომლებიც მსხვილი ბიზნესისთვის იყო სასარგებლო — **გადასახადების შემცირება, სწრაფი პრივატიზაცია, ეკონომიკის ყველა სფეროს კომერციალიზაცია და, რაც მთავარია, უცხოურ კაპიტალზე ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნა.**

### 2. ლიბერალური ჰეგემონია

ცნება'„ჰეგემონია“ პოლიტიკურ ფილოსოფიაში პირველად გამოიყენა ცნობილმა იტალიელმა მარქსისტმა **ანტონიო გრამშიმ.** ის თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ მმართველ კლასს ესაჭიროება ძალაუფლების შენარჩუნება მორალური, ინტელექტუალური და იდეოლოგიური ლიდერობით. ლიბერალური მმართველი კლასი ყოველთვის ცდილობს საკუთარი იდეოლოგიის მართებულობის კვლავწარმოებას სხვადასხვა დონეზე ინტელექტუალური ბაზის ფორმირებისა და შემდგომი მხარდაჭერის მეშვეობით. **საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ლიბერალების ფლანგი ინტელექტითა და სიბრძნით დიდად არ გამოირჩევა, თუმცა ისინი ახერხებენ საკუთარი იდეოლოგიის გახმოვანებას ისეთი პერსონალიების მეშვეობით, როგორებიც არიან გია ნოდია, გიგი თევზაძე, გოგი გვახარია და ა.შ.**

აღსანიშნავია, რომ ქართველმა ლიბერალებმა, ფაქტობრივად, შეძლეს სექტორის პრივატიზაციაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მხოლოდ ლიბერალური დღის წესრიგის გარშემო ტრიალებს. ავტორიტეტულმა დასავლურმა „იდეების რეზერვუარმა“ Chatham House-მა 2013 წლის ანგარიშში საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში არასამთავრობოების აღნიშნულ სპეციფიკურ საქმიანობას NGO-კრატია უწოდა.

### 3. დასავლური ორგანიზაციები

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში უკვე 4000-ზე მეტი ანალიტიკური ცენტრია, რომელთა უმრავლესობა ამერიკული მოდელის კოპირებას ეწევა, ამერიკული Think Tank-ს გამორჩეული როლი აკისრია. ტერმინი Think Tanks — „იდეების რეზერვუარი“, II მსოფლიო ომის პერიოდში გაჩნდა და აღნიშნავდა დაცულ შენობას, რომელშიც ექსპერტები და სამხედროები იკრიბებოდნენ სხვადასხვა თემის განსახილველად. მაშინ, როდესაც კარნეგის ფონდის, მემკვიდრეობის ფონდის [Heritage Foundation], ბრუკინგსის ინსტიტუტის ფილიალები სხვა ქვეყნების ელიტებს ასწავლიან, საკუთარ პოლიტიკას გლობალური ლიბერალიზმის პრიზმიდან უცქირონ, აშშ-ში ეს უმსხვილესი ორგანიზაციები მხოლოდ ამერიკული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

### 4. გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა

ლიბერალურ ჯგუფებს აქვთ გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა, რადგან მათთვის სამოქალაქო აქტივობა და პოლიტიკის კეთება ბიზნესი უფროა, ვიდრე სხვა რამ. ამიტომ ისინი საკმაოდ წარმატებით იყენებენ ისეთ უნარებს, რომლებიც ბიზნესის საწარმოებლად არის კარგი. ბიზნესთან ლიბერალურ ჯგუფებს სხვა კავშირიც აქვთ, რაც, პირველ რიგში, დაფინანსებას გულისხმობს. ასე რომ, **სხვადასხვა პროექტს, რომლებსაც ლიბერალები საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ახორციელებენ, პირველ რიგში, ბიზნესის ელფერი აქვს, სწორედ ამიტომ არის მათი საქმიანობა დაცლილი ყოველგვარი მორალისგან.**

### 5. ერთ მუშტად შეკვრა და სწორი კომუნიკაცია აუდიტორიასთან

ის, რაც ლიბერალური ჯგუფებისგან ყველამ უნდა ისწავლოს, არის ერთ მუშტად შეკვრა და გაერთიანება ერთი მიზნის გარშემო. საკუთარ პოტენციურ ელექტორატთან სწორი კომუნიკაცია, მხარდამჭერების გაერთიანება სხვადასხვა ფორმით, მთავარი შეტყობინებების ხშირი გამეორება არის ის, რაც სხვა ჯგუფებს საქართველოში საკმაოდ აკლია. მაგალითად, მემარცხენე და კონსერვატიული ჯგუფები საქართველოში საკმაოდ დაქსაქსულები არიან, რაღაც ფორმით გაერთიანების მაგივრად ერთმანეთის კრიტიკაში ატარებენ დროს. ამით კი მოგებული ლიბერალები რჩებიან.

## ჩინეთი და რუსეთი

ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი სრულად ასოცირდება დასავლეთთან და, შეიძლება ითქვას, ლიბერალური დემოკრატია და ნეოლიბერალური გლობალიზაცია დასავლეთის ერთგვარ ინსტრუმენტად იქცა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. მსოფლიოში 2 სუპერსახელმწიფო არსებობს, რომლებიც დეკლარირებულად გამოდიან ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ესენი არიან ჩინეთი და რუსეთი.

ჩინეთი უფრო ქვეყნის შიგნით მუშაობაზეა ორიენტირებული, ვიდრე მის გარეთ. ჩინელებს თავიანთ წარმატებაზე ხმაურიანი საუბარი განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენლებთან დიდად არ უყვართ, მათ საკუთარი რბილი ძალაც სპეციფიკური აქვთ. ასე რომ, **ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ ჩინეთი გლობალურად დაუპირისპირდება დასავლურ ლიბერალიზმს ან ნეოლიბერალიზმს და დანარჩენ მსოფლიოს ჩინურ ცივილიზაციურ ხედვას შესთავაზებს.** დასავლეთი ისედაც ხშირად ავიწროებდა ჩინეთს ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, რადგანაც მდგრადი განვითარების მქონე ჩინეთი დასავლეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

რუსეთი კი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლური ლიბერალიზმის ერთგვარ წინაღობად გვევლინება პოსტსაბჭოთა სივრცეში. რუსეთმა ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოიგო რუსეთში, რასაც ვერ ვიტყვით პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებზე. შეიძლება რუსეთში ლიბერალიზმის დამარცხებამ რუსეთის მმართველი პოლიტიკური კლასის წარმომადგენლებს მცდარი მოლოდინი შეუქმნა, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, ლიბერალური მარცხი ინერციით გავრცელდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ლიბერალური მსოფლმხედველობის იდეა რუსეთში დასავლეთიდან შევიდა. რუსეთის მოსახლეობას აქტიურად არწმუნებდნენ იმაში, რომ ამ სისტემის პირობებში ისინი გაცილებით უკეთ შეძლებენ ცხოვრებას, ვიდრე კომუნისტური წყობის პერიოდში, მაგრამ რუსეთში კეთილდღეობის მაგივრად ლიბერალიზმმა 1998 წელს სერიოზული ეკონომიკური კრიზისი წარმოქმნა — ქვეყანა გაკოტრდა. მალე ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინი მოვიდა. სწრაფი პრივატიზაციისა და დერეგულაციის გამოყენებით განხორციელებულმა ნეოლიბერალურმა რეფორმებმა რუსეთში ოლიგარქების ჯგუფები გააჩინა. ამ ყველაფრის ფონზე ლიბერალიზმი რუსეთში გრძელვადიან პერსპექტივაში დამარცხდა.

მაგრამ **რას აკეთებდა 1990-იანი წლების შემდგომ რუსეთის ხელისუფლება იმისთვის, რომ განვითარების საკუთარი არალიბერალური მოდელი შეეთავაზებინა მსოფლიოსთვის?** რუსეთი დიდწილად საბჭოთა ინერციაზე იყო დამოკიდებული და ახალი, თანამედროვე მსოფლმხედველობის შექმნა ვერ შეძლო, რომელიც ხალხებს მორალურად და სოციალურად მიიზიდავდა და დასავლური ნეოლიბერალური მსოფლიო წყობის ხელშესახები ალტერნატივა იქნებოდა. **სოციოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ, მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნეგატიურად უყურებს საბჭოთა კავშირის დაშლას და გარკვეული სენტიმენტები აქვს საბჭოთა წარსულის მიმართ, მაგრამ ეს თანამედროვე რუსეთის დამსახურება ნაკლებადაა. ეს, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის აქტივია, რადგან მაშინ მოხერხდა დასავლური ექსპლუატატორული მოდელის იდეოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საპირწონეს შექმნა.**

## რეკომენდაციები

სად არის გამოსავალი? როგორ შეიძლება ლიბერალური ტოტალიტარიზმის დამარცხება პოსტსაბჭოთა სივრცეში და კონკრეტულად, საქართველოში? პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი:

*** ყველა ანტილიბერალური ძალა, იქნება ეს მემარცხენე, კონსერვატორული თუ ზომიერად ცენტრისტული, უნდა გაერთიანდეს ერთი მიზნის გარშემო — დამთავრდეს ლიბერალური დღის წესრიგი! ძალა ერთობაშია. მხოლოდ სინერგიით იქნება შესაძლებელი იმ ურჩხულის განგმირვა, რომელსაც ნეოლიბერალური დისკურსი წარმოადგენს.**

*** უნდა დაიწყოს საჯარო დისკუსიები: როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, საით უნდა მივდიოდეთ, როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული კუთხით. საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის იდეალური იქნებოდა შემდეგი ფორმულა: ეკონომიკურად — მემარცხენე, კულტურულად — კონსერვატორი.**

დასასრულ, მხოლოდ რიგითობის და არა მნიშვნელობის მიხედვით: **საქართველოში უნდა მოხდეს ელექტორალური რევოლუცია, როდესაც არასისტემური პოლიტიკური ძალა იღებს ძალაუფლებას ხელში. ეს კი წარმოუდგენელია მოსახლეობასთან აქტიური მუშაობის გარეშე. მოსახლეობას უნდა ავუხსნათ და დავანახვოთ, როგორი იქნება საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, რომ მხოლოდ ერთეულებისთვის არ მუშაობს ქვეყანა, არამედ მისი თითოეული მოქალაქისთვის.**

**გიორგი მდივანი**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წმინდა პეტრეს ტაძარი აშენდა თანხით, რომელიც შეგროვდა ინდულგენციების გაყიდვით. ინდულგენციები კი იყო განსაკუთრებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა ცოდვის მიტევებას. მღვდელმთავრები ინდულგენციას აძლევდნენ მათ, ვინც ცოდვებს გარკვეული თანხის საფასურად წინასწარ მოინანიებდა.**

# უცნობი ფაქტები მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობების შესახებ

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში თითქოს შეუძლებელია, ადამიანისთვის დამალული იყოს რამე ინფორმაცია, განსაკუთრებით ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლებიც უამრავ ტურისტს იზიდავს, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსოფლიოში ცნობილ ღირსშესანიშნაობებსაც კი აქვს თავიანთი საიდუმლო.



## სფინქსი: საუკუნეების განმავლობაში ქვიშით იყო დაფარული

სფინქსი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა ეგვიპტეში, მაგრამ ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი შეიძლება არც ჰქონოდა კაცობრიობას; იმიტომ, რომ თითქმის მთლიანად ქვიშაში იყო დამარხული.

სხვადასხვა ისტორიული წყაროსა და თვით სფინქსის შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძეგლის ქვიშით დაფარვის პროცესი ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო, მაგრამ მას პერიოდულად ასუფთავებდნენ. დასუფთავება კი ფარაონ **რამზეს II-ის** (1279-1213 ჩვ.წ. აღ-მდე) პერიოდიდან დაიწყო. შემდეგ ამ საქმით ძველი ბერძნები და რომაელები იყვნენ დაკავებულნი. 1817 წელს სფინქსი მხრებამდე გაასუფთავეს იტალიელმა სპეციალისტებმა, გასუფთავების სამუშაოები კი 1925 წელს დასრულდა.



## წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი რომში: აგებულია ცოდვილთა მიერ გაღებული სახსრებით

წმინდა პეტრეს ტაძარი რომში ერთ-ერთი ცნობილი რელიგიური ნაგებობაა მსოფლიოში, მაგრამ მისი აგების გარემოებები ყველასთვის ცნობილი არ არის. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ტაძრის მშენებლობის მთავარი ინვესტორები იყვნენ ცოდვილები. საქმე ის არის, რომ წმინდა პეტრეს ტაძარი აშენდა თანხით, რომელიც შეგროვდა ინდულგენციების გაყიდვით. ინდულგენციები კი იყო განსაკუთრებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა ცოდვის მიტევებას. მღვდელმთავრები ინდულგენციას აძლევდნენ მათ, ვინც ცოდვებს გარკვეული თანხის საფასურად წინასწარ მოინანიებდა.



## აბუ-სიმბელის ტაძარი: ადგილის შეცვლა

ძველეგვიპტური ძეგლი აბუ-სიმბელის ტაძარი მასშტაბური ნაგებობაა გრძელი ისტორიით. ბევრმა არ იცის, რომ ამ ძეგლს ადამიანებმა ადგილი შეუცვალეს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ნაგებობა რამდენიმე ბლოკად დაჭრეს და დაახლოებით 200 მ-ის მოშორებით გადაიტანეს, შემდეგ კი ისევ ააწყვეს. ეს ძალიან რთული პროცესი ჩაიფიქრეს და განახორციელეს იმიტომ, რომ ისტორიული ძეგლი წყალში არ ჩაძირულიყო ასუანის კაშხლის მშენებლობის გამო.



## დაცემული ანგელოზის შადრევანი მადრიდში: განლაგების მისტიკური სიმაღლე

მადრიდის მისტიკური შადრევანი, რომელსაც აქვს მრავლისმეტყველი სახელწოდება Fuente del Angel („დაცემული ანგელოზი“) ციდან გამოძევებული ლუციფერის ქანდაკებას წარმოადგენს და თითქოს ამაში ორიგინალური არაფერია, გარდა სკულპტურისთვის შერჩეული პერსონაჟისა. ის ევროპაში ერთადერთი სკულპტურაა, რომელიც ეშმაკს გამოსახავს, თუმცა გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც შადრევნის კიდევ ერთი თავისებურება იპოვეს: გაირკვა, რომ ლუციფერი ზღვის დონიდან 666 მეტრზეა განლაგებული. აღსანიშნავია, რომ შადრევნის ავტორმა **რიკარდო ბელვერმა** ლუციფერი სიმპათიურ ყმაწვილად გამოსახა, ამიტომ პარკ ბუენ-რეტიროში დამთვალიერებლებს ლუციფერი ხშირად ერევათ კუპიდონში.



## კუნძული იცუკუსიმა: აკრძალულია ბავშვის გაჩენა და სიკვდილი

იაპონელები, მიუხედავად იმისა, რომ მოწინავეთა შორის არიან ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნაში, გულმოდგინედ იცავენ რელიგიურ დოგმებს. მაგალითად, ჰიროსიმას პრეფექტურაში, კუნძულ იცუკუსიმას ტერიტორიაზე აკრძალულია... ბავშვის გაჩენა და სიკვდილი. ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი რელიგიის საწყისებშია: ასე ცდილობენ იაპონელები, დაიცვან სიწმინდე სინტოისტური (სინტოიზმი იაპონელთა ტრადიციული რელიგია) ტაძრისა, რომლის პატივსაცემად ეწოდა სახელი კუნძულს.



## ჩინეთის დიდი კედელი: შემოსავლის წყარო ადგილობრივებისთვის

დიდი ხანია, ცნობილია, რომ ჩინეთის დიდი კედელი ნელ-ნელა ინგრევა, მაგრამ დამღუპველი გავლენა ამ ისტორიულ ნაგებობაზე არა მხოლოდ დროს აქვს, არამედ იმასაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად აგროვებს ჩინეთის დიდი კედლიდან ჩამოცვენილ აგურებს — ეს მავნე საქციელი მერკანტილური მიზნით არის განპირობებული. მოპოვებულ აგურებსა და ქვებს ადგილობრივები თავიანთი სახლების ასაშენებლად იყენებენ ან ყიდიან.



## პიზის კოშკი: დაეცემა, თუ რესტავრაციას არ ჩაუტარებენ

იტალიის ქალაქ პიზის დახრილი კოშკის შესახებ, ალბათ, ყველამ იცის. კოშკი ასე არ ყოფილა ჩაფიქრებული: მკვლევართა აზრით, მშენებლებმა შეცდომა დაუშვეს საძირკვლის გათხრისას. ამ უზუსტობამ ნაგებობაში იჩინა თავი: XX საუკუნის ბოლოს მას რესტავრაცია დასჭირდა, რადგან ჩამონგრევის რეალური საფრთხე გაჩნდა. სამუშაოები 10 წელიწადს გაგრძელდა და მსოფლიოში განთქმული ღირსშესანიშნაობა გადარჩა — კოშკმა კვლავ დაიკავა ის მდგომარეობა, რომელშიც იყო 1838 წელს (პიზის კოშკის მშენებლობა დაიწყო 1173 წელს და 1360 წელს დასრულდა). რესტავრატორთა დასკვნით, პიზის კოშკი, სულ ცოტა, 200 წელს იქნება ასეთ მდგომარეობაში.



## ეიფელის კოშკი: სამფეროვანი

მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელმაც არ იცის, როგორია ეიფელის კოშკი — პარიზის სავიზიტო ბარათი. ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ეს მსოფლიოში პოპულარული ღირსშესანიშნაობა ერთი ფერისაა. სინამდვილეში კი ეიფელის კოშკს სამ სხვადასხვა ფერში ღებავენ. ამის მიზეზი კოშკზე ატმოსფეროს ზეგავლენის განეიტრალებაა. ზედა ნაწილი ოქროსფერია, შუა — ნაცრისფერი, ბოლო კი — გაცილებით მუქი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ბრძოლაში გამოყენებული იქნება დოპინგური და ანტიდოპინგური მაქინაციები, რომლებიც, ფაქტობრივად, წინდაწინ, სპორტის სხვადასხვა პოპულარულ სახეობაში შეჯიბრების დაწყებამდე, უზრუნველყოფს საპრიზო ადგილებს „რჩეული“ ქვეყნების — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიის, ნორვეგიის წარმომადგენლებისთვის.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა საერთაშორისო შეჯიბრებების (ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო ჩემპიონატების) პრობლემებმა, მაგრამ ეს პრობლემები არსად გამქრალა. უფრო მეტიც, როდესაც კაცობრიობა პანდემიას დაამარცხებს, სპორტის ფრონტზე უნდა ველოდოთ მწვავე ბრძოლებს, თუმცა ამ ბრძოლებს სპორტთან საერთო არაფერი ექნება. ამ ბრძოლაში გამოყენებული იქნება დოპინგური და ანტიდოპინგური მაქინაციები, რომლებიც, ფაქტობრივად, წინდაწინ, სპორტის სხვადასხვა პოპულარულ სახეობაში შეჯიბრების დაწყებამდე, უზრუნველყოფს საპრიზო ადგილებს „რჩეული“ ქვეყნების — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიის, ნორვეგიის წარმომადგენლებისთვის.


მო ფარა

# მსოფლიო სპორტი კრიმინალურ ბიზნესად იქცა


მარცხნივ სერენა უილიამსი, მარჯვნივ მარია შარაპოვა, რომელსაც სტეროიდების გამოყენების გამო 15 თვით აუკრძალე ჩოგბურთის თამაში

დოპინგსკანდალებითა და პროვოკაციებით ყველაზე მეტად დაიჩაგრნენ რუსი სპორტსმენები — მძლეოსნები, მოთხილამურეები, ჩოგბურთელები, რომლებსაც საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა (ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში) 4 წლით აუკრძალეს. ოლიმპიურ თამაშებში თავიანთი ქვეყნის დროშით ვერ გამოვლენ ის სპორტსმენებიც კი, რომლებსაც, ანტისადოპინგო კომისიის დასკვნით, დოპინგი არასოდეს მიუღიათ.

მხოლოდ სპორტის საკითხებში სრულიად გაუცნობიერებელმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ სხვა ქვეყნების სპორტსმენები სრულიად არ იყენებენ დოპინგს. არადა, ისინი იმდენ დოპინგს იყენებენ, მსოფლიომ სიმართლე რომ შეიტყოს, საერთაშორისო შეჯიბრებები ან საერთოდ უნდა გაუქმდეს, ან დოპინგის მიღება დაკანონდეს. **საკმარისია, შეხედოთ, მაგალითად, ამერიკელი ჩოგბურთელი დების — ვინუს და სერენა უილიამსების, აგრეთვე, ბელგიელი კიმ კლეისტერსის „ნატიფ“ და „ნაზ“ ფიგურებს, რომ მყისვე გაგიჩნდებათ კითხვა: „კი მაგრამ, რით დაიბერეს ამ ქალებმა კუნთები?“** ან დააკვირდით ნორვეგიელ მოთხილამურეებს, ან გაიხსენეთ წარმოშობით აფრიკელი მორბენლის, ინგლისის მოქალაქე **მო ფარას** ეპოპეა. მო ფარას ანალიზებში დოპინგის კვალის აღმოჩენის შემდეგ ბრიტანეთის ანტიდოპინგურმა კომისიამ უარი განაცხადა ამ ანალიზების შედეგების WADA-სთვის (მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო) შესამოწმებლად გადაცემაზე.

არადა, მო ფარამ ოლიმპიური თამაშების 4 და მსოფლიო ჩემპიონატების 6 ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს მისთვის მედლების ჩამორთმევაზე. რუს სპორტსმენებს კი, ფაქტობრივად, ეჭვისა და ვარაუდების საფუძველზე ართმევენ ჯილდოებს. **მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ დოპინგის გამოყენებასთან ბრძოლა აბსურდამდე დაიყვანა. ამან გამოიწვია ქვეყნების დაყოფა „სუფთად“ და „არასუფთად“. და, რადგან დიდი ბრიტანეთი ყველაზე „სუფთაა“, ამიტომ ის, როგორც კეისრის ცოლი, ეჭვმიუტანელია, შეუძლია, არად ჩააგდოს WADA, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ლონდონისა და ვაშინგტონის მითითებებს.**

**საკმარისია, შეხედოთ, მაგალითად, ამერიკელი ჩოგბურთელი დების — ვინუს და სერენა უილიამსების, აგრეთვე, ბელგიელი კიმ კლეისტერსის «ნატიფ» და «ნაზ» ფიგურებს, რომ მყისვე გაგიჩნდებათ კითხვა: «კი მაგრამ, რით დაიბერეს ამ ქალებმა კუნთები?»**

ისე ჩაიძირნენ რუსეთისადმი სიძულვილში, რომ მზად არიან, გაწირონ, მაგალითად, მძლეოსნობა. თანაც, ერთი ქვეყნის ყველა სპორტსმენის დასჯა, მიუხედავად იმისა, შემჩნეული იყვნენ თუ არა ისინი დოპინგის გამოყენებაში, და მათთვის შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა იმ საბაბით, რომ ამ ქვეყნის ცალკეულმა სპორტსმენმა დოპინგი მიიღო, იურიდიული კაზუსია.

და **მედლების ჩამორთმევის მანკიერი პრაქტიკა?** ეს ხომ ბოროტმოქმედებისა და მაქინაციების არნახული სივრცეა! გასაოცარია, რომ ამ ვითარებაში სხვადასხვა უფლებადამცველ ორგანიზაციას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და აქციებს არ მართავს WADA-ს წარმომადგენლობასთან და სასამართლოებში არ შეაქვთ სარჩელები დაუმსახურებლად დასჯილი სპორტსმენების პატივისა და ღირსების დასაცავად. ეს კი სპორტსა და პოლიტიკაში ოდნავ მაინც ჩახედულ ადამიანებს აფიქრებინებს, რომ ე.წ. უფლებადამცველებს არ სჩვევიათ იმ ორგანიზაციების მითითების გარეშე მოქმედება, რომლებიც მათ აფინანსებენ. ეს ორგანიზაციები კი სამთავრობო თუ მთავრობასთან დაახლოებული სტრუქტურებია (ფონდების სახით) იმ ქვეყნებისა, რომლებიც WADA-ს ძირითადი დამფინანსებლები არიან — აშშ და მისი მოკავშირეები.


კიმ კლეისტერსი

აღსანიშნავია, რომ WADA-მ 2019 წელს 4 წლით აუკრძალა რუს სპორტსმენებს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა, მათ შორის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 2020 წელს უნდა გამართულიყო და 2021 წლისთვის გადაიდო, აგრეთვე, გამოსვლა 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე, რომელიც პეკინში გაიმართება. არადა, სპორტსმენებიც ადამიანები არიან და ამა თუ იმ დაავადების თავიდან აცილების მიზნით ან სამკურნალოდ სხვადასხვა პრეპარატს იღებდნენ.

არის შემთხვევები, **როცა WADA პოსტ ფაქტუმ კრძალავდა ამა თუ იმ პრეპარატს, შემდეგ უკანა რიცხვით ბრალს სდებდა სპორტსმენებს ამ პრეპარატის გამოყენებაში და ართმევდა მოპოვებულ ჯილდოს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ WADA-ს გადაწყვეტილების სამართლიანობის შემმოწმებელი არავინ არის.**

ამჟამად WADA-ს თავისი მოსაზრების მიხედვით შეუძლია, ყოველდღიურად ამოიღოს ან ჩასვას ესა თუ ის პრეპარატი აკრძალული პრეპარატების სიიდან — და ამით ნებისმიერ სპორტსმენს გამოუწეროს სამუდამო დისკვალიფიკაცია.

WADA-ს წყალობით საერთაშორისო სპორტი მომგებიან ბიზნესად იქცა დაინტერესებული პირების ვიწრო წრისთვის, რომელიც პატიოსან სპორტსმენებს აიძულებს, მათი წესებით ითამაშონ, იმ წესებით, რომლებიც ნამდვილ სპორტში არ უნდა არსებობდეს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




**წარმოშობით აფრიკელი მორბენლის, ინგლისის მოქალაქე მო ფარას ანალიზებში დოპინგის კვალის აღმოჩენის შემდეგ ბრიტანეთის ანტიდოპინგურმა კომისიამ უარი განაცხადა ამ ანალიზების შედეგების WADA-სთვის (მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო) შესამოწმებლად გადაცემაზე**

# გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 200 ათასით შემცირდება, მსოფლიოს მოსახლეობა კი 9,9 მლრდ-ს მიაღწევს



**გაეროს ექსპერტების პროგნოზით, 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობა 2 მლრდ კაცით მოიმატებს და 9,9 მლრდ-ს მიაღწევს.**

მოსახლეობის რაოდენობა შედარებით მოიმატებს ე.წ. განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ე.წ. ოქროს მილიარდის სახელმწიფოებში (განვითარებული ქვეყნები) პრაქტიკულად არ შეიცვლება (1,3 მლრდ). ყველაზე მეტად მოსახლეობა მოიმატებს აფრიკასა (1,2 მლრდ-ით) და აზიაში (705 მლნ-ით), ევროპის მოსახლეობა კი შემცირდება (გამონაკლისი იქნება დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ნორვეგია და შვედეთი). გაერო მოსახლეობის შემცირებას ვარაუდობს კუბაზე, იამაიკაზე, იაპონიაში, ლიბანში, უკრაინაში, სომხეთსა და **საქართველოში.** ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა 3,7 მლნ-იდან 3,5 მლნ-მდე შემცირდება.

**un.org-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ჩინეთი «თვალების დათხრით» დაემუქრა ქვეყნებს, რომლებიც მის სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიან

**„ჰონკონგის საკითხები მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთის საშინაო საქმეა, ხოლო ალიანს „ხუთი თვალის" ქვეყნები, რისკავენ, დაბრმავდნენ, თუ გაბედავენ და დაემუქრებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას", — განაცხადა 19 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჩჟაო ლიძიანმა.**

ცოტა ხნით ადრე ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, აგრეთვე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ერთობლივი განცხადებით მოუწოდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, გადახედოს თავის პოლიტიკას ჰონკონგის კანონმდებლების დისკვალიფიკაციის მიმართ. ზემოაღნიშნული ქვეყნები სადაზვერვო ალიანს „ხუთი თვალის" წევრები არიან და ერთმანეთში ცვლიან სადაზვერვო ინფორმაციას.

**„იმისგან დამოუკიდებლად, მათ ხუთი თვალი აქვთ თუ ათი, თუკი გაბედავენ ჩინეთის სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ინტერესების დაზარალებას, ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან შესაძლოა, თვალები დაკარგონ და დაბრმავდნენ",** — განაცხადა ჩინელმა დიპლომატმა. მისივე თქმით, „ჩინეთი გამოხატავს ძლიერ უკმაყოფილებას საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევის გამო „ხუთი თვალის" ალიანსის ქვეყნების მხრიდან ჰონკონგის საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთის საშინაო საქმეა".



**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# პროდუქტები, რომლებსაც ვყიდით და ვყიდულობთ რუსეთში



**2020 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 159 500 000 დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტით ნაკლებია.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში რუსეთში პროდუქციის ექსპორტი 8,4%-ით, ხოლო იმპორტი 14,2%-ით შემცირდა.

**საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები:**

*** ყურძნის ნატურალური ღვინოები — 95 106 200 დოლარი;**

*** ფეროშენადნობები — 92 136 100 დოლარი;**

*** მინერალური და მტკნარი წყლები — 33 661 200 დოლარი;**

*** სპირტიანი სასმელები — 25 258 600 დოლარი;**

*** ახალი გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო — 19 936 100 დოლარი.**

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები:

*** ნავთობი და ნავთობპროდუქტები** — 107 859 600 დოლარი;

*** ხორბალი** — 88 258 200 დოლარი;

*** ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები** —29 976 800 დოლარი;

*** მზესუმზირის ზეთი** — 27 109 900 დოლარი;

*** ტელეფონის აპარატები** — 24 050 100 დოლარი.

bpn.ge




# ტრამპის ადვოკატები: არჩევნები გაყალბდა ცენტრალიზებულად და იმ ქალაქებში, რომლებსაც დემოკრატები აკონტროლებენ

**აშშ-ში რამდენიმე დღის წინათ გაიმართა დონალდ ტრამპის ადვოკატების პრესკონფერენცია პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე.**

აი, ტრამპის ადვოკატების მთავარი თეზისები:

*** არჩევნები გაყალბდა ცენტრალიზებულად და იმ ქალაქებში, რომლებსაც დემოკრატები აკონტროლებენ;**

*** ზოგიერთ შტატში შეცვლილია ფოსტით ბიულეტენების გაგზავნის თარიღი;**

*** ახლა ბიულეტენების გადათვლა არაფერს მოგვცემს, იმიტომ, რომ ყველა კონვერტი, რომლებშიც იდო ბიულეტენები, განადგურებულია. არადა, სწორედ კონვერტები შეიძლებოდა ყოფილიყო სამხილები, რომლებიც გამოააშკარავებდა დარღვევებს;**

*** ბიულეტენების დათვლისას ზოგიერთი მანქანა ავტომატურად უმატებდა ბაიდენს ხმებს, მსგავსი მექანიზმი გამოყენებული იყო ვენესუელაში;**

*** ტრამპის შტაბს აცნობეს იმ შემთხვევებზე, როცა ტრამპის მხარდამჭერთა ბიულეტენებს, უბრალოდ, ყრიდნენ სანაგვეში.**

აღსანიშნავია, რომ ბევრმა მედიასაშუალებამ უარი განაცხადა ტრამპის პირადი ადვოკატის, **რუდოლფ ჯულიანის,** პრესკონფერენციის გაშუქებაზე და მას „რუსული დეზინფორმაციის გავრცელების ხელშემწყობი" უწოდა. ჯულიანიმ კი ყველას მოუწოდა, დაიცვან ამერიკა ისეთი დამნაშავეებისგან, როგორიც არის **ჰილარი კლინტონი.**

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**



# დონალდ ტრამპი ხელისუფლების გადაბარების პროცესის დაწყებას დათანხმდა

**დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენისთვის ხელისუფლების გადაბარების პროცესის დაწყებას დათანხმდა.**

ტრამპმა განაცხადა, რომ ფედერალურმა სააგენტომ, გენერალური სერვისების ადმინისტრაციამ, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ხელისუფლების გადაცემის პროცესს, „უნდა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც საჭიროა", თუმცა პირობა დადო, რომ არჩევნების ოფიციალური შედეგების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტს.

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე". ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის" დახმარებით გაუკეთეს.

**წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში" (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა", მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.**




საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894